619
1965

# დროშა

№ 4 აპრილი 1965



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



პავლე ივანეს-ძე ბელიაევი



ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვი

# სინამდვილე წინ უსწრებს ოცნებას

„დაუძლეველის დაძლევა“, „დაუსრულებელი ჰორიზონტები“, „განსაცვიფრებელი წარმატება“, „კოსმოსის კარი ალებულია“, „ისტორიული წუთები“, „ეს სასწაულია“, „სინამდვილემ წინ გაუსწრო ყველა ოცნებას“— ასეთი სათაურებით გამოაქვეყნეს მსოფლიოს ყველა ქვეყნის გაზეთებმა ცნობები საბჭოთა კოსმონავტების ახალი გამარჯვების შესახებ. და მართლაც, ეს იყო ადამიანის გენიის უბრწყინვალესი გამარჯვება; 1965 წლის 18 მარტი სამუდამოდ დარჩება კაცობრიობის ისტორიაში სწორედ იმიტომ, რომ ამ დღეს დედამიწის თანამგზავრის ორბიტაზე გაყვანილ იქნა საბჭოთა კოსმოსური ხომალდი „აისი-2“, რომელმაც დიდად წასწია წინ თვალმიუწვდენელი ვარსკვლავეთის დაუფლების საქმე. ამ სახელოვანი ხომალდის ეკიპაჟში შედიოდნენ ხომალდის მეთაური პავლე ივანეს-ძე ბელიაევი და მეორე პილოტი ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვი; ხომალდის ფრენის დროს კოსმონავტი მფრინავი ა. ა. ლეონოვი გამოვიდა ხომალდიდან, შეასრულა წინასწარ დასახული მეცნიერული დაკვირვებანი კოსმოსში და დაბრუნდა ხომალდში. ხომალდის მეთაური კოსმონავტი მფრინავი პ. ი. ბელიაევი ამ გმირული და განსაცვიფრებელი ექსპერიმენტის დროს ახორციელებდა კოსმოსში გასვლის აპარატურის მართვას, თვალყურს ადევნებდა ლეონოვის მდგომარეობას, უზრუნველყოფდა კოსმოსურ სივრცეში ამ უმაგალითო ცდის წარმატებით დაგვირვინებას.

ამრიგად, კაცობრიობის ისტორიაში პირველად განხორციელდა ადამიანის გამოსვლა კოსმოსური ხომალდიდან დაუსრულებელი ვარსკვლავეთის საიდუმლოებით მოცულ წიაღში. მრავალადგილიანმა კოსმოსურმა ხომალდმა 26 საათის განმავლობაში 17-ჯერ და მეტჯერ შემოუარა დედამიწას, გაიარა 720 ათას კილომეტრზე მეტი მანძილი და განახორციელა მიწაზე დაშვება ქალაქ პერმის რაიონში. ხომალდის ეკიპაჟის წინაშე დასახული ამოცანები მთლიანად შესრულდა.

ასე გავიდა ადამიანი ხომალდიდან კოსმოსში და ამით დაიწყო ახალი ერა კოსმოსური სივრცის ათვისებაში. ყოველივე ეს ქმნის რეალურ წინამძღვრებს იმისათვის, რომ გადაიჭრას ყველაზე რთული ამოცანები, კერძოდ, მოხდეს გაფრენა მთვარესა და მზის სისტემის სხა პლანეტებზე.

„აისი-2“-ის სახელოვანმა გაფრენამ კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ საბჭოთა მეცნიერების გონებასა და ცოდნას, კონსტრუქტორების გენიას, მუშათა მარჯვე ხელს შესწევს უნარი გადაჭრას ყოველი ამოცანა, რომელსაც კი დაუსახავენ მათ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა.

„აისი-2“-ის ფრენა. ისე როგორც წინა ფრენები, ემსახურება მშვიდობისა და მთელი კაცობრიობის წინსვლის საქმეს. საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან, რომ მშვიდობის ყველაზე საიმედო და ურყევი საწინდარია საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ყოველი ღონისძიებით განმტკიცება. მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია თავიანთი თავდადებული შრომით ზრდიან ჩვენი სამშობლოს ძლიერებას. საბჭოთა ადამიანები, გმირი კოსმონავტების — პ. ი ბელიაევისა და ა. ა. ლეონოვის გმირობით აღფრთოვანებულნი, ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ შემოქმედებითს შრომაში ჩვენს ქვეყანაში ნათელი კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

ჩვენი ქვეყანა — კოსმონავტიკის ძლევამოსილი სამშობლოა. სოციალიზმი ყოველდღე წარმოშობს ახალ და ახალ ბუმბერაზებს, რომელთა გმირობა განაცვიფრებს მთელ ქვეყანას.

საბჭოთა ადამიანი იღებს მწვერვალებს, რომელთა დაძლევა ჯერ კიდევ გუშინ მიუწვდომელ ოცნებად გვეჩვენებოდა!

სინამდვილე მართლაც წინ უსწრებს ყოველგვარ ოცნებას!



ვ. ი. ლენინის კაბინეტი კრემლში.

# ოთახი მესამე სართულზე

კრემლის დიდებულ ძეგლთა შორის გამოირჩევა ერთი ძველებური შენობა, რომელიც აგებულია მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს. ჩვენს დროში ეს შენობა იქცა იმ ადგილად, საითაც მსოფლიოს ყოველი კუთხიდან მოისწრაფიან ადამიანები, მოწიწების გრძნობით გადააბიჯებენ ამ უბრალო ოთახების ზღურბლზე და ღრმა ინტერესით ათვალიერებენ ყოველ საგანს.

ამ შენობაში, მესამე სართულზე ცხოვრობდა და მუშაობდა დიდი ლენინი; აქ ლენინის კაბინეტში ყველაფერი ისევ ისეა დაცული, როგორც მისი სიცოცხლის დროს იყო.

1918 წლის 10 მარტს საბჭოთა მთავრობა პეტროგრადიდან მოსკოვში გადავიდა. 12 მარტს ლენინი პირველად შევიდა ამ კაბინეტში, სადაც წყდებოდა უმნიშვნელოვანესი საკითხები, საიდანაც პარტია და მისი ბელადი წარმართავდნენ მილიონიანი მასების მოძრაობას.

ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა აქ ექვს ოთახში იყო მოთავსებული. სხდომათა დარბაზსა და ილიჩის კაბინეტს ვიწრო დერეფანი აერთებდა ბინასთან, რომელშიც ლენინი ცხოვრობდა.

აი, თქვენ შედიხართ ილიჩის კაბინეტში... არც ისე დიდია ეს ოთახი, სადაც ილწვოდა გენიალური მოაზროვნე, მებრძოლი, კომუნიზმის იდეების უდიდესი პროპაგანდისტი. ყოველივე, რასაც ამ ოთახში ხედავთ, მეტყველებს დიდი ადამიანის ყოველდღიურ ტიტანურ შრომაზე მშრომელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

აქ, ამ კაბინეტში ყველაზე უპირველესად თვალს მოგტაცებენ წიგნები, ჩაწყობილი უბრალო კარადებში. ათვალიერებთ მათ და ხედავთ, რაოდენ უსაზღვროდ ფართო იყო ლენინის ჰორიზონტი: ცოდნისა და მეცნიერების რაღა დარგი არ არის აქ წარმოდგენილი — გეოგრაფია და ეთნოგრაფია, ისტორია და სახალხო მეურნეობა, წარმოება, მიწადმოქმედება, ზუსტ მეცნიერებათა მრავალფეროვანი დარგები, ლიტერატურა, ხელოვნება, მშრომელთა ყოფა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში — ამ წიგნთა ფურცლებს კიდეებზე ლენინის შენიშვნები და ჩანაწერები შემოუნახავთ; და თქვენ კიდევ ერთხელ ხედავთ რა ყურადღებით აკვირდებოდა ლენინი მთელი კაცობრიობის ცხოვრებას და ბრძნულად წარმართავდა კაცობრიობის ახალ ისტორიას.

აი, ერთი პროლეტკულტელის წერილი, ამოჭრილი გაზეთიდან. ლენინს კიდეებზე თავისი შენიშვნები გაუკეთებია — ზოგან განცვიფრებით მიუწერია „ჰმ", ზოგან — კი მოკლედ და მძაფრად დაუხასიათებია წერილის ავტორის არასწორი პოზიცია: „ეს ნამდვილი დომხალია!" — გაზეთზე წარწერილი ეს შენიშვნებიც ბევრს ხსნიან და ბევრს გვეუბნებიან, თუ როგორ წარმართავდა ლენინი ახალი საბჭოთა კულტურის მშენებლობას. ამ შენიშვნებმა თავიანთი უფრო ვრცელი გამოხატულება ჰპოვეს ლენინის ცნობილ ნაშრომებში, რომლის საფუძველზე იზრდება დღეს საბჭოთა კულტურა.

პირველი კარადა მარცხენა მხარეს, კაბინეტის შესასვლელთან, დათმობილი აქვს მხატვრულ ლიტერატურას. საწერი მაგიდის უკან კიდევ სამი კარადაა—მათში მოთავსებულია ენციკლოპედიური ლექსიკონები, უამრავი საცნობარო ხასიათის ლიტერატურა რუსულ და უცხო ენებზე.

აი, ლენინის საწერი მაგიდაც... აგერ მისი კალმები... ამ მაგიდაზე დაიწერა ის წიგნები თუ წერილები, რომლებიც შეიცავენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიის სულს და გულს, აქ დაიწერა ფურცლები კაცობრიობის ახალი ისტორიისა.

მოცულობით დიდი არ არის ეს ოთახი, რომლის ორი ფანჯარა კრემლის მოედანს გადმოსცქერის, მაგრამ აქ წყდებოდა ყველაზე დიდი საკითხები კაცობრიობის ისტორიაში; ლენინის კაბინეტში დგას კიდევ ერთი მაგიდა და ოთხი ტყავის სავარძელი მომსვლელთათვის: ვინ მოსთვლის რამდენი უსაუბრია ლენინს აქ, ამ მაგიდასთან გლეხებთან, მუშებთან, ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, უცხოელ სტუმრებთან იმ საჭირბოროტო საკითხებზე, რომლებიც დაუყოვნებლივ მოითხოვდნენ გადაწყვეტას და რომლებზეც მუდამ ზუსტ და ბრძნულ პასუხს პოულობდა დიდი ბელადი ახალი კაცობრიობისა.

ამ კაბინეტში ლენინი, თანამებრძოლებთან ერთად, განიხილავდა ქვეყნის ელექტროფიკაციის გეგმას; 1920 წლის შემოდგომაზე აქ ესაუბრებოდა იგი ინგლისელ მწერალს ჰერბერტ უელსს საბჭოთა ქვეყნის მომავალზე, აქ ესაუბრებოდა იგი გორკის საბჭოთა კულტურის საკითხებზე, აქ ყოველდღე დაინახავდით მშრომელებს, რომლებიც ამ კაბინეტიდან მიდიოდნენ მომავლის ღრმა რწმენით შთაგონებულნი და ანთებულნი.

საპატიო ადგილი უჭირავთ ლენინის კაბინეტში გეოგრაფიულ რუკებს, მარცხნივ საწერ მაგიდასთან დგას პალმა, რომელსაც, როგორც გადმოგვცემენ ლენინი გულმოდგინედ უვლიდა. როგორც შეატყობდა, რომ ეს მარადმწვანე მცენარე ჭკნობას იწყებდა, ლენინი უმალ მოიწვევდა ხოლმე მებაღეს, რათა ეშველნა მისთვის. ეს პალმა ახლაცამშვენებს ამ ისტორიულ კაბინეტს.

ამ კაბინეტში ლენინი მუშაობდა პუნქტუალურად — დილის ათიდან ოთხ საათმდე და საღამოს ექვსიდან ღამის ორ საათამდე. როგორც მის თანამედროვეთა მოგონებებიდან ვიცით, მუშაობდა მუდამ ხალისიანად, შრომა მისთვის — სიხარული და შემოქმედება იყო. ავადმყოფობის დროს იგი ზუსტად ასრულებდა ექიმების მოთხოვნებს, მაგრამ როგორც კი თავს უკეთ იგრძნობდა, თავის კაბინეტისაკენ მოეშურებოდა... აქ მოდიოდა იგი მაშინაც კი, როცა ჭრილობების შემდეგ, ხელი ჯერ ისევ შეხვეული ჰქონდა.

ამ კაბინეტში ლენინი უკანასკნელად მუშაობდა 1922 წლის 12 დეკემბერს...

ლენინის კაბინეტიდან კარს მივყევართ სახალხო კომისართა საბჭოს სხდომათა დარბაზისაკენ, ხოლო აქედან დერეფანი მიდის იმ ოთახებისაკენ, სადაც ცხოვრობდა ლენინი.

აქეთ, ამ ოთახებისაკენ მოისწრაფიან ადამიანები მსოფლიოს ყველა კუთხიდან, და ყოველ მათგანს მიაქვს უძვირფასესი მოგონებანი იმ ადგილებზე, რომლებიც დაკავშირებულია დიდი ლენინის სახელთან.

„ლენინი არის ადამიათა შორის გენიალობის ყველაზე ნათელი განსახიერება", — ამ სიტყვებით დაიწყო მაქსიმ გორკიმ თავისი შესანიშნავი მოგონებები.

ხოლო დაამთავრა ასე: „ლენინის გონებისა და ნებისყოფის მემკვიდრენი —ცოცხლობენ, მუშაობენ და იბრძვიან; ისინი მუშაობენ ისე წარმატებით, როგორც არასოდეს, არავის და არსად არ უმუშავნია მთელ ქვეყანაზე".

დიდი მწერლის ამ სიტყვებში მოცემულია დახასიათება ლენინიზმისა, დახასიათება იმ პარტიისა, რომელიც შექმნა ლენინმა და რომელიც სათავეში უდგას მთელი მოწინავე კაცობრიობის ბრძოლას ნათელი მომავლისათვის — კომუნიზმისათვის.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 4 (165) აპრილი, 1965 წ.

გამოცემის XV წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

9775

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა



ეს დღეც დამთავრდა. დღიური გეგმა შესრულებულია 120 პროცენტით.

# დრო, მოდა და აბრეშუმი

ნ. აბულაძე

ფოტო ო. თურქიასი და ე. პესტოვისა.

ჩვენმა სახელოვანმა ისტორიკოსმა და გეოგრაფმა ვახუშტიმ საქართველო ასე დაახასიათა:

„...ესე არს ქვეყანა მშვენიერი და ნაყოფიერი ყოვლითა ღვთისა მიერ, რამეთუ ნაყოფიერებს ყოველნი თესლ-მარცვალნი კაცთა საზრდელნი... კვალად ჰყოფენ აბრეშუმსა, არამედ ქუხილის გამო ვერა მრავალსა, რამეთუ სასტიკად მქუხარებს და მის გამო მოსწყდების ჭიანი".

ისტორიული წყაროებიც რომ არ დავიმოწმოთ, ყველას, ვისაც სოფელში გიცხოვრიათ, გახსომებათ — იმ სახლის ეზოში, სადაც ჭია ჰყავდათ დაყენებული, ბავშვებს უკრძალავდნენ ყიჟინსა და ცრიამულს, ბურთისა და ლახტის თამაშს, შოლტის ტყლაშუნს, სტვენას, სალამურზე დაკვრასაც კი — ჭიას ხმაური არ უყვარსო.

პოდა, მეჭა-ქუხილზე რაღა ითქმის... ეს პირველი მტერი ყოფილა აბრეშუმის ჭიისა.

მაგრამ ყველაფერს გაუძლო ამ მადლიანმა ჭიამ — ცუდ მეჭა-ქუხილსაც და მიწიერსაც. და ახლა კი ერთმა რაღაცამ ისე შეუტია, ისე... ეს რაღაცა — მოდა გახლავთ.

ტანსაცმლის მოდასაც, ისევე როგორც ყოველგვარ მოვლენას ცხოვრებაში, თავისი კანონები აქვს. ჟამთა სვლასთან ერთად ისიც იცვლება, როგორც იცვლება ფერწერის სტილი, ხუროთმოძღვრება, ავეჯი და მრავალი სხვა.

ყოველ დროს ადამიანები იცვამენ ისე, როგორც იმ ეპოქას და წეს-ჩვეულებებს შეესაბამება; მოდაც დროის ამ მოთხოვნილების ერთ-ერთი გამოვლინებაა და, რა თქმა უნდა, მისი უარყოფა ბევრ ესთეტიკურ სიამოვნებასა და პრაქტიკულ სარგებლობას მოაკლებდა ადამიანთა საზოგადოებას.

აბა, ერთი წუთით წარმოიდგინეთ და ამ ჩვენს ეპოქაში, ატომის, ტელევიზიისა და კოსმოსური რეისების ეპოქაში, უცებ ამ სასწაულების შემქმნელი თანამედროვე ადამიანი შემოსეთ ძველებური ჩოხა-ახალუხით, ხაბარდიანი კაბით ან ბეწვმოვლებული ქულაჯით! შეუძლებელია.

ცხადია, ჩვენი დრო თავისებურ ესთეტიკურ მოთხოვნილებებს აყენებს და ამიტომ არის რომ დღევანდელი ადამიანების ჩაცმულობაც დიდად განსხვავდება წარსული დროის ტანსაცმლისაგან.

და თუ დღეს ჩვენს ყოფაში ფეხი მოიკიდეს სინთეზური ბოჭკოების ახალმა ქსოვილებმა, შალი და აბრეშუმი მათ გვერდით მაინც დარჩა სრულუფლებიან, საუკუნეთა მანძილზე შემოწმებულ და შეთვისებულ „პარტნიორებად", დარჩა ისევე, როგორც დარჩა მოქანდაკესათვის ქვა, ხუროთმოძღვრისთვის აგური, დურგლისათვის ხე და ფერმწერლისათვის ტილო.

ეს სინთეზური ქსოვილებიც ხომ იმიტომ შემოიღნენ, რომ ვთქვათ, ბუნებრივი აბრეშუმის მიღება ბევრად ძვირი ჯდება და თავის დროზე ხალხსაც არა ჰყოფნიდა.

სწორედ ეს აბრეშუმი გახლავთ ახლა ჩვენი ფიქრისა და განსჯის საგანიც.

ქართველმა კაცმა უძველეს დროიდან იცოდა აბრეშუმის ძაფის მიღება და მისგან ლამაზი და გამძლე ქსოვილის დამზადება. ქართველი ფეიქრების ნაქსოვ-ნაქარგი ფარჩა-აბრეშუმი ასეული წლების მანძილზე თვალს სტაცებდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ადამიანებს. მეაბრეშუმეობა და ფეიქრობა ჩვენს ქვეყანაში ისეთივე საშვილიშვილო საქმედ ითვლებოდა, როგორც მევენახეობა და ღვინის დაყენება.

და ქართველი ხალხის ეს ოდითგან წამოსული ტრადიცია რომ დღესაც ცოცხლობს, ამაში უმალ დარწმუნდებით, თუ ლენინის ქუჩის დაღმართს ჩაყვებით და მდინარე ვერის ნაპირას ამართული აბრეშუმ-საქსოვი ფაბრიკის ჭიშკარს შეაღებთ.

კომუნისტური შრომის ბრიგადირი ვასილ გეგეშიძე.



მოსამზადებელი საამქროს მქსელავი ვენერა თედეშვილი.



ათვალიერებენ მზა პროდუქციას.







ეზოდანვე ასობით საქსოვი დაზგის დგანდგარი შემოგესმით, შეხვალთ შიგ და თვალები აგიჭრელდებათ. ათობით, ასობით საბეჭი და სარტყამი ხმაურობს, ტრიალებს, ასობით, ათასობით მაქო გადაგამოდის, თმაზე უწვრილესი მზზინვარე ძაფები და ათასი ფერით მოჩითული ძვირფასი ქსოვილი თოფებად იკეცება ფაბრიკის თაროებზე.

დაზგების რახრახი დირექტორის ოთახშიც ისმის, ისმის კი არა, მთელი სხეულის თვითეული უჯრედით იგრძნობა, მაგრამ აქეთ რამეს აქ დიდი ხანია უკვე შეჩვეულნი არიან; დირექტორი ლევან დოლიძე, მაღალი, შავგვრემანი კაცი, ფაბრიკის შესახებ ბევრ საინტერესო ამბავს გვიამბობს.

ფაბრიკა ყოველდღე ასორმოცი სხვადასხვა მოჩითულობის 65 ათას მეტრ ქსოვილს უშვებს. მარტო მიმდინარე წელს უნდა გამოუშვას ოცდათორმეტი სხვადასხვა სახის მრავალი მილიონი მეტრი ქსოვილი, რომლის ღირებულება დაახლოებით 20 მილიონი მანეთი იქნება.

— მაგრამ რა უნდა ქნა, — გვეუბნება ლევან დოლიძე, — აქაოდა მოდა არ არისო, ეს ჩვენი ქალებიც ალმაცერად უყურებენ ამ ჩვენს ნახელავს. აქ, ჩვენს საწყობებში ასეულ ათასობით მეტრი ქსოვილია დაწყობილი. რომ გაშალო, ამ დედამიწას ვინ იცის რამდენჯერ შემოევლება...



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუნუ ცირცვაძე და ცისანა დათაშვილი ამზადებენ ახალი ქსოვილის ნიმუშს.



განუწყვეტლივ გუგუნებენ მანქანები.

ეს რომ გავიგონეთ, პირველად გვეუცხოვა. რაშია საქმე? აბრეშუმსა სწუნობენ?

მესამე საუკუნეში რომის იმპერატორმა ლუციუს ავრელიანმა (214-275), პალმირის დედოფალი ზინობია რომ დაამარცხა, მერე ეგვიპტეც დაიმორჩილა და გაძარცვა, მერე გალების ქვეყანაც შემოერთა, იმდენი მოსახვეჭელი მოზიდა რომში, სათვალავი არა ჰქონდა... მაგრამ როცა განარებულმა რომის იმპერატრიცამ აბრეშუმის კაბა სთხოვა თავის უძლეველ მეუღლეს, იმპერატორმა უარი უთხრა — ძალიან ძნელი საშოვნელიაო!

ახლა კი, დღეს თბილისელი ქალიშვილები აბრეშუმს აღარ კადრულობენ. მარტო თბილისელები? სოფელშიც აღარავინ იცვამს: „უიმე, მაგას რა ჩამაცმევსო".

არა გჯერათ? აი, საქდუსის ცნობა:

„გამოირკვა, რომ ჩვენი ქვეყნის მთელი რიგი საწარმოების, მათ შორის თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ნატურალურ აბრეშუმის ნაწარმზე თითქმის სრულებით არ არის მოთხოვნილება".

არ არის და რას იზამ?

აფსუს! როგორ შემოგნატროდნენ, ლამაზო! პირველსავე ქართულ წიგნში „წამებაი შუშანიკისა" ნათქვამია — „შუშანიკ ნაცვლად პიპნაუხტისა საქმისა... ხელთა ალიხუნა დავითნი"...

პიპნაუხტი ანუ პიპნაური აბრეშუმს ერქვა.

მეორე ძველი ავტორი წერს:

„სასიძო შთაიცვამდა პერანგსა პიპნაურისასა"...

ეს ყველაზე კოხტა და თავმომწონე სასიძო იყო!

ახლა იმდროინდელი პატარძლის მზითვის წიგნი ნახეთ:

„ჩემი ნანინანატრ ქალისათვის მიმიცია მზითვად კაბა დიბისა ყვითელი ფირუზქარის გილანური ოქროს ლილითა, ვალით ნასყიდი, სუზანი, აბრეშუმის ფერადით ნაკერი, თავისის სარჩულითა და მწვანის აბრეშუმის საჩეხითა" და ა. შ.

რაღა შორს მივდივართ: ყველაზე ულამაზესნი ამ ქვეყნად — ნესტანი და თინათინი ფარჩა-აბრეშუმით არ იყვნენ შემკულნი!

ახლა კი, ჩვენი დღევანდელი ავთანდილები და თინათინები აღარ ეკარებიან აბრეშუმს.

აი, ეს აწუხებს ჩვენს დირექტორსაც.

რა გვეთქმის, მოდა მოდაა და აბრეშუმ-საქსოვმა ფაბრიკამაც დიახაც რომ ამ ქალიშვილის გემოვნების მიხედვითაც უნდაააწყოს თავისი პროდუქციის გამოშვების საქმე, რადგან ეს ქალიშვილი გახლავთ ამ ქსოვილის მყიდველიც და მომხმარებელიც.

იქნებ მას ასე არც აეთვალწუნებინა ეს აბრეშუმი, ცოტა გემოვნებით რომ ყოფილიყო მოხატულ-მოჩითული.

ახლა ჩავუფიქრდეთ ზოგ რამეს.

თბილისის ფაბრიკაში ავიწყდებათ, რომ თანამედროვეობას თავისი სტილი აქვს, ლაკონური ნახაზი, ფერთა ახლებური შეხამება, რაც დღეს გემოვნების ეტალონად არის გადაქცეული.

დირექტორის სამუშაო მაგიდაზე ფაბრიკის მიერ დამზადებული ქსოვილების ნიმუშების ალბომი დევს. მარტო ეს ალბომიც რომ ნახოთ, უმალ დარწმუნდებით თუ რა უგემოვნოდ, ჭრელ-ჭრულად, მყვირალა ფერებით იჩითება აქ წარმოებული პროდუქციის დიდი ნაწილი.

ვინ ჰქმნის ამ ჭყეტელა, იაფფასიან მოხატულობებს და შეფერილობას, რასაც არც ქალაქად აქვს გასავალი და არც სოფლად? დღევანდელი მომხმარებლის რა მოთხოვნილებას ითვალისწინებენ ეს ადამიანები, როცა ასეთი მოჩითულობის ნიმუშებს ამზადებენ?

არიან ადამიანები, რომლებიც იღწვიან და ცდილობენ ახლავე შექმნან და გაამზადონ ქსოვილთა მოხატულობის ნიმუშები მომავალი 5-10 წლისათვის. რატომ არ ფიქრობენ ისინი, რომ ამ ხუთი თუ ათი წლის მანძილზე ვინ იცის რამდენჯერ შეიცვლება მოდაც, მყიდველთა გემოვნებაც და, მაშასადამე, მოთხოვნილებაც.

მოდა მოდაა, და იქნებ ამ აბრეშუმის ქსოვილებს რომ თანამედროვე მოთხოვნილებისთვის ეპასუხათ თავიანთი ნახაზით და შეფერილობით, ეს დღევანდელი ჩვენი ქალიშვილი ამდენ „ახირებას" აღარ გამოიჩენდა.

მოდასაც კარნახობენ.

არა და, აბა იფიქრეთ, რამდენი შრომა იხარჯება ამ ქსოვილების დასამზადებლად. მარტო თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში ორი ათასზე მეტი მუშა ახმარს ამ საქმეს თავის ძალასა და ენერგიას; ფაბრიკის ოცდაათამდე ბრიგადას მოპოვებული აქვს კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელწოდება, ორმოცდაათამდე ბრიგადა კი ამ საპატიო სახელისათვის იბრძვის. მათგან ყველაზე უფრო გამოირჩევა ვასილ გეგეშიძის კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მოწინავეა რესპუბლიკის მქსოველთა შორის.

ამ ბრიგადის მიერ დროის, დანადგარების, საქსოვი მასალისა და შრომის უაღრესად რაციონალურად გამოყენებასა და მის წარმატებებზე საბჭოთა კავშირის სხვა საფეიქრო ცენტრებშიც კი ლაპარაკობენ, მასზე იწერება წერილები, ნარკვევები, წიგნები, მის გამოცდილებას იზიარებს ასობით და ათასობით მქსოველი.

ამ ფაბრიკაში მუშაობს საყოველთაოდ ცნობილი მქსოველი, სოციალისტური შრომის გმირი ეთერი სოლომონია, აქ მუშაობენ წარჩინებული მქსოველები — ნათელა რამიშვილი, მაყვალა ფსუტური, ანგელინა სოხაძე, ლუბოვ მადიჩი, ლუდმილა პიროგოვა და კიდევ ვინ მოსთვლის!

მათ მადლიან, ლამაზსა და ვაჟკაცურ შრომას კიდევ უფრო მეტი გულმოდგინებით უნდა შევუწყოთ თანამედროვე მხატვრის მაღალი და უფაქიზესი გემოვნება, ფერი და ნახაზი.

მაშინ აბრეშუმი მოდასაც მოერევა, თავის ჭკუაზე წაიყვანს და ოდითგან სახელგანთქმულ ქართულ პიპნაურს მოაძებნინებს იმათაც, ვინც ახლა, მაღაზიის თაროებზე რომ დაინახავს მას, გულგრილად ჩაუვლის ხოლმე გვერდით — რათ მინდა, ახლა ვილას აცვიაო!

გააკეთეთ ასე და ნახავთ ჩაიცვამენ თუ არა?



1

შირაქის ველზე მივდივარ,
უკან მაბრუნებს ქარიო,
წინ შემეყარა პეპელა,
წითლად უჩანდა მხარიო...
საყვარლის კაბას ვამსგავსე,
ღმერთო, დამწერე ჯვარიო!

ეს გულში ჩამწვდომი სტრიქონები ალბათ იმ ადამიანმა წარმოსთქვა, ვინც პირველმა განიზრახა ამ თვალუწვდენელ მინდორში სახლი ჩაედგა და კერა გაეჩაღებინა.

რაოდენი სიყვარული და გულის სითბოა ჩაქსოვილი ამ სიტყვებში!

შირაქის ველზე, სწორედ ალაზნის გადასახედისაკენ, სამი ვეება სოფელია გაშენებული — ზემოქედი, არხილოსკალო და ქვემოქედი.

საქართველოში ვინ მოსთვლის რამდენი სოფელია, რომელთა სახელებიც არაერთგზის არის მოხსენებული ჩვენი ძველი მატიანეების ფურცლებზე — მათი ხნოვანება საუკუნეებით გაიზომება, ისინი ბევრ რამეს შესწრებიან, მათს თავზე, როგორც იტყვიან ხოლმე, ისტორიის ყველა ქარიშხალს გადაუვლია.

ასეთი ხანგრძლივი ისტორია არა აქვს იმ სამ სოფელს, რომლებიც ზემოთ ვახსენეთ, — ისინი მეოცე საუკუნის დასაწყისში წარმოიშვნენ. მაგრამ მაინც მეტად ძალზე საინტერესოა მათი წარსული.

საინტერესოც არის და სასახელოც.

ეს სოფლები ვაჟა-ფშაველამ დააარსა.

ოდესღაც, უხსოვარ დროიდან აქ მარტო საძოვრები იყო. ამრიგად, თითქმის სანახევროდ უქმად ეგდო ეს უზარმაზარი შირაქის ველი; იმავე დროს, საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა — მთიულები, ფშავლები, ხევსურები უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდნენ. სასოწარკვეთილი ადამიანები ცდილობდნენ როგორმე დაეღწიათ თავი განსაცდელისაგან, ეძებდნენ გულშემატკივარს, რომელიც მალამოს მოუძებნიდა მათ ტკივილებს.

აღმოჩნდა ასეთი კაციც — ეს იყო ვაჟა-ფშაველა. საოცარი გულისყურითა და გაუტეხელობით მოეკიდა პოეტი ამ საქმეს, რომ იტყვიან, მართლაც რკინის ქალამნები ჩაიცვა, მხარზე თავისი განუყრელი ხურჯინი გადაიგდო და გუბერნატორისა და მთავრობის სხვა მოხელეთა კარების ატალახება დაიწყო. გამალებით იბრძოდა ვაჟა. ჟურნალ-გაზეთებში ზედიზედ ბეჭდავდა წერილებს, დაუცხრომლად ედავებოდა მიწადმომწყობი კომისიის გაკერპებულ წევრებს, ამხილებდა და სამარცხვინო ბოძზე აკრავდა ყველას, ვინც კი წინ ეღობებოდა მთიელი ხალხის ბარში ჩამოსახლების საქმეს...

ვაჟა-ფშაველამ დიდი ბრძოლისა და მეცადინეობის შემდეგ მოახერხა თავისი გაეტანა. მისი თაოსნობით შირაქის ნოყიერ ველებზე რამდენიმე ასეული კომლი ჩამოსახლდა და დასაბამი მიეცა ახალი სიცოცხლის დასაწყისს.

ქიზიყში აღმოცენებულ სოფლებს — ზემო ქედს, არხილოსკალოსა და ქვემო ქედს ვაჟა-ფშაველა არც შემდგომში აკლებდა გარჯას. იგი მზრუნველი მამასავით ედგა მხარში ხალხს, ცდილობდა სწავლა-განათლება შეეტანა მოსახლეობაში, ხელი შეეწყო გლეხობისათვის.

* * *

წელს, გაზაფხულის პირზე შირაქს რომ ვესტუმრეთ და იქაურ სოფლებს დავხედეთ, ისევ დიდი ვაჟა გაგვახსენდა.

ვაჟას თხზულებათა მე-7 ტომში შეტანილია ერთი პატარა, ხუმრობისმსგავსი ამბავი, რომელიც ბევრს მეტყველებს იმ დღეებზე, როცა პოეტს მთიელები ბარად ჩამოჰყავდა და ბარის კვალობაზე ნათლავდა. მთებსა და ჰიუხებს მიჩვეულთ პირველად ყველაფერი ეუცხოებოდათ; და აი, ვაჟა მოგვითხრობს:

ხევსური შიშია კახეთში რომ ჩამოვიდა, ვენახში შეიყვანეს და ყურძენი მიართვეს. მას მანამდე არც ვენახი გაეგონა და არც ყურძენი ენახა. მოწყვიტა ერთი მარცვალი ქარვისფერ მტევანს, გასინჯა გემოთი და უმალ უკმაყოფილოდ შეიბმუხნა სქელი წარბები:

— ფუჰ, რა ყოფილა ეს ყურძენი... ყალივნიანი პირი გამიფუჭა, —

ახლა კი იმ შიშიას შთამომავალნი ისეთი მევენახენი არიან — ამ საქმის უძველეს ოსტატებს — კახელებს აღარ ჩამორჩებიან. ჩადით შირაქის ბოლოს, ზილიჩაში, ნახეთ ზემოქედელების ვენახები და თქვენ თვითონ დარწმუნდებით...

დააარსა ვაჟამ ეს სოფლები, გაჩაღდა კერებზე ცეცხლი, ძველ ქართულ მიწაზე ღონივრად გაიდგეს ფესვები ამ სოფლებმა, მაგრამ მძიმე და დუხჭირი დრო იყო და ბევრი რამ უჭირდათ. 1918 წელს ვაჟა წერდა:

„დღეს ქედელების საჩივარი და სატირალი სასმელი წყაროების სიმცირეა და სუნით დაეძებენ ამ მხრივ მათ გამაბედნიერებელ ადამიანს — ჰიდრავლიკოსს... ისინი არაფერს, სულსაც კი არ დაჰზოგავენ, თუ ვინმე წყალს ამოიყვანს სოფელში“. (ვაჟა-ფშაველა — თხზულებანი, ტ. X, გვ. 88).

ზემოქედიდან რომ გაჰხედავთ, შორს, ლურჯი კავკასიონის ძირში ზაქათლის ტყეები ჩანან. იქ უხვად ჩქეფს კავკასიონის მთებიდან წამოსული წყაროები; სწორედ ისინი წამოიყვანეს ქედისაკენ მილებით, წყაროები ალაზნის გადმოღმა თვითდინებით გადმოდიან; აქ კი მათ დაუდგეს მძლავრი, ელექტროენერგიაზე მომუშავე წყალსაქაჩავები, რომლებსაც მთის ცივი წყარო ამოჰყავთ შირაქის ზეგანზე, სამივე სოფელში; მარტო აქ კი არა — წყაროები მირზაანის ნავთის სარეწებსაც სწვდებიან, გულშირაქსაც და ელდარსაც.



2



3



4

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შირაქის ველზე მივდივარ

ფოტო Თ. ᲐᲠᲩᲕᲐᲫᲘᲡᲐ

აი, რა შესანიშნავი კომენტარები გაუკეთა ჩვენმა დრომ ვაჟას სტრიქონებს.

კიდევ რას უჩიოდა ვაჟა? ჩემი თვალითა ვნახე, შირაქში აუარებელი თაგვი გაჩენილა და მთელ ხალხს უსაზრდოოდ დასტოვებსო. „ვურჩიე წამალი გამოეწერათ და უბან-უბან მოეფინათ საწამლავი... რამდენად გასჭრის ჩემი დარიგება, არ ვიცი“. (იქვე, გვ. 84).

ჩვენს დროში ეს განსაცდელიც მოიშორეს შირაქის ყანებმა. თუთიის ფოსფიდს ახლა თვითმფრინავები აფრქვევენ მინდორზე.

სკოლა არა აქვთო, კიდევ ამაზე ჩიოდა ვაჟა; „გულით მთხოვეს გამეწია მათთვის წინამძღვრობა და დახმარება“. (იქვე).

ახლა სამივე სოფელს საშუალო სკოლა აქვს, ილიჩის ნათურით არის გაბდღვიალებული სამივე; აქ ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა მადლი და ბარაქა თავისუფალი შრომისა.

ველარ იცნობთ შირაქს — მთელ ამ ვეება მინდორში გაუთავებლივ ისმის მანქანების გუგუნი და ხალხი საკუთარი ხელით ჰკაფავს გზას უფრო ნათელი მომავლისაკენ.

* * *

გაზაფხული დაიწყო და დაიწყო ცხარე დღეებიც.

ჩვენი ფოტოკორესპონდენტიც ამ დღეებში ეწვია ზემოქედს.

მთელი ზემოქედი ფეხზე დგას, დიდიც და პატარაც მინდვრადაა გასული.

ძველი ტრაქტორისტი ალექსი ბექაური კარგა ხანია უკვე პენსიაზეა, მაგრამ მაინც სიყვარულით დასტრიალებს თავზე სოფლის ტრაქტორისტებს.

აი, ახლაც ალექსი კოლმეურნეობის მექანიზატორთან — კოლა მელიქიშვილთან მისულა და ხვნის დაწყების წინ რჩევა-დარიგებას აძლევს მას (სურ. 1).

ზემო ქედის კოლმეურნეობამ მარცვლეულის მოყვანით მთელ რესპუბლიკაში გაითქვა სახელი. არაიშვიათად მოჰყავთ მათ საქართველოსათვის სარეკორდო მოსავალი — 25-30 ცენტნერი ჰექტარზე. ამ წარმატებათა შემოქმედნი და საფუძვლის ჩამყრელნი მექანიზატორები არიან. კოლმეურნეობას ახლა ორმოცდათორმეტი ტრაქტორი აქვს. აი, ახლაც მოსავლის ოსტატები სარემონტო სახელოსნოში შეკრებილან, ერთხელ კიდევ ამოწმებენ და გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებენ თვითეულ დეტალს (სურ. 2).

წლევანდელ გაზაფხულზე ქედელები მეტი ხალისითა და მონდომებით შეუდგნენ საქმეს. ეს კერძოდ მეორე სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორისტზე — გიორგი მელიქიშვილზე ითქმის. ამ ბარაქიან შავ ხნულში მალე გაღვივდება თესლი კეთილი და ბარაქიან მოსავლად მოხვავდება კოლმეურნეობაში (სურ. 3).

სახელგანთქმული ტრაქტორისტი მიხეილ წიკლაური სამი ვაჟის მამაა. ეს პატარა ბიჭუნა, მისი ნაბოლარა ვაჟიშვილი დათო გახლავთ. ჯერ ხუთი წლისა არც კი შესრულებულა დათო, მაგრამ კვიცი გვარზე ხტისო, ნათქვამია, მამასავით მასაც ერთთავად ტრაქტორისაკენ გაურბის თვალი. (სურ. 4).

აქ კი მინდვრებიდან კმაყოფილი ბრუნდებიან კოლმეურნეობის მოწინავე ტრაქტორისტები. მათ იციან, რომ დღევანდელი შრომით თავიანთი წვლილი შეიტანეს საერთო გამარჯვებაში (სურ. 5).

Ო. ᲓᲔᲛᲔᲢᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

5



# „არა სამთვრალოდ და გასაშმაგებლად“

ქართული პროგრესული აზრი ყოველთვის მედგარ ბრძოლას უცხადებდა ისეთ მახინჯ მოვლენას, როგორიც არის ლოთობა. ჯერ კიდევ X საუკუნეში იოანე ბოლნელმა მთელი სისასტიკით დაგმო ლოთობა და საქვეყნოდ განაცხადა: როცა მასპინძელი სტუმარს იმაზე მეტს ასმევს, რაც მას ძალუძს, ცუდს შვრება, რადგან „რაჟამს იწყე მეტისა მის ზედა და გარდაჰრიე ღვინითა და ასხამდი, ვითა თხიერსა,[1] მაშინ იწყოს მან... აღმოთხევად, ვითარცა თხიერმან, რაჟამს შთაასხიან თხიერთა ღვინო თვინიერ ზომისა, მაშინ მანცა იწყის აღმოთხევად. აწ მითხარღა მე შენ, რა კეთილი უყავ ძმასა შენსა, რამეთუ ასვი მას ღვინო და დაარვე იგი... მიჰხდა წესიერი იგი ფერი პირისა მისისაგან, ენაიცა მისი მოვეელო მისგან. იხედავს იგი თვალითა, ვითა ბორგნეული. ცა და ქვეყანა ყოველი, ვითა წისქვილი და ვითა ურმის თვალი წინარე თვალთა მისთა ეგრევე ექცევის... და თუ ზე აღდგეს — დავეეცეს და თუ პოოს კედელი, ებრჯინებოდეს და თუ ვერ პოოს კედელი, მი-და-მო ტორტმანებდეს, ვითარცა უფერხო და თუ განვიდეს გარე, დავეეცეს მუნ და, ვითარცა თხიერი წარხსნილი, წარდიოდეს იგი; ვითარმედ არა ძაღლნიცა ჰლოშნიდნენ პირსა მისსა, ნუუკვე მოვიდენ მხეცნიცა ველისანი, ჰპოონ და შეჭამონ იგი; ანუ პოონ იგი ყორანთა ცისათან და აღმოჰხადიან თვალნი მისნი და, უკეთუ იხილონ მოყვარეთა მისთა, შეწუხდენ, ვითარცა მტერნი მისნი, ეკიცხევდენ მას. მე ვითარ ვგონებ, არა კეთილი უყავ ძმასა მას შენსა, არამედ — ყოველი ბოროტი“ (იოანე ბოლნელი — ქადაგებანი, 1911 წ. გვ. 83 — 84).

კიდევ უფრო საინტერესოა მემთვრალეთა შესახებ სულხან-საბა ორბელიანის შეხედულება. თავის ცნობილ ნაწარმოებში — „სწავლანი“ სულხან-საბა ორბელიანმა ლოთობის საკითხს სპეციალური თავები მიუძღვნა. ბრძენი საბას შეხედულებებს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ვრცლად შევჩერდეთ მის მოსაზრებებზე.

სულხან-საბა ორბელიანის აზრით სიმთვრალე ყოველგვარი ბოროტების წყაროა. რა მოაქვს ადამიანისათვის ზედმეტ ღვინის სმას? ასეთ კითხვას სვამს ჩვენი დიდი წინაპარი და თვითონვე უპასუხებს: „გგონიათ, რათა სვამთ მეტსა ღვინოთა და განმხიარულდებიან გულნი თქვენნი, სიხარული რამე მოსცეს თავთა თქვენთა და არა სიბილწე? მაშინ ღვინითა ოდესცა მხიარულ ხარ, არათუ სიხარული რამე შესრულ არს ტვინად შენდა, არამედ შმაგობა შევალს და სიბრძნე ივლტის და სიშმაგე იგი განსცხრების და იხარებს“. (სულხან-საბა ორბელიანი — თხზულებანი, ტ. III. 1963, გვ. 213).

გამუდმებულ ლოთობას ის მოსდევს, რომ ლოთებს: „სახლნი ვახშითა აღევსებიან, საუნჯენი დაუცალიერდებიან, ღვინო და პური მოაკლდებისთ, და სახლეულნი მშიერნი დაუშთებიან და ესრეთ საკიცხელ იქმნებიან“. (იქვე, გვ. 215).

ლოთობას სხვა უბედურებაც მოსდევს, ლოთი სიმთვრალის დროს ზომიერებას ჰკარგავს, რის გამო ან სხვას ჰკლავს, ან თვითონ იკლავს თავს.

თუ ლოთ კაცს საზოგადოებისა და ოჯახის წევრთა და ნათესავთათვის ზიანი მოაქვს, კიდევ უფრო დიდი ზიანი მოაქვს თავისთავისათვის. მემთვრალე „ომთა და ბრძოლათა შინა დაზიანდების, სავაჭროთა შინა იავარ-იქმნების, ღვიძლი განუხურდების, გონება დაუსუსტდების, სიმრთელე გაეცლების და გვამთა აგებულება სნეულებითა აღევსების, თავის ტკივილი განუმრავლდების, თვალთა სიწითლე განუხშირდების, მხედველობა და სინათლე მოაკლდების, ყურნი სმენად დაუმძიმდებიან, გულთა მფლობელობა უსუსურ იქმნებიან, ტვინნი დაუთხელდებიან და ჰკუა და ცნობა დაეფანტებიან. თავი და ხელნი თრთოლას დაუწყებენ, თუმცა სნეულება განუმძლავრდა, სიკვდილისა ვერღარა გულისხმა-ჰყოფს“. (იქვე, გვ. 217).

იოანე ბოლნელის მსგავსად, სულხან-საბა ორბელიანიც ჰკიცხავს იმ პირებს, რომელნიც ნებსით თუ უნებლიეთ ხელს უწყობენ ლოთობას, სტუმარს ძალით ასმევენ ღვინოს იმაზე მეტს, რაც მას შეუძლიან. იგი წერს:

„შეიყვან სახლთა შენთა კაცსა ბრძენსა და კეთილად მხედველსა, პატიოსნად გონიერსა და ტკბილად მოუბარსა, დაუგებ ტაბლასა[2], არა ზომიერ ასმევ და არცა საწყურვალოთა ასმევ, რათამცა კეთილი ეყოს, არამედ გარდამატებით ასმევ და გარდარევით აჰმევ და ასხამ ღვინოსა, ვითარცა ყვიბართა[3] შინა“ (გვ. 197). ამას შედეგად ის მოსდევს, რომ სტუმარს „მოეღების „სიბრძნე ღმერთისაგან მინიჭებული, აღერევის თვალნი კეთილად მხედველნი, არღარა ესმის აღერსი სხვათა და თვით უბნობს, ვითარცა ხელი ოდეს აღივსის, იწყის... აღმოთხევად, ვითარცა თხიერმან პირგახსნილმან. უკეთუ ტაბლათა შენთა აღმოსთხია, წარგიბილწნა ჭურჭელნი შენნი; უკეთუ ზე აღდგა, ფერხნი შეპყრობილ აქვნ და არა ძალ-უც დგომად, არა ჰყავნ კაცი, რათამცა ხელპყრობილ ყო, ანუ თუ პოვა ზღუდე და მიეყრდნა“. (იქვე, გვ. 197-198).

სულხან-საბა ორბელიანი სვამს კითხვას: თუ ღვინის სმას ასეთი უბედურება მოსდევს, „მაშ რად დაბადა ღვინო ღმერთმან უკეთუ არა ვსვათ და არ ვილხინოთ?“

ამ კითხვაზე ავტორი ასეთ პასუხს იძლევა: „ჰეე, ღმერთმან დაბადა ღვინო კაცთათვის სასმელად, და საკურნებლად და ხორცთა სასიმრთელოდ, არა-თუ სამთვრალოდ და გასაშმაგებლად და სასნეულოდ და სასიკვდილოდ“. (იქვე, გვ. 218). სულხან-საბა ორბელიანი ღვინის სმას, სტუმრობას, ლხინს კი არ უარყოფს, პირიქით, იგი დარიგებას იძლევა: „სტუმარი ისტუმრენით სიხარულითა, სვით ღვინო ზომიერად და ჭამეთ ტაბლა კეთილად, მოყვასნი შეიყვარენით უცოდველად და კეთილსა უყოფდეთ და ნუ ბოროტსა“. (იქვე, გვ. 199).

საბა მოითხოვს, რომ სუფრაზე არ იყოს „უწესური ჭამა, უნებური სმა, შეუგვანი წარსაგებელი, ამაო საუბარი, უშვერი სიცილი, ურცხვინო აღერსი, ბილწი სიმღერა, ბოროტი როკვა“, რადგან „ესე ყოველივე ჭირი არს და არა ლხინი“. (იქვე, გვ. 218).

მემთვრალეობას სულხან-საბა იმდენად დიდ ბოროტებად მიიჩნევს, რომ ამ საშინელ სენს სხვა დანაშაულთა შორის ყველაზე უფრო დიდ დანაშაულად თვლის. იგი წერს: „უკეთუ შეემთხვევა ვისმე სიძვა ანუ პარვა, ანუ კაცის კლვა—წამსვე შინა შეიკდემს, შეიშინებს ღმრთისაგან და შეირცხვენს კაცთაგან, იწყებს სინანულად გულითა ლმობილითა, თავსა თვისსა ცოდვილად უწოდებს და ცრემლოან და მოძღვართა საკანონოთა მოიძიებს, ხოლო მემთვრალენი არა-თუ შეირცხვენენ, არამედ უხარის და უფროისად სმენ, უდიდესთა შთაისხმენ და უფროისად ურცხვინოდ განეშორებიან ღმერთსა, და დაივიწყებენ სინანულსა და თავსა თვისსა კეთილმოქმედად უწოდს, და უხვსა და მოლხინესა დანატრიან თვისთა სიბორგილეთა და იქადიან დიდად ბოროტთა ზედა, და გმობენ ზომიერად მჭამელთა და ძუნწად და პირშავად ხდიან მათ“. (იქვე, გვ. 218 — 219).

ასეთია სულხან-საბა ორბელიანის შეხედულება ერთ-ერთი მახინჯი მოვლენის — ლოთობის შესახებ. ლოთობის მავნე ხასიათის შესახებ ფეოდალური საქართველოს არაერთ სხვა მოაზროვნესაც გამოუთქვამს თავისი შეხედულება. ვახტანგ მეექვსეს აზრით:

„ცოტა ღვინო ზომიერი ჰკუას კარგა გაასწორებს,
ნამეტანი სახეს შეშლის, მასცა შორედ გააშორებს“.

ფეოდალურ საქართველოში სწავლულები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ დიდაქტიკურ-მორალური ხასიათის ნაწარმოებებს. ისინი სხვადასხვა დროის ბრძენთა გამონათქვამებს ჰკრებდნენ, საკუთარს უმატებდნენ, კრებულებს ადგენდნენ და ამით სასარგებლო საქმეს აკეთებდნენ. ერთ-ერთ ასეთ კრებულს წარმოადგენს ე. წ. „სწავლანი ფილოსოფოსთანი“. ამ კრებულში ლოთობის მავნე შედეგების შესახებ შემდეგია ნათქვამი: „მრავალნი დიდნი საძაგელნი მთვრალობისა მიერ აღმოსცენდებიან და კეთილ არს წესიერად სუმაი, არა ხოლო ღვინისა, არამედ წყლისაცა“. (ტრ. რუხაძე — „სწავლანი ფილოსოფოსთანი“, „ლიტ. ძიებანი“, IV, 1948, გვ. 313).

ე. წ. „მელის წიგნში“ ვკითხულობთ: „მემთვრალე კაცი წაუხდენელი არ დარჩება. რა გინდა რომ კარგი მეგობარი და ძმა კაცი ჰყვანდეს, ორჯელ და სამჯერ იმისი სირცხვილი დაჰფარონ, ბოლოს, თუ არ მოიშალა მემთვრალობა, სულითაც დაიკარგება და ხორცითაცა, და მრავალნიც დაკარგულან“. (ს. ყუბანეიშვილი — „ძველი ქართული ლიტ. ქრესტომათია“. II, გვ. 328).

სხვა მაგალითების დამოწმებაც შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც კმარა.

როგორც ვხედავთ, ლოთობას, ისე როგორც დღეს, მოწინავე საზოგადოებრივი აზრი ყოველთვის ებრძოდა. მაშინაც ასე ესმოდათ და ახლაც ასე გვესმის, რომ ღვინის სმა და ლოთობა ერთი და იგივე არ არის. ღვინო ქართული სუფრის აუცილებელი ატრიბუტი იყო, მაგრამ იგი არასოდეს არ ყოფილა ლოთობის გამომსახველი. ლოთობას მხოლოდ საზოგადოების გადაგვარებული ნაწილი მისდევდა და ლოთებს ხალხი მუდამ ჰკიცხავდა.

პროფ. **დავით გვრიტიშვილი.**

---

[1] თხიერი — ტიკი.
[2] ტაბლა — სუფრა.
[3] ყვიბარი — მომცრო ქვევრი, ქოცო.



სოხუმის უბე. ჩაძირული ქალაქის — დიოსკურიის მისადგომებთან

ფოტო ო. თურქიასი და ე. პესოვისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ირაკლი აბაშიძე.



კონსტანტინე გამსახურდია.

ლადო გუდიაშვილი.





ელგუჯა ამაშუკელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ღამე თვალი არავის მოუხუჭავს.

პოლკის შტაბში განუწყვეტლივ რეკავდა ტელეფონი. ყველაზე ბოლოს კაპიტანმა ჩეპურნოიმ უპატაკა მარჯანიძეს — ბატალიონი საბრძოლველად მზად არისო.

მერე ყველაფერი მიწყნარდა დაძაბულ მოლოდინში.

პოლკის უფროსის მიწურშიც სიწყნარე ჩამოდგა.

მიწურის კუთხეში ტელეფონთან მეკავშირე სიდორჩუკი თვლემდა. მის წინ მარჯანიძის შიკრიკი ფედია და ბატალიონიდან ახლად დაბრუნებული ზურაბი ისხდნენ. ფედია აბზინდას ამაგრებდა ქამარზე, თან გაჯავრებული სრუტუნებდა პაჭუა ცხვირით. ზურა მამის ნაჩუქარ რევოლვერს წმენდდა. ლამფის შუქზე შავად პრიალებდა ბრაუნინგის ყორნისფერი ლულა. მაგიდასთან მარჯანიძე იჯდა და რაღაცას ხაზავდა. მაგიდის იქით, კედელთან, ფიცარნაგზე ფარაჯაში გახვეული კომისარი ლობაჩოვი წამოწოლილიყო.

ფედია ოხრავდა.

— ჩემი სოფელიც გადაუწვავთ... ხალხი ტყეში წასულა... დღეს მივიღე წერილი.... და მწერს, აღარავის ინდობენო, ძაღლიშვილები!...

ფედიამ ისევ ამოიოხრა და დადუმდა.

სადღაც, ბორცვებს იქით ტყვიამფრქვევის გაბმული სროლის ხმა მოისმა...

— იღრინება, წყეული! — ჩაილაპარაკა ფედიამ, მერე თითქოს რაღაც გაახსენდაო, ზურას მხარი წაჰკრა და ყურებამდე გაიღიმა, — იცი, ვინ ვნახე? სულ დამავიწყდა მეთქვა. აი ის გოგო, ცისფერთვალება, ბანაკში რომ გვხვდებოდა ხოლმე.

ზურას კინაღამ ხელიდან გაუვარდა რევოლვერი.

— გალია?!

შიკრიკს პაწაწა, ჟიუმატა თვალებში ეშმაკები უხტოდნენ.

— სტყუი! — წაიჩურჩულა ზურამ.

— შეიძლება შემეშალა, — დაეთანხმა ფედია, — რა ვიცი, ძალიან კი წააგავდა და...

— არა, მოიცა, — ზურამ ფარანი განზე გაწია და მთელი ტანით დაიხარა ფედიასკენ, — სად შეხვდი? როდის ნახე? რატომ არაფერს მეუბნები, ბიჭო?

ყმაწვილი ცდილობდა დაემალა მღელვარება. ბანაკიდან წამოსვლის შემდეგ ველარსად იპოვა გალინა. ოსტროგოჟსკშიც ეძება, დივიზიის უფროსის იმ ჭორფლიან მამლაყინწასაც დაუდარაჯდა, მაგრამ ვერაფერს გახდა.

ზურამ იცოდა, რომ გალინა მოწყალების დად მუშაობდა დივიზიის რომელიღაც სანიტარულ ნაწილში. მაგრამ რომელში, ვერაფრით ვერ მოახერხა ამის გაგება. ვის არ ჰკითხა, ვის რა არ დაბარა, მაგრამ ქალიშვილის ასავალ-დასავლისა მაინც ვერა გაიგო რა.

ერთხელ თითქოს მიაგნო კიდეც მის კვალს. მეზობელ სოფელში ერთ-ერთი ნაწილი გაჩერებულიყო. დაჭრილები ცალკე ქოხში მოეთავსებინათ. დაჭრილებს თურმე გალინა და კიდევ რამდენიმე სანიტარი უვლიდნენ. შებინდებისას ზურგში უპირებდნენ მათ გადაყვანას.

მაგრამ იმავ დღეს სოფელში გერმანელთა ტანკები შეჭრილიყვნენ და ცეცხლისათვის მიეცათ იქაურობა. სოფელი ჩვენებს ბრძოლით დაებრუნებინათ უკან. იმ ქოხის ადგილას კი, სადაც გალინა და დაჭრილები იმყოფებოდნენ, ნახანძრალისა და ნაცრის მეტი ვეღარაფერი ეპოვნათ.

შუახნის, გრძელულვაშა სანიტარი, რომელმაც ზურას ეს ამბავი უამბო, ფიცულობდა, ჩემი თვალით დავინახე, როგორ წაუკიდა გერმანელთა ტანკმა ქოხს ცეცხლი და როგორ ამობუგა შიგ მყოფნი, ძე-ხორციელი არ გამოსულა იქიდან ცოცხალიო.

ჰოდა, ამის შემდეგ, გალინას ნახვის აბა, რაღა იმედი უნდა ჰქონოდა ზურას? ომი კრძალავდა ამას, კრძალავდა მთელი თავისი კაცთმოძულე კანონებითა და უაზრო ლოგიკით. ახლა კი აი, ფედია ირწმუნება, აქ ვნახე სადღაცო, ფედიამ არ იცოდა გალინას დაღუპვის ამბავი და გინდაც რომ სცოდნოდა, ასეთ ხუმრობას ვერც გაბედავდა. ან იქნებ მოეჩვენა რამე ამ ბოთეს?

ზურას ლამის სული დაელია მოუთმენლობისაგან.

— რა უნდა გითხრა, — ღეჭავდა ფედია, — ალაჰმა უწყის, ის იყო თუ არა. ამ არეულობაში ძაღლი პატრონსაც ვერა ცნობს და...

ზურა მოიღუშა. არ ეპიტნავა შიკრიკის მიკიბ-მოკიბული პასუხი.

— ყური მიგდე, ფედია, შენ რაღაც არეულად ლაპარაკობ. თუ სიმართლეს ამბობ, მითხარი, თუ არა და, ამ რევოლვერს ხომ უყურებ, უსინდისო ვიყო...

— გაგიჟდი? — თვალები წამოაჭყიტა შიკრიკმა, — შენ მეტი ჭკუა კი არ მოგეკითხება მართლა!

მან მარჯანიძისაკენ გააპარა შეშინებული მზერა და გაჯავრებით ატაკა ქამარს სადგისი.

— ნუ ბრაზობ, ფედია, — ხმას დაუწია ზურამაც, — ის მაინც თქვი, სად ნახე, ან როგორ იცანი? კარგი, ჰო, ხმა ამოიღე ახლა!...

შიკრიკმა განაწყენებულად ამოიქშინა, ცხვირი მოიწმინდა და, თავი არც აუღია, ისე აბურტყუნდა.

— გუშინ მამაშენმა დივიზიის შტაბში გამგზავნა... — თავი გაიქნია მარჯანიძისაკენ, — უკან დაბრუნებისას ვიფიქრე, რომელიმე მანქანას დავაჯდებიმეთქი. ჰოდა, ერთ მანქანაში ის გოგო დავინახე, ბევრი კი ვუქნიე ხელი, გააჩერეთ მეთქი, მაგრამ იმ უსინდისო შოფერმა სწორედ მაშინ გააქროლა მანქანა. აი ასე შევხედე, როგორც შენ გიყურებ. სამხედრო ფორმაში იყო. ვინ იცის, იქნებ მართლა შემეშალა. ის კია, ვიფიქრე, რა ცისფერი თვალები აქვს ამ წყეულს-მეთქი... მაგრამ, რა ვიცი...

ფედიამ ქამარი პირთან მიიტანა, ძაფი გაკვნიტა და ამოიოხრა. ახლა უკვე თვითონაც დარწმუნებული იყო, რომ შეცდა და დამნაშავე ბავშვივით ქვეშქვეშ შესცქეროდა ზურას.

კუთხეში ტელეფონი აზუზუნდა. შემკრთალმა სიდორჩუკმა თავი ასწია, ძილმორეული თვალებით შეუბღვირა ფედიას და უხალისოდ მისწვდა მილს.

— გისმენს მიწა!

და თოფნაკრავივით წამოვარდა ფეხზე.

— მესმის!... ამხანაგო პოლკოვნიკო!

მარჯანიძემ მილი აიღო.

— გისმენთ... დიახ, ამხანაგო მეცხრე! დიახ, ადგილზეა ყველა!... მესმის ამხანაგო მეცხრე!..

მარჯანიძემ მილი დაადო და ბრძანა, ტელეფონი სანგარში აეტანათ.

ღამე უმთვარო იყო, ვარსკვლავებიანი. მარჯანიძის მოადგილე მაიორი ლომაკო და რამდენიმე მეკავშირე ნაძვის ტოტებით შენიღბულ სანგარში ისხდნენ და უხმოდ გასცქეროდნენ სიბნელეს, რომელსაც მალიმალ ჰკვეთავდნენ ცაში ავარდნილი შუშხუნები. მათ ცივ შუქზე ზურა გარკვევით ხედავდა ხანჯალივით მოლაპლაპე მდინარეს, უცნაურად აბურძგნულ ბორცვებს და გვერდით მდგომი ადამიანების მოღუშულ სახეებს. შუშხუნების შუქზე ზურამ დაინახა, მამა საათს დასცქეროდა.

„იწყება“! — გაუელვა ყმაწვილს და ამ ფიქრმა მთელი მისი სხეული სიმივით დაძაბა. გულმა ხტუნვა დაუწყო. მოუთმენლობისაგან სანგრიდანაც კი წამოიწია, და მაინც შეკრთა, ისე ძალუმად შეირყა მის ფეხქვეშ მიწა.

ტყემ შემზარავად დაიგრგვინა. ათობით შუშხუნა ციცინათელების დაფეთებული გუნდივით აიჭრა ცაში, ერთბაშად გაანათა მდინარე, ტყის პირი, სანგრიდან მთელი ტანით ამართული მამა, სანგრის ძირას მოკალათებული ტელეფონისტების ყვირილისაგან მოქცეული სახეები, და უკვე აღარაფრის გაგონება აღარ შეიძლებოდა ამ გაბმულ, გონებისდამფანტველ გრუხუნში.

უცებ სანგრის წინაც იელვა. ზურას ბურთივით შეკუმშული ცხელი ჰაერი ეცა სახეში, სული შეეხუთა. ყურებმა წივილი დაუწყეს, და სანამ ყმაწვილი რამეს მოისაზრებდა, ვიღაცამ მძლავრად მოსწია უკანიდან, სანგრის კედელს მიაკრა. ზედ ყურთან მამის მრისხანე ხმა გაისმა:

— სულელო, გინდა თავი წაგაცალონ?

მარცხნივ ლაწუნით შეირხა მაღალი, გამხმარი ფიჭვი და კვარივით ანთებული ნაპერწკლების ცვენით დაეშვა მიწაზე.

ზურას გვერდით ტელეფონში უშვერი სიტყვებით ილანძღებოდა მაიორი ლომაკო. ცეცხლის შუქზე შავ-წითელი ჩრდილებით კრთოდა მისი მსხვილნაკვთებიანი, სიბრაზისაგან დალრეჯილი სახე. ზურა მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ მათ წინ გერმანელების ყუმბარები სკდებოდა. მალე მიწის შავი შადრევნები შეთხელდა და ბოლოს სულ გაქრა.

ზურამ არ იცოდა, რამდენხანს გრძელდებოდა ეს ჯოჯოხეთური გრიალი. იგი ისევე ანაზდად შეწყდა, როგორც დაიწყო, და ზვავივით ჩამოწოლილ დუმილში ახლა უკვე გარკვევით მოისმოდა ტყვიამფრქვევების უთავბოლო კრიახი. ზურას ყურებს გუგუნი გაჰქონდა. ყმაწვილი გაბრუებული იჯდა სანგრის ფსკერზე და გაფართოებული თვალებით შესცქეროდა მიწაყრილს. სანგრის გვერდით ტკაცატკუცით იწვოდა გამხმარი ფიჭვი.

— ჩააქრეთ ცეცხლი!

ეს მამის ხმაა, მშვიდი, აუღელვებელი.

რამდენიმე ჯარისკაცი გასასვლელს ეცა.

— ლომაკო, მიხედეთ გადასასვლელს. არცერთი წუთით არ უნდა დააყოვნონ, პირადად უხელმძღვანელეთ გადასვლას!

— მესმის!




**ამირან კუსრაშვილი**

დაბალი, განიერი ჩრდილი მოუხეშავად აბობღდა მიწაყრილზე და უცებ გადნა სიბნელეში.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, მესამე ბატალიონთან ხაზი გაწყვეტილია!

— აღადგინეთ ხაზი!

ზურასაკენ მამის შავი, ნაცნობი სილუეტი დაიხარა და თანაგრძნობით ჰკითხა!

— ხომ არ შეგეშინდა?

— ა-არა, — გაიქნია თავი ზურამ და თვითონვე გაუკვირდა, ისე სუსტი და მილეული ეჩვენა საკუთარი ხმა.

— ეხ, შე!.. — მსხვილმა, ხაოიანმა თითებმა ტლანქი ალერსით მოუცაცუნეს ლოყაზე, — მიდი ტელეფონთან!

ზურამ ძლივს მოასწრო წამოდგომა. ტყემ ისევ იჭექა, ისევ იძრა მიწა. ყმაწვილმა ხელის ფათურით მოძებნა სიდორჩუკის მიერ მიტოვებული ტელეფონი, ჩაჯდა და მთელი ძალით მიიკრა ყურზე მილი.

— თოლია!.. თოლია!... — იკარგებოდა გრიალში მისი ყვირილი.

ტელეფონში რაღაცამ გაიტკაცუნა, შხუილი მორთო და, თითქოს ქვესკნელიდან ამოსძახესო, ისე მოისმა შორიდან:

— გისმენს თოლია!..

— ლაპარაკობს მამა, ლაპარაკობს! — აღელვებისაგან ზურა მუხლის თავებზეც კი წამოდგა, — ალლო, თოლია!..

მარჯანიძემ მოიხედა.

— ჰკითხე, დაიწყეს თუ არა გადასვლა!

— როგორ არის საქმე? დაიწყეთ თუ არა გადასვლა?.. გადასვლა დაიწყეთმეთქი თუ არა? — ყვიროდა ზურა, თან კი ერთიდაიგივე ფიქრი ტვინს უბურღავდა: „ნუთუ გალინა მართლა ცოცხალია? მაგრამ აკი კაცი აღარ გადარჩა იმ ქოხიდანო? ვინ ტყუის, ფედია თუ ის სანიტარი? თუ ცოცხალია, ალბათ ისიც აქ სადღაც იქნება, პირველად ხომ ჯერ დაჭრილები უნდა გადაიყვანონ“?

მას საშინლად სურდა დაენახა რა ხდებოდა მდინარეზე, მაგრამ ტელეფონის მიტოვება არ შეიძლებოდა და მოუთმენლად შესცქეროდა სანგრის მიწაყრილს, მასზე ამართულ ბუჩქებსა და უკვე გაცრეცილ ვარსკვლავებს.

სანგარში სიდორჩუკი ჩამოგორდა, ზურას თავზე დაეცა და ქომინით გამოგლიჯა მილი ხელიდან.
— მუშაობს?
ზურაბი მიწაყრილს ეცა.

ნაპირზე უხმოდ მოძრაობდა შავი, უფორმო მასა. მდინარისაკენ გაგრძელებული, ტორტმანით მიიწევდა წინ და სიბნელეში იკარგებოდა. მის ირგვლივ, ხან აქ, ხან იქ ნარინჯისფრად კრთოდა აფეთქებათა ცეცხლი. ზურაბი მიხვდა — ეს ჩეპურნოის ბატალიონი გადადიოდა მდინარეზე. იგი თვალს ვერ აშორებდა გადასასვლელს. საარტილერიო ბათქების შუალედებში ქარიშხალივით იჭრებოდა ტყვიამფრქვევის სროლა, ნაღმების ღმუილი და შაშხანების მკვახე ხმა.

მეორე საარტილერიო ტალღაც ისევე მოულოდნელად შეწყდა, როგორც პირველი. კვლავ გაბმულად აწივლდნენ ზურას ყურები. ყმაწვილმა მხოლოდ ახლა შეამჩნია, გამწარებული რომ უჭერდა თითებს მის ხელში რაღაც მანქანებით გაჩენილი ბრაუნინგის ტარს. გამოერკვა. სწრაფად შეინახა რევოლვერი და დარცხვენით მიიხედ-მოიხედა.

უცებ დაჰქროლა ნიავმა, ონავარივით დაეტაკა ნაძვის გაბანჯგვლულ ტოტებს, შრიალით ჩაძვრა ბუჩქებში და ცივი, ნოტიო ფრთით შეეხო ზურაბის ლოყას. ბიჭს გააჟრჟოლა, მოიბუზა.

ტყის თავზე ფოლადისფრად თენდებოდა.

ზურა უკვე ნათლად ხედავდა, როგორ მიდიოდნენ გაღმა ნათიბებში, ბუჩქებს შორის და უფრო წინ, მუგუზალივით მხრჩოლავ ფერმასთან ადამიანების პატარ-პატარა ჯგუფები, როგორ მიქანაობდნენ მანქანები, ფორნები და ცხენშებმული ქვემეხები.

„ნამდვილად მოეჩვენა ფედიას“, — ფიქრობდა ზურა და გრძნობდა როგორ ილვიძებდა გულში ტკივილი.

სიდორჩუკი რაღაცას ყვიროდა ტელეფონში. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა ლოყებზე, კისერზე. უცებ მან თავი ახწია და შეშინებულმა შეხედა მარჯანიძეს.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, ტანკები გამოჩნდნენ!..

მარჯანიძე მოტრიალდა.

— მოემზადეთ წასასვლელად! გრომოვს გადაეცი, ვადა ოცი წუთი აქვს, ოც წუთში გადასასვლელის ნასახიც აღარ უნდა იყოს!..

• • •

შუადღისას ბატალიონი ჭალაში შეჩერდა. მიწა მოფენილი იყო შემოდგომის ყვითელი ფოთლებით, რომელთა ფონზე ვერცხლისფრად ბზინავდა არყის ნორჩი ხეები.

მზვერავებმა ამბავი მოიტანეს — გერმანელებმა სოფლებს ცეცხლი წაუკიდესო. კაპიტანი ჩეპურნოი შეფიქრიანდა. ჩანდა, მტერი არც ისე შორს იყო, უგრამდე კი, სულ ცოტა, ორმოცი კილომეტრი მაინც იქნებოდა დარჩენილი. ხმები დადიოდა, გერმანელებმა ხიდი ააფეთქეს და საშინელი ჯგლეთაა ნაპირზეო. ჩეპურნოიმ ბრძანა, საჩქაროდ აეშალათ ბატალიონი. ზურაბი კი პატაკით აფრინა შტაბში მარჯანიძესთან.

პოლკის შტაბი ზურამ სადღაც ტყეებს შორის დაცემულ მინდორზე იპოვა. მინდორზე ნიაღვარივით მიედინებოდა ალალები, მანქანები. ისმოდა მოტორების თუხთუხი, ცხენების ჭიხვინი, ადამიანების ყვირილი. სადღაც შორს, თვალისმომჭრელად ელვარე ცაზე, აღმოსავლეთისაკენ გუგუნით მიემართებოდნენ გერმანელთა თვითმფრინავები, და სადღაც მძიმედ ოხრავდა მიწა.

შტაბი ტყის პირას, პატარა ხუტორში იყო მოთავსებული. პარმაღთან მინებჩალეწილი საბარგო მანქანა და რამდენიმე საზიდარი იდგა. მანქანას ჯარისკაცები უკირკიტებდნენ. იქვე ძირგავარდნილ კასრზე ახალგაზრდა მფრინავი იჯდა, გულგრილად შეჰყურებდა მანქანასთან შეკრებილებს და პაპიროსს აბოლებდა. კიბეზე წამდაუწუმ არბოდნენ და ჩამორბოდნენ შიკრიკები, მეკავშირეები, შეწუხებული და გაწვალებული ხალხი.

შტაბის ოთახში ჩასუქებული ინტენდანტი გაცეცხლებული უყვიროდა მაიორ ლომაკოს:

— გეუბნები, არ შემიძლია-მეთქი, მაიორო! ვერც ერთ გრამ ზედმეტ ტვირთს ვერ წავიღებ! არა მაქვს უფლება, ისედაც ჩამორჩენილი ვარ კოლონას!

— აი, უარს ამბობს დაჭრილების წაყვანაზე, — ეუბნებოდა ლომაკო მარჯანიძეს, — მანქანები კი თითქმის ცარიელი მიჰყავს.

ინტენდანტს სახე წამოჭარხლებოდა. შუბლზე ძარღვები დაბერვოდა.

— ელაპარაკე ახლა ამას! — სასოწარკვეთილებით გაასავსავა მან ხელები, — თითი დაადე ერთი, რომელია ცარიელი? შენი თვალით არ ნახე? სად ჯანდაბაში წავიღო ტვირთი? გერმანელებს დავუტოვო ძღვნად?

— რვა მანქანა მიჰყავს, — განაგრძობდა თავისას ლომაკო, — რაღაც ხარახურას მიათრევს, ხალხი კი, გადარჩება თუ არა, ფეხებზე ჰკიდია.

ინტენდანტს ლამის თვალები გადმოსცვივდა სიბრაზისაგან.

— ტყუილია, ამხანაგო მაიორო! — გამეტებით ჩაიკრა მან მკერდში მჯილი, — ხარახურა კი არა, საჭურველი მიმაქვს, მედიკამენტები! დამხვრეტენ, ადგილზე რომ არ მივიტანო, გესმის თუ არა? ტრიბუნალს გადამცემენ!..

მარჯანიძემ ზურას პაკეტი ჩამოართვა, ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა ინტენდანტი და წყნარად უთხრა ლომაკოს:

— რატომ ალაპარაკებ ამდენს? გადმოცალეთ მანქანები და დაჭრილები დაუსხით! თუ ურჩობა დაიწყო, მეავტომატეები მოიშველიე...

ინტენდანტმა პირი დააღო. უცებ ვეღარაფრის თქმა ვეღარ მოახერხა, გაშმაგებით გადააფურთხა და მუქარით გატრიალდა უკან.

მარჯანიძემ ბარათი წაიკითხა და ზურას მოუბრუნდა:

— მიდი, შენც გაჰყევი ამათ, მიეხმარე დაჭრილების დაბინავებაში!

მაიორი ლომაკო და ორი ზორბა მეავტომატე კარებთან ელოდებოდნენ ზურას. გარეთ ერთი ალიაქოთი იდგა. მინდორში მიმავალი მანქანები, ფორნები და საზიდრები ერთმანეთში არეულიყვნენ და აქეთ-იქით აწყდებოდნენ. ყრუდ და ავისმომასწავებლად გუგუნებდა ცა. მფრინავი ფეხებგაჩაჩხული იდგა და თვალებზე ხელმოჩრდილული მაღლა იცქირებოდა. ზურამ თვალი მოჰკრა, როგორ გაიელვა ცაზე მაღლა წასული თვითმფრინავის ფრთამ. მინდორში ბელტებად დაგლეჯილი მიწის უზარმაზარი სვეტები ალიმართნენ. აფეთქების ხმამ მიდამო შეაზანზარა, თითქოს ვილაც უხილავმა გოლიათმა ზედიზედ დაჰკრა ურო მიწასო.. თავზარდაცემული ცხენები უგზოუკვლოდ მიაქანებდნენ საზიდრებს. ყალყზე დგებოდნენ, გონდაკარგულნი თელავდნენ ადამიანებს, გაბმით ზუზუნებდნენ მანქანები...

ერთმა თვითმფრინავმა გეზი იცვალა, ხუტორისაკენ წამოვიდა.

ტყვიამ წივილით დაკორტნა ყამირი.

— დაწექ! — გაისმა შეძრწუნებული ყვირილი.

ზურა მანქანის წინ ამოთხრილ ორმოში ჩახტა, იმავწამს რაღაც რბილი და მძიმე დაეცა ზემოდან და ორმოს ფსკერს მიაჭყლიტა, ბიჭს სული შეეხუთა. სადღაც ახლოს გამაყრუებლად დაიჭექა. ორმოში ხრიალით ჩამოცვივდა გორახები. უცებ ზურაბმა გარკვევით გაიგონა — ვიღაცამ ქართულად შეუკურთხა გერმანელებს მკვდარი და ცოცხალი.

დაბომბვა დიდხანს არ გაგრძელებულა. „იუნკერსები“ მალე გაშორდნენ იქაურობას და ცის სიღრმეში მიიმალნენ.

ზურას ფეხზე დაწოლილი მფრინავი წამოდგა. ზურამაც სცადა ადგომა, მაგრამ დაბუჟებული ფეხი ვერ აითრია და ორმოს პირზე ჩამოჯდა, ზელა დაუწყო ნატკენ ადგილს.

მფრინავი ზურასკენ დაიხარა.

— გატკინე? ხელი მომეცი!..

ზურა კოჭლობით წამოდგა.

— ქართველი ხარ? — ჰკითხა მფრინავს.

მფრინავს თვალები გაუფართოვდა. ისე შეათვალიერა მის წინ მდგომი ახალგაზრდა ჯარისკაცი, თითქოს გაცოცხლებული მკვდარი დაინახაო.

— ე... მოიცა.... საიდან იცი ქართული?

ზურამ გაიღიმა.

— როგორ თუ საიდან, თბილისელი ვარ.

— თბილისელი?.. რას ამბობ, კაცო! მერე, შე რჯულძაღლო, დროზე ვეღარ თქვი? — დათვივით დაბღუჯა სახეგაბადრულმა მფრინავმა ყმაწვილი, — აქ საიდან გაჩნდი, ბიჭო? მეც თბილისიდან ვარ. რახანია აღარ მინახავს იქაურობა. რაც ომი დაიწყო, მარტო ერთხელ შევხვდი ჩვენებურს, ინჟინერი იყო. კახელი, დღეს კი ორს ერთად გადაგეყარეთ. აქ კიდევ ერთი პოლკოვნიკი ყოფილა... აგერ, აი ის, ტყავისქურთუკიანი!

— ვიცი, მამაჩემია, — თქვა ზურაბმა და მფრინავის დაბნეულ სახეს რომ შეხედა, სიცილი ვეღარ შეიკავა, — რა, არა გჯერა?

მფრინავმა გაოცებით დაუსტვინა.

— ერიჰაა!.. მაშ ერთად ომობთ მამა-შვილი? იღბალი გქონია, ძმაო, მამასთან მოხვედრილხარ! მე კი ვერა და ვერ მოვახერხე ჩემი პოლკის პოვნა. წინა კვირას ჩამომაგდეს, პარაშუტით გადავრჩი. მერე, როგორც იქნა, ამ ნაწილებამდე მოვაღწიე. ვფიქრობდი, ხელად გავჩნდები აეროდრომზე მეთქი, მაგრამ შენც არ მომიკვდე... ვისა სცხელა შენთვის. მამაშენი რომ არ შემხვედროდა, ალბათ ახლაც სადმე საზიდრებში ვიქნებოდი გაჩხირული. არა და, თუ...

გვერდით მდგარი საბარგო მანქანა აგუგუნდა, ყურისწამღები ბათქაბუთქი გააბა. ზურაბმა ვეღარ გაარჩია მფრინავის უკანასკნელი სიტყვები. აყლაყუდა შოფერმა სახელური კაბინაში შეაგდო და თვითონაც შიგ შეძვრა. მანქანიდან მფრინავს უძახდნენ:

— ეი, ხანდაველო! ამხანაგო ლეიტენანტო!

— ახლავე, ახლავე! — მფრინავმა ღონივრად დაიქნია ზურას ხელი, — აბა, მშვიდობით, ალბათ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს, აქ თუ არა, თბილისში მაინც!

— კარგად იყავი!

— ნახვამდის!

მფრინავი ბანჯგვლიანი უნტების ქნევით გამოუდგა მანქანას, უკანიდან შეახტა, რამდენიმე ხელმა უცებ აათრია ზემოთ.

მანქანა რახრახით დაეშვა გზისაკენ.

• • •

ზურა ალალებთან წამოეწია ლომაკოს. ტყის ნაპირას ფორნებს შორის რამდენიმე საბარგო მანქანა გახერგილიყო. ერთი მათგანი ზედ შუა გზაზე აყირავებულიყო და დამწვარ-დალეწილი ფერდები ცისკენ აეშვირა. გზა ბომბებით იყო გადათხრილი. ირგვლივ ფორნების ნამსხვრევები და ცხენების ლეში ეყარა. შოფრები გზას სწმენდდნენ. მანქანებთან ერთი ღრიანცელი და ლანძღვა-გინება ისმოდა.

ინტენდანტი ფეთიანივით დარბოდა, ჩახლეჩილი ხმით უყვიროდა ჯარისკაცებს და აინუნშიც არ აგდებდა ტანმორჩილ კაპიტანს, რომელიც მას ფეხდაფეხ დასდევდა და რაღაცას ემუდარებოდა წვრილი, მტირალა ხმით.

— აბა, გადმოცალეთ მანქანები! — უბრძანა ლომაკომ ჯარისკაცებს, — გესმით, რას გეუბნებით? ახლავე გადმოტვირთეთ მეთქი მანქანები! — ლომაკომ წარბი შეიკრა, და როცა ჯარისკაცებმა ბურტყუნით იწყეს მანქანების გადმოცლა, იკითხა, — სად არიან დაჭრილები? არავინ არის სანიტარული ნაწილიდან?

— როგორ არა... მე... მე გახლავართ! — უგერგილოდ გამოეჭიმა ლომაკოს კაპიტანი. ტანმორჩილ კაპიტანს ქვედა ტუჩი უთრთოდა, თავზე პარკივით ჩამოცმული დაჭმუჭნილი პილოტურა გვერდზე მოქცეოდა და ოფლით დაცვარულ ფართო მელოტს უჩენდა. — მე ექიმი გახლავართ!

— მერე, სად არიან დაჭრილები? — გაჯავრდა ლომაკო. იგი თვალს ადევნებდა მანქანების გადმოტვირთვას და ზედაც არ შეუხედავს კაპიტანისათვის, — რას ელოდებით? ახლავე დასხით მანქანებზე!

— დაჭრილები? — კაპიტანმა თვალები ააპარპალა, გაოგნებულმა კოლონის თავისაკენ გაიხედა. მერე ისევ ლომაკოზე გადაიტანა მზერა.

— დაჭრილები აქვე არიან, ტყეში... ჩვენ...

და უცებ მთელი თავისი მოკლე ტანით აიძაბა, ხელი საფეთქელთან აიქნია, ახლავე მოვიყვანთ დაჭრილებსო, იყვირა და გახარებული ტყისკენ წაძუნძულდა.

ქოშინით მოვარდა სიცხითა და სიბრაზით გაჭარხლებული ინტენდანტი. სულს ძლივს ითქვამდა, საყელო შეეხსნა, საფეთქლებზე წურწურით ჩამოსდიოდა ოფლი.

— რა ამბავია აქ? ვინ გითხრათ მანქანები გადმოცალეთო? — დაუღრიალა ჯარისკაცებს, — ახლავე უკან დააწყეთ ყუთები!

— აი, ამხანაგმა მაიორმა გვიბრძანა, დაჭრილები ჰყოლიათ წასაყვანი...

— მე არავითარი მაიორი არ ვიცი, — კიდევ უფრო წამოენთო ინტენდანტი, — მე ვაგებ ამაზე პასუხს... ახლავე დააწყეთ ადგილზე ყველაფერი!

ჯარისკაცებმა აღარ იცოდნენ რა ექნათ.

— მე უკვე გითხარით, დაჭრილები გვყავს წასაყვანი მეთქი! — კბილებში გამოცრა ლომაკომ, — ეს მედიკამენტებია თუ რაღაც ოხრობა, შეგიძლიათ ამ ფორნებსაც დაუდოთ!

— ეგ თქვენი საქმე არ არის! — გაანჩხლდა ინტენდანტი, — აქ მე ვარ უფროსი და არა თქვენ! გესმით? მე!.. დაჭრილებზე ადრე უნდა გეზრუნათ!..

— შენ უფროსი კი არა, ვიღაც ბრიყვი და ტუტუცი ხარ! — იფეთქა ლომაკომ და სახე უცებ იისფერი გაუხდა, — ახლავე დაცალე მანქანები, თორემ...

ინტენდანტს თვალებში მოაწვა სისხლი, სუნთქვა შეეკრა. მან ანაზდად საშინელი დაღლილობა იგრძნო. ერთბაშად მოეშვა, მოდუნდა, თვალებში ნაპერწკლები ჩაუქრა.

— ჯანდაბას თქვენი თავი!.. რაც გინდათ ქენით!.. ეშმაკსაც წაუღიხართ სუყველა!..

ხელჩაქნეული გატრიალდა, იქვე გზის პირას ჩამოჯდა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და სახეზე უღონოდ მოისვა.

ზურა შუბლშეკრული შესცქეროდა ამ ამბავს. იგი მზად იყო უყოყმანოდ შეესრულებინა ლომაკოს ყოველი ბრძანება: ყმაწვილი აღტაცებული იყო ამ შეუხედავი, პირქუში მაიორის სიმტკიცით. ახლა იგი სულ სხვანაირი ჩანდა მის თვალში, უფრო ვაჟკაცური, შეუდრეკელი. თვითონ ზურაც ამ ორ ზორბა, მასავით წარბშეკრულ მეავტომატესთან ერთად უფრო ძლიერად და შეუვალად გრძნობდა თავს დაბნეული და ილაჯგაწყვეტილი ინტენდანტის შემყურე, რომელსაც იგი სიძულვილით შესცქეროდა ადამიანების ასე აბუჩად აგდებისა და უსულგულობისათვის.

დაჭრილები უფრო მეტი აღმოჩნდნენ, ვიდრე ზურას ეგონა. ზოგი საკაცეებით მოჰყავდათ, ზოგს მოწყალების დები და სანიტრები ამოსდგომოდნენ მხარში, ზოგიც მარტოდ მოლასლასებდა, ვინ მკერდზე მკლავდაკიდებული, ვინ ჯოხზე დაყრდნობილი.

ინტენდანტი ალმაცერად გასცქეროდა მათ, კარგა ხანს უყურა, მერე ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაიდო, ხვნეშით წამოდგა და იქვე მდგომ ჯარისკაცებს შეუღრინა:

— რას უდგეხართ? ვერა ხედავთ, ხალხი საქმეს ვეღარ აუდის? მიდით, მიეშველეთ!

და გვერდით ჩატარებულ პირველსავე საკაცეს მიეტანა.

მანქანები უცებ აივსო ხელ-ფეხ შეხვეული, მისუსტებული და მკვნესარე ადამიანებით.

— დარჩა კიდევ ვინმე? — ჰკითხა ზურამ სახეგაჯაგრულ შუახნის ჯარისკაცს, რომელიც ორივე ხელით დაბლაუჭებოდა სახელდახელოდ მოჭრილ კეტს და ძლივს მოათრევდა მსხვილად შეხვეულ ვეება ფეხს. ყმაწვილი იღლიაში შეუჯდა მას, წელზე ხელი მოხვია და ფრთხილად გამოჰყვა გვერდით.

— გმადლობ, ბიძიკო... ჩვენღა ვართ... აღარავინ დარჩენილა, — ხიხინებდა არაქათგამოლეული ჯარისკაცი.

მათ წინ ხალათშემოხეულ მაღალ ჯარისკაცს მხრებზე გადაედო მკლავი მოწყალების დისათვის და მთელი თავისი ზორბა ტანის სიმძიმით აწვებოდა ზევიდან. მოწყალების და ბარბაცებდა, უჭირდა ასეთი მძიმე ტვირთის ტარება, მაგრამ მაინც ჯიუტად ედგა მხარში. დაჭრილი უღონოდ მიათრევდა ფეხებს, მუხლები ეკეცებოდა, მოწყალების დას კი წაქცევის საშუალებას არ აძლევდა. მას ხაკისფერი ხალათი, შავი ქვედატანი და ტლანქი, ჯარისკაცული ჩექმები ეცვა, ვიწრო, თხელი მხრები დაჭრილის ვეება მკლავში ჩამალვოდა.

ზურას გული აუკვნესდა. რაღაც მეტად ნაცნობი ეჩვენა ეს ქალიშვილი... წამდაუწუმ თვალი მისკენ გაურბოდა. ვერაფრით ვერ აეხსნა ვინ უნდა ყოფილიყო? ან საიდან უნდა სცნობოდა? ან რატომ უნდა აეფორიაქებინა ასე მის დანახვას?

ჩააბარა თუ არა სანიტრებს დაჭრილი, ზურამ ძებნა დაუწყო ქალიშვილს. იგი საბარგო მანქანის ძარაში იდგა და დაჭრილებს სახვევებს უსწორებდა. ზურა ვერ ხედავდა მის სახეს, მაგრამ როცა იგი წელში გასწორდა და შუბლზე ჩამოშლილი ქერა კულული ხელის ზურგით გაისწორა, ყმაწვილი გახევდა. მის წინ გალინა იყო. გულმა დაგადუგი დაუწყო. ნუთუ მართლა გალინაა? შეუძლებელია! არა, ნამდვილად ის არის!

— გალინა!..

ზურას აღარ ახსოვდა, როგორ გაჩნდა მანქანასთან. ქალიშვილი შეკრთა. იგი გაოცებით დააცქერდა მზით გარუჯულ ახალგაზრდა ჯარისკაცს, უცებ ვერც იცნო ზურა. მერე კი ერთთავად აენთო, დიდი, ცისფერი თვალები სიხარულით აუციმციმდნენ. იგი ერთ წამს ასე დაჰყურებდა ზურას, სახეგაცისკროვნებული, სახტად დარჩენილი და ერთმანეთზე გადაჭდობილ ხელებს მთელი ძალით იხუტებდა მკერდზე, თითქოს ეშინოდა გული არ ამოვარდნოდა საგულედან.

— ზურა!..

ზურამ ხელები შეაგება მას, ქალიშვილი ძალიან ფრთხილად დაუშვა მიწაზე, ახლა ზურა უკვე მთელი თავით მაღალი ჩანდა გალინაზე. ამ რამდენიმე თვის მანძილზე გვარიანად აეყარა ტანი და ქალიშვილი ქვემოდან შეჰყურებდა მდუმარე გაოცებით. მის გაფართოებულ თვალებში აღტაცება, შიში და დაბნეულობა იხატებოდა.

— ზურა... — თითქმის ჩურჩულით გაიმეორა გალინამ, უცებ მიეკრა ვაჟს მკერდზე, მერე ისევ უკან გადგა და ნამჩამდგარი, დანისლული თვალებით გაუღიმა, — აქ საიდან გაჩნდი?.. როგორ.. როგორ გაზრდილხარ ზურა!

ზურას უცებ დაავიწყდა ყველაფერი. მას აღარაფერი აღარ ესმოდა. ვეღარაფერს ვეღარ ხედავდა, გარდა ამ ორი დიდი ცისფერი თვალისა, რომლებიც ახლოდან სულაც არ იყვნენ ცისფერი, არამედ დაწინწკლული იყვნენ უცნაური მოლურჯო-მომწვანო ლაქებით, რომელიღაც ძველ წიგნში ჩახატულ თოვლის ფიფქებს რომ აგონებდნენ ზურას. ქალიშვილი გამხდარი და დაქანცული ჩანდა. დაუძლეველმა სურვილმა შეიპყრო ყმაწვილი, გულში ჩაეკრა გალინას თავი, დაეკოცნა მისი დაღლილი, გამხდარი სახე, ეთქვა რაღაც კარგი, საოცრად კარგი რამ, მაგრამ უცნაურად შებოჭილი, გაოგნებული ბიჭი მარტო ღონივრადღა უჭერდა ხელს გალინას მაჯას და ვეღარაფრის თქმას ვეღარ ახერხებდა.

— მაშ ცოცხალი ხარ?.. ცოცხალი ხარ, გალინა?.. — როგორც იქნა ხმა ამოიღო ზურამ, — რა მოხდა? როგორ გადარჩი? აკი ისე მითხრეს... ტანკებმა...

ზურას უცებ შეეშინდა. მიხვდა, რომ თითქმის ვერაფრის თქმას ვეღარ მოასწრებდნენ, რომ საცაა დაიძრებოდა კოლონა და გალინაც ისევე სწრაფად გამოეცლებოდა ხელიდან, როგორც იქ, დონის პირას, კორტოიაკის სამხედრო ბანაკში, ომის დაწყების დღეს. ყმაწვილმა სასოწარკვეთილებით შეანჯღრია ქალიშვილი და სულმოუთქმელად ალაპარაკდა.

— იცი, ჩვენს შიკრიკს უნახიხარ, ფედიას... ალბათ მომეჩვენაო, თავს იმართლებდა, მე კი მჯეროდა, რომ გნახავდა, სადღაც მაინც მჯეროდა, რომ უეჭველად გნახავდი, სულ არ შეცვლილხარ, გესმის?

— მესმის, ზურა... ნუ ყვირი.

— მაინც როგორ გადარჩი? შენც ხომ იმ ქოხში იყავი, დაჭრილებთან, გერმანელებმა რომ ცეცხლი წაუკიდეს? როგორ გააღწიე იმ ცეცხლს თავი, გალია?

— არა, ზურა, რას ამბობ, მე იქ არა ვყოფილვარ, ჭაზე ვიყავი მეზობელ ეზოში, წყალი მინდოდა დაჭრილებისთვის, იმ ჭას ამოვეფარე, ვერც მოვასწარი ქოხში დაბრუნება, უკვე ცეცხლი წაეკიდათ და იწვოდა, ღმერთო, რა შემზარავად იწვოდა... დღე არ გაივლის, რომ არ გამახსენდეს! ტყეს შევეფარე და მთელი ღამე ჩვენების ძებნას შევალიე. მაგრამ შენ საიდანღა გაიგე ეს ამბავი, ზურა? ვინ გიამბო? ან სად იყავი...

ზურამ პასუხის გაცემა ვეღარ მოასწრო, წინა მანქანის კაბინიდან ინტენდანტი გადმოყუდებულიყო და ყვიროდა.

— ეი, კრილოვ, რაღას დაფათურობ მანდ, წავედით!

— დაიკო, წავედით! — ეძახოდნენ გალიას დაჭრილებიც...

— ნახვამდის ზურა!.. ზურიკო!.. თავს გაუფრთხილდი! ჩვენ კიდევ უნდა შევხვდეთ ერთმანეთს, გესმის? უეჭველად უნდა შევხვდეთ!

გალინამ ფეხის წვერებზე აიწია, მაგრად აკოცა ზურას ტუჩებში და გაიქცა.

მანქანები მძიმედ, ქანაობით მიდიოდნენ ოკრო-ბოკრო გზაზე და ზურას ისე ეჩვენებოდა, თითქოს ეს ყველაფერი საოცარი სიზმარი იყო, ბედნიერიც, ამაღელვებელიც, გულისდამწყვეტიც.



# კოლიო აბრამია





## ლაკადის მხარე

მე მომეწონა ლაქადის მხარის
მკერდმოხატული ლურჯი ქედები;
ფართოდ გაშლილი ბუნების კარი,
შიგ ჩაქარგული თეთრი გედები.

აქ მართლა გედებს გვანან სახლები,
ზღვის ნაპირამდე მიმოფანტული:
ზოგან ხევსა და ბარში ნაგები,
ზოგან კორტოხზე კოხტად დადგმული.

ვის არ ჰქონია მხარე ქებული,
მახსოვს ისპირი, ძველი ლაზეთი,
მაგრამ საოცრად აყვავებული,
არსად მინახავს მხარე ასეთი!

მე სათანჯიოს კალთებს დავცქერი
და უნეტარეს განცდით ვენთები.
ვინ მორთო ასე წარმტაცი ფერით,
ჩემი ოდიშის ლამაზი მთები?

სად გაჰქრა მაინც ეკლის ბარდები,
აქ რა ქარებმა გადაიარეს?..
ამდენი ვარდი!.. ჩაის ვარდები,
ვინ დააყარა ამ ნაფშიარებს?

რარიგად ჰყვავის მთელი მთა-ბარი,
როგორ ბიბინებს ლაიტის ყანა!..
შორს, ამ ბიბინში, როგორც ზღაპარი
ტკბილმშობლიური მოისმის ნანა.

დარეკავს გული! კვლავ დაიჩქროლებს
განცდა უტკბესი და სასურველი...
როცა ნიავი წამოიქროლებს,
შრიალებს მთების ტანსაბურველი.

შრიალებს! განა, მარტო შრიალებს,
თითქოს ენგურში მოჰქუხს ლანჭერი.
ვუსმენ და ტანში შემაჟრჟიალებს,
როცა გულს სწვდება მისი ნამღერი.

ვუსმენ და სული განცდებით იწვის,
თითქოს სვანები მღერიან ლილეს.
ეს ჰანგებია მშობლიურ მიწის,
ამ ხმებში ვუსმენ ჩემს სიყმაწვილეს.

. . . .

წავალ, კვლავ ბევრჯერ მომაგონდები,
მომალხენს მუდამ შენი ქედები
და ოდიშური ფიცრის ოდები —
ტბაზე დამსხდარი თეთრი გედები!

## გული

მოგქანცე ფიქრით, მაგრამ გულო, აბა, რა მექნა?
ჯერ არ მიმტყუნო, შენს იმედით დავდივარ
ქვეყნად,
ყოველ დღე ახალ შვებასა და სიხარულს ველი!

ო, ნუ ბორძიკობ! არ დამტოვო აქ მარტოდ-
მარტო
აქ მე უშენოდ ზრახვას ჩემსას ვერავის ვანდობ,
უკანასკნელი აღმართი მაქვს გადასასვლელი!

ნელი-ნელ მივყვეთ, ტაატით და სვენებ-სვენებით!
მინდა ბოლომდე დავტკბე ჩემი ქვეყნის
მშვენებით!



## გალაკტიონი

ვის არ უყვარს მშობლიური
ჯადოქრული ტკბილი ნანა,
დარჩა კაცი ლექსის მთქმელი,
არ შეემკოს ეს ქვეყანა?

აბა, ვის არ დაატყვევებს
მობიბინე ქართლის ყანა,
მის ბაღნარებს, მამულ-დედულს
გულით ვინ არ ეთაყვანა?

საქართველოს სილამაზე
ცამდე ვინ არ აიყვანა,
მისი ეშხით არ ემღეროს,
სადმე კაცი დარჩა განა?

მაგრამ სხვაა მისი ჩანგის
ჰანგთა თრთოლვის განდაგანა,
მე მგოსანი არ მინახავს,
ლექსი ეთქვას იმისთანა!..



## გახსოვს ის მაისი?

გახსოვს ის მაისი, რიონის ჰალები,
საამო ნადური, ლაიტის ყანები?
რა ტკბილად მღეროდნენ ლადუას ქალები!
გახსოვს, ლანჭერის გაშლილი ფშანები
და ჩვენი მშობლების ზიარი ყანები?

გახსოვს, ბავშვობის მზიური დღეები:
სიმორცხვე, სიწითლე და ჩუმი ტრფიალი?
რა თეთრად ჰყვაოდნენ ალუბლის ხეები!
მე მახსოვს!
შენ გახსოვს, ის გულის ფრიალი?
თუ გახსოვს: ის უხმო, უსიტყვო წრიალი?

ო, ნეტა კვლავ გვქონდეს რიონის ჰალები,
ლანჭერში — შრიალა ლაიტის ყანები!..
ხსოვნაში ელავენ თაკარა თვალები,
ის შორი მაისი, გაშლილი ფშანები
და ჩვენი მშობლების ზიარი ყანები!

რა დიდი ხანია მას შემდეგ გასული,
ცხოვრებამ ათასი ხვეულით მატარა!..
მე, დღესაც მიტაცებს ის შორი წარსული,
თუმც თავზე თოვლივით მაყრია ჰალარა
და წელთა სიმრავლემ სულშიაც დამღარა!

შენ მაინც მოგიხმობს ეს გული ცახცახით,
ნეტავი, სად არის ის თვალი თაკარა,
რომელმაც მე სულის სიმშვიდე მომპარა!..
ეჰ, ნუთუ სულ ჩაქრა, იმ ცეცხლის ნასახი?
რა შველის ამ ვარამს, ამ ნაღველს?
ძვირფასო, არ გესმის? დღემუდამ სანატრელს,
გეძახი!.. სადა ხარ?.. გეძახი!.. გეძახი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „როიალ დატჩ-შელი" და ბავშვთა ცრემლები

ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ძარცვა ამერიკელმა იმპერიალისტებმა დიდი ხნის წინ დაიწყეს. როგორც ამ ქვეყნების, ისე ლათინური ამერიკის მიწიდან დიდძალი ნავთობი ამოდის. მაგრამ მას ჭაბურღილებიდან ამოსვლისთანავე მონოპოლიები ეპატრონებიან. უწინარეს ყოვლისა, ამას ახერხებენ ამერიკა-ინგლისის ნავთობის კომპანიები: „ესსო", „გალფი", „მობილი', „შელი", „ბპ", რომლებიც ნავთობის კარტელში — მონოპოლიების საერთაშორისო გაერთიანებაში შედიან. ამ კარტელზე ამბობენ, რომ მის სამფლობელოებში მზე არასოდეს არ ჩადისო. მიუხედავად შეთანხმებისა, კარტელის წევრები ერთმანეთს უმალავენ თავიანთ საქმიანობის მეთოდებსა და ფორმებს, ურთიერთშორის აწარმოებენ შეურიგებელ ბრძოლას.

ხალხებისათვის კი ამ მონოპოლიებს უბედურების მეტი არაფერი მოაქვს. აიღეთ, მაგალითად, ვენესუელა, ლათინური ამერიკის ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანა. თვითმფრინავიდანვე დაინახავთ ნავთსადენების ფოლადის მაგისტრალებით დასერილ და ნავთობის ჭაბურღილებით დაფარულ მიწას. იგი დანაწილებულია კვადრატულად დაყოფილი მიწის ნაკვეთებად, რომლებიც მთავრობამ ნავთის მოსაპოვებლად კონცესიით მისცა უცხოეთის კომპანიებს. ამიტომ ვენესუელას „როკფელერის მეორე სახლსაც" ეძახიან. კონცესიების საერთო ფართობი, თითქმის ხუთი მილიონი ჰექტარი ვენესუელელებისათვის აკრძალული ტერიტორიაა. კონცესიების მფლობელებს, ნავთობის კარტელის წევრებს („ესსო", „შელი" და სხვ.). სპეციალური შეიარაღებული რაზმები ჰყავთ ვენესუელაში თავიანთი სამფლობელოების დასაცავად; ამრიგად, უცხოეთის კონცესიები სახელმწიფოს წარმოადგენენ სახელმწიფოში.

თუ რა მოუტანა უცხოეთის მონოპოლიების ხანგრძლივმა ბატონობამ ვენესუელის ხალხს, ნათლად ჩანს იქიდან, რომ ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ჯურღმულებსა და ქოხმახებში ცხოვრობს. ყოველი მეორე ბავშვი არ სწავლობს, ადამიანები მოკლებული არიან სამედიცინო მომსახურებას. იმ 900 მილიონი დოლარით, რომელიც უცხოელების ჯიბეში მიდის, შეიძლება იმდენი საცხოვრებელი სახლის აშენება, რაც დააკმაყოფილებდა უბინაო 700 ათასი ვენესუელელის ნახევარზე მეტს. ამ თანხის მხოლოდ მესამედი კმარა ორმოცი დიდი, თანამედროვე საავადმყოფოს ასაშენებლად, რაც სავსებით საკმარისია ამ ქვეყნის მთელი მოსახლეობის ნორმალური სამედიცინო მომსახურებისათვის. მაგრამ ჩრდილო ამერიკელმა მონოპოლისტებმა ვენესუელაში ას მილიონ დოლარად ღირებული მსხვილი სამხედრო-საჰაერო ბაზის აშენება ამჯობინეს.

დასავლეთის სახელმწიფოებისათვის ნავთობი დიდი ხანია „პოლიტიკურ საქონლად" იქცა. და ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ იმპერიალიზმის ერთ-ერთი ამერიკელი თეორეტიკოსი დენი წერდა: „ვინც ნავთობს ფლობს, ის დაიპყრობს მსოფლიოს, იმიტომ, რომ მაზუთის საშუალებით იბატონებს ზღვაზე, ბენზინისა და ნავთის წყალობით კი — ხმელეთზე. ამავე დროს, ის თავის მოძმეებს დაიმორჩილებს ეკონომიურად იმ ფანტასტიკური სიმდიდრით, რომელსაც ნავთობისაგან მოიპოვებს". ამ აზრს მხარს უჭერენ არა მარტო როკფელერი, არამედ მისი მთავარი კონკურენტის — „როიალ დატჩ-შელის" ნავთობის მეფეები.

„როიალ დატჩ-შელის" აყვავება და გაძლიერება მჭიდროდ არის დაკავშირებული ჰენრი დეტერდინგის სახელთან. ამ ადამიანისათვის ცხოვრებაში ფულის გარდა წმინდათაწმინდა არაფერი იყო. გაუმაძღარი და პატივმოყვარე დეტერდინგი მალე როკფელერის გვერდით დადგა. „როიალ დატჩ-შელის" ხელმძღვანელად გახდომის შემდეგ მან იგრძნო თავისი ძალა, გააფართოვა კომპანიის სამფლობელოები. ნავთობის ახალი ბაზრების დაპყრობით დეტერდინგი მტკიცე პოზიციებს იკავებს ევროპაში, აღწევს ეგვიპტეში, განამტკიცებს თავის სამფლობელოებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. პირველი კლასის ავანტიურისტი და შეუბრალებელი მტაცებელი ყოველნაირ საშუალებებს იყენებდა მიზნის მისაღწევად. მას კარგად ესმოდა, რომ ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ საფრთხე შეუქმნა დეტერდინგის სამყაროს. ამიტომ ის უსაზღვრო სიძულვილით იყო განწყობილი ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკისადმი და უხვად აფინანსებდა მის წინააღმდეგ მიმართულ ყველა აქტს — ღია ინტერვენციიდან ჯაშუშების შეგზავნამდე. ის არ ერიდებოდა საბჭოთა ყალბი ფულის მოჭრასაც კი.

დასავლეთში დეტერდინგს ეძახდნენ „ახალ ცეზარს, რომელმაც მსოფლიო „შავი ოქროსაგან" გაკეთებული საჭურვლით დაიპყრო". დეტერდინგის სახელიც კი ჯადოსნურად მოქმედებდა მის გარშემომყოფებზე. გადმოსცემენ, რომ ერთხელ იგი ნავთობის წარმომადგენელთა კრებას ესწრებოდა ბერლინის სასტუმრო „ბრისტოლში", როგორც სხვებთან შედარებით უფრო ახალგაზრდა, ის განაპირა ადგილას იჯდა და „ბობოლების" კამათს უსმენდა. მალე მას მოსწყინდა ასე ყოფნა, ზეზე ადგა ხმამაღლა დაიწყო: „ყველაფერი ეს სისულელეა. ჩვენ ყელს გამოვჭამთ ერთმანეთს. ეს კონკურენცია კი არა, ძაღლების ჩხუბია ძვალისათვის. მაგრამ ძვალი სულ პატარავდება და პატარავდება, ძაღლების რაოდენობა კი იზრდება". ასეთი მოურიდებელი ჩარევით განაწყენებული კომპანიების დირექტორები აყაყანდნენ. ამ დროს ვიღაცამ თქვა: „ეს დეტერდინგია". ამის გაგონებაზე, დარბაზი ისე გაისუსა, რომ ბუზის ფრენას გაიგონებდი. დეტერდინგი კი განაგრძობდა თავისი აზრის გამოთქმას, აყალიბებდა „სტანდარდ-ოილის" წინააღმდეგ ბრძოლის გენერალურ გეგმას, რომელმაც იმ დროს მას უკვე გაუშრო სისხლი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ „როიალ დატჩ-შელის" ან როგორც მას შემოკლებულად უწოდებენ „შელის" მდგომარეობა რამდენადმე შესუსტდა. მან სამუდამოდ დაკარგა თავისი სამფლობელოები რუმინეთში, იძულებული გახდა პარტნიორებად მიეღო ჰოლანდიასა და დასავლეთ გერმანიაში მყოფი ამერიკელი კომპანიები.

ხალხების ბრძოლამ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, თავისი საკუთარი ეკონომიკის შექმნისათვის „შელის", „ესსოსა" და სხვა მონოპოლიების მეფეები აიძულა ნავთობისაგან მიღებული შემოსავლის ნახევარი მისცენ იმ ქვეყნების მთავრობებს, რომელთაგან მიწა აქვთ კონცესიით აღებული. მაგრამ ეს ე. წ. „სამართლიანი" განაწილების პრინციპი ნამდვილად კოლონიური ძარცვის შენიღბული ფორმაა და მეტი არაფერი. მონოპოლისტები ნავთობით მდიდარი ქვეყნების მთავრობებს უხდიან ნედლეულის ღირებულების მხოლოდ 50 პროცენტს. თვითონ კი ნავთობის მზა პროდუქტებს: ბენზინს, ნავთს, ზეთს მაღალ ფასებში ყიდიან და შემოსავალი მთლიანად მათ რჩებათ.

„როიალ დატჩ-შელი" ფლობს მსოფლიო ნავთობის მოპოვების დაახლოებით მერვედს, მას სარეწები აქვს არგენტინაში, კოლუმბიაში, კანადასა და სხვა ქვეყნებში. მემკვიდრეებს დეტერდინგმა ქვეყნების გასაძარცვავად მტკიცედ შეკრული მექანიზმი დაუტოვა. „შელი" ენერგიულად განაგრძობს ბრძოლას კონკურენტებთან ნავთობის საერთაშორისო კაპიტალისტურ ბაზარზე.

„იყიდეთ „შელის" პროდუქცია! „შელი" — სასარგებლოა, ხელსაყრელია," „თუ იმგზავრებთ „შელის" მარკის ბენზინით — არასოდეს არ დაგაგვიანდებათ შობის დღესასწაულზე და თქვენ მეგობრებთან" — ასეთი და ამის მსგავსი რეკლამებითა და მოწოდებებით არის აჭრელებული დასავლეთის გაზეთები და ჟურნალები. ეს რეკლამები მიმართულია გულუბრყვილო მკითხველის მოსატყუებლად, რათა მან ჯიბეზე გაიკრას ხელი და ამით „შელის" მფლობელები გაამდიდროს.

გარეგნულად უვნებელ ყვითელ ნიჟარას — „შელის" კომპანიის ემბლემას შეიძლება შეხვდეთ ინდოეთის, ინდონეზიის, აფრიკის ქვეყნების, ლათინური ამერიკის ბენზინისჩამომსხმელ სადგურებსა და ბენზინის კოლონებზე.

ცეილონმა, რომელმაც 1948 წელს მოიპოვა დამოუკიდებლობა, გადაწყვიტა ბოლო მოეღო „შელის" საქმოსნების პარპაშისათვის თავის მიწა-წყალზე; განთავისუფლების შემდეგ ცეილონს უნდა შეექმნა საკუთარი, ეროვნული ეკონომიკა. ამისათვის კი საჭირო იყო ბენზინი, ნავთი, საცხები ზეთი. მაგრამ ქვეყანაში ნავთობი და ნავთობის გადამამუშავებელი ქარხნები არ არის და ამიტომ ცეილონში ბატონობდა ნავთობის ტრიუმვირატი, რომელშიც შედიოდნენ „შელი", „ესსო" და „კალტექსი". უცხოელი საქმოსნები თვითონ განსაზღვრავდნენ ნავთობის პროდუქტების ფასებს და ყოველწლიურად მოგების სახით იღებდნენ 45 მილიონ რუპის. ამ მდგომარეობას შეიძლებოდა ბოლო მოღებოდა მხოლოდ ყველაზე უფრო გადამჭრელი ზომით — ნავთობის უცხოური კომპანიების საქმიანობის აკრძალვით.

ცეილონის მთავრობამ, მართლაც მოუღო ბოლო უცხოური კომპანიების საქმიანობას. ცეილონელებმა ნავთობის უცხოური ემბლემები მოხსნეს და მათ მაგივრად ჩამოკიდეს ეროვნული კომპანიის ემბლემა, რომელზეც გამოსახულია მაცნე ანთებული ჩირაღდნით ხელში. ემბლემას შუაში აწერია — „ლანკა". ეს სიტყვა ცეილონის ძველებური სახელწოდებაა. იქ, სადაც ჯერ კიდევ ვერ შეცვალეს ძველი ემბლემები, ცეილონელებმა ხაზი გადაუსვეს წარწერებს: „ესსო", „კალტექსი", „შელი". ამით მათ ყველას აგრძნობინეს, რომ ამ კომპანიებს ცეილონში საბოლოოდ გაუსწორეს ანგარიში.

ნავთობის მონოპოლიების გაძევების შემდეგ სირიმავო ბანდარანაიკეს მთავრობამ შექმნა ნავთობის ეროვნული კომპანია და მოახდინა ცეილონში ნავთობის უცხოური მონოპოლიების ქონების ნაციონალიზაცია. მართალია, ამერიკელი იმპერიალისტები ცეილონს დაემუქრნენ, „ეკონომიური დახმარების" შეწყვეტით, მაგრამ ამ მუქარაზე სირიმავო ბანდარანაიკემ უპასუხა: „ჩემი ქვეყანა თავისუფლებას არ გაცვლის ამერიკის „დახმარებაზეო".

ნავთობის უცხოელი ურჩხულისათვის კლანჭების მოკვეთის შემდეგ, ცეილონის მთავრობამ საბჭოთა კავშირთან და სხვა ქვეყნებთან დადო ურთიერთხელსაყრელი ხელშეკრულება ნავთობის პროდუქტების მიწოდებაზე. ახლა ცეილონში ნავთობის პროდუქტები ერთიანი, მტკიცე ფასით იყიდება. მთელი შემოსავალი მთავრობის სალაროში შედის და, რა თქმა უნდა, ხმარდება ეროვნული ეკონომიკის აღორძინების საქმეს.

ნავთობის მეფეების იმპერიაში სიმშვიდე დაირღვა. ინდონეზიის მთავრობამ ქვეყნის შიგნით ბენზინითა და ნავთობის სხვა პროდუქტებით მოვაჭრე უცხოური საწარმოები სახელმწიფო ნავთობის კომპანია „პერტამინს" გადასცა. ლიბანში ლაპარაკობენ იმაზე, რომ ამერიკელ საქმოსნებს მოთხოვონ ნავთობისაგან მიღებული შემოსავლის ნამდვილად სამართლიანი განაწილება, შემდეგ კი მოახდინონ მთელი ნავთობის მოპოვების ნაციონალიზაცია. ნავთობის მაგნატებს ავიწროებენ ინდოეთსა და ირანში. არც სხვა ქვეყნებში ადგათ უკეთესი დღე უცხოეთის კომპანიების მესვეურებს, რომლებიც ადრე უფრო „მშვიდად" ძარცვავდნენ ხალხებს.

ხალხთა ბრძოლა კოლონიალიზმის წინააღმდეგ სულ უფრო და უფრო ძლიერდება. და შეიძლება სრული რწმენით ვთქვათ, რომ შორს არ არის ის დღე, როცა სამუდამოდ ჩაესვენება ნავთობის მეფეების, მონოპოლისტური კაპიტალიზმის მზე. ამ გზით მიდის ისტორია და მსოფლიოს ხალხები სიხარულით შეხვდებიან ამ დღეს.

ხ. ნასარიძე,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.





გაზაფხულსა ჰგავს წლევანდელი ზამთარი. დილაადრიან მაინც ცივა. შევდივარ გაყინულ ტროლეიბუსში და ვდგები შოფრის კაბინაში; რაც უფრო პატარაა საკანი, კაცს მით უფრო თბილი ჰგონია.

პირველ გაჩერებაზე რამდენიმე მგზავრი ამოვა. ვიცი, ისინი ბოლომდე მიდიან, ყოველ დილით ასე ხდება ხოლმე. ვცნობ კიდეც მათ და არ ვჩქარობ ბილეთების გაყიდვას. ჩემი შოფერი კარლო დილაადრიან ყოველთვის სიტყვაძუნწია. ადრე ადგომა ეზარება ხოლმე, ძილი აკლია. ამ დროს მასთან ლაპარაკი არ ღირს. მე კი მიყვარს საუბარი. მანქანაში კარგახანს მხოლოდ სატერფულის ჩხაკუნი მოისმის. მგზავრები უფრო მეტად ამთქნარებენ, ვიდრე ლაპარაკობენ.

დღესაც ამოვიდა ჩვენს მანქანაში წითელწულვაშიანი ახალგაზრდა. იგი ყოველ დილით ათმანეთიანს მაწოდებს, მე კი ხურდა არა მაქვს. „არა, ჩემო კარგო, დღეს იოლად ვერ გადამირჩები!“ — ვფიქრობ გულში, მშვიდად ვუახლოვდები და ვემზადები ბილეთის მოსახევად; საათის ჯიბიდან დაკეცილ ათმანეთიანს იღებს და მაწოდებს. მშვიდად ვხევ ბილეთს, ათმანეთიანს ჯერ გავშლი, შემდეგ კვლავ ვკეცავ და გულმოდგინედ ვტენი ჩანთის კუნჭულში. „ახლა რატომ აღარ იღიმები?“ ახალგაზრდა იხტიბარს არ იტეხს და მოგონილი გულგრილობით მეუბნება:

— თუ ხურდა არა გაქვთ, შეიძლება გამოვნახო, — თან ჯიბეში იქექება. მესმის ხურდა ფულის ჩხარუნი, მაგრამ აინუნშიც არ ვაგდებ:

— ნუ წუხდებით, სჯობია დავახურდავოთ!

ოთხმოცდაცხრამეტი ათკაპიკიანის დათვლას კარგახანს მოუნდა; ხმა არ ამოუღია.

პირველ რეისზე მუშაობა ადვილია. ხალხი ცოტაა. მე კი არ მიყვარს ერთფეროვნება. შემდეგ რეისზე იწყება ნამდვილი მუშაობა.

— შეიძინეთ ბილეთები!
— მოამზადეთ ხურდა ფული!
— კიბეზე ნუ დგახართ, კარი დაკეტეთ!
— წინ გაიარეთ, იქ თავისუფლებაა!

ვიცი, რომ წინაც არ არის თავისუფალი ადგილი, ნემსი არ ჩავარდება. უკანანი წინ მდგომთ ეჩხუბებიან, წინანი — მე.

— რას შვრები, ქალო, ფეხზე მადგამ ჩემოდანს?
— თუ შეწუხება არ გნებავთ, ტაქსი დაიქირავეთ!..

ყველაზე უფრო მეტ ადგილს თხოულობენ პატარა ტანის ხანშიშესული ქალები, მათ ყოველთვის ეჩვენებათ, რომ სხვები ეცილებიან მათთვის განკუთვნილ სივრცეს და მოუსვენრად ტრიალებენ. უკანა ბაქანზე ახალგაზრდები იყრიან ხოლმე თავს, ბილეთის აღების ნაცვლად ქათინაურს მეუბნებიან და უკანა კარებიდან ჩადიან.

როცა ხალხი ბევრია, მე ვხედავ მხოლოდ ხელებს. ისინი გამოჩნდებიან ქალების თავზემოთ, ვიღაც ახმახის იღლიის ქვემოთ გაჩრილნი.

მწერალი რომ ვიყო კარგ მოთხრობებს დავწერდი, იმდენ ახალ ადამიანს ვხვდები. მაგრამ მწერალი არა ვარ და არც ისინი არიან კონდუქტორები.

სპორტის სასახლესთან ძლივს შემოეტია ტყავის პალტოიანი კაცი. დიდ ცხვირზე მოზრდილი მეჭეჭი აქვს. ნაყვავილარ სახეზე ოფლის წვეთები აზის. გულისჯიბიდან იღებს დახტა ფულებს — ხუთიანებს, ათიანებს, ოცდახუთიანებს, დაჭმუჭნილებს, უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილს. ისევ იტენის უძირო ჯიბეში და რაღაც ბედად გადარჩენილ მანეთიანს მაწვდის. ბილეთის მიღებაზე უარს ამბობს, ხურდას არ ითვლის. დღემდე ეს კაცი არ შემიმჩნევია. ვაკვირდები. ნეტავ რა საქმეს ეწევა? ქუდს იხდის, ნახევრად მელოტ, ჭაღარა თავზე ისვამს ზეწრისოდენა ცხვირსახოცს, ოფლს იწმენდს და ქშინავს...

ვიღაც ახალგაზრდა ქალი მოუბრუნდება:

— გამარჯობათ!..
— გაგიმარჯოს, — ბოხძიკით პასუხობს კაცი და ყოველ შემთხვევისათვის უკანაც მიიხედავს, სხვას ხომ არ ესალმებათ.

ქალი ეკითხება:

— ალბათ კრებაზე მიეჩქარებით?
— რომელ კრებაზე?
— განა თქვენ ჩვენთან არ მოდიხართ კრებაზე?

კაცი მხრებს იჩეჩავს. უკან ვიღაც მგზავრს მიუბრუნდება და ჩუმათ ეუბნება:

— ვაჰ, ამ დალოცვილს დამკვრელი მუშა ვგონივარ, თუ მახარად მიგდებს, მე კრებაზე რა მინდა?

კარლო თანდათან ხასიათზე მოდის, უფრო ხშირად მესმის მისი ხმა. გაჩერებაზე ახალგაზრდა ქალს ბავშვი ჩამყავს:

— გადადგი, დედიკო, მარჯვენა ფეხი, ჰო, ასე შვილო!..

კარლოს კაბინის კარებში თავი გამოუყვია და ყველას გასაგონად გაიძახის:

— აბა, დედა გენაცვალოს, მარჯვენა — მარცხენა, მარჯვენა—მარცხენა... აქ ასწავლით, ქალბატონო სიარულს?

— ხელი გაუშვი ჩემს ჯიბეს, შე საცოდავო!

ტროლეიბუსის უკანა კარებთან ორი ახალგაზრდა ხტება და კარები ტკაცუნით იკეტება.

ჩემს გვერდით ორი ახალგაზრდა ფეხბურთზე კამათობს. ერთი გულგატეხილია, მეორე იმედით სავსე. ისინი ვერასდროს ვერ შეთანხმდებიან. ერთხელ ვიყავი ფეხბურთზე, ექვსი წლის წინათ. იმ დღეს გაიგო გაიოზმა, რომ ფეხმძიმედ ვიყავი. მას შემდეგ არც გამოჩენილა. როცა ფეხბურთზე ლაპარაკობენ, ის დღე გამახსენდება. ხალხით გაჭედილი ტრიბუნები ძლივს იცლებოდა. მეც მოვყევი ამ მორევში, ცუდად გავხდი. გაიოზი შეშფოთდა და ვიგრძენი, რომ მას სხვა ეჭვები აშინებდა. ასეც მოხდა, როცა შემდეგ მიზეზი ვუთხარი, ფერი ეცვალა: მას მამობა არ სურდა.

# ტროლეიბუსის თოჯინა

**რომან მიმინოშვილი** — ნ ო ვ ე ლ ა — მხატვარი დ. ნოდია

ფიქრებში გართულს ხმამაღალი შეძახილი მომესმა:

— მომილოცავს, უკვე მიიღე ბინა?
— ორი ბილეთი!..

ბილეთს ვაძლევ და ყურს ვუგდებ მგზავრების საუბარს. მსიამოვნებს, როცა ახალ მშენებლობებზე საუბრობენ. ჩემი მომავალი ბინა უკვე შენდება, უკანასკნელი სართულიღა დარჩა. კვირაობით მივდივარ ხოლმე. ავდივარ ცარიელ ხარაჩოებზე, შევდივარ ფარღალალა ოთახებში, ვსუნთქავ ცემენტისა და კირის ჰაერს. აქ იქნება სამზარეულო, აქ აბაზანა... ნეტავ რომელი იქნება ჩემი ბინა? მესამე სართული კარგია, წინ დიდი აივანი აქვს. დავდივარ ცარიელ ოთახებში და ფეხს წამოვკრავ ხოლმე გატეხილ აგურებს, გაჯიან ტაშტს. ერთხელ ფეხიც ვიღრძე, მაგრამ ტკივილი აინუნში არ ჩამიგდია.

როცა ხალხი ბევრია, ფეხზე ვდგავარ ხოლმე, ჩემს სკამზე კი რომელიმე მგზავრი ზის. ხშირად ეტანებიან ამ სკამს ახალგაზრდები. ჩემთვის სულ ერთია, პირიქით, მსიამოვნებს მათი ხუმრობა და სიახლოვე. ახლაც ჩემს სკამზე ახალგაზრდა ვაჟი მოკალათებულა. იგი უქუდოა. მართლაც ამ ხუჭუჭი თმის დამალვა ცოდვაა. წინა ბაქნიდან გადმოწოდებულ ფულს მაწვდის, ბილეთს და ხურდას მგზავნის.

— რამდენს დამინიშნავთ ჯამაგირს, თქვენი ასისტენტი რომ ვიყო?
— ჯერ გამოსაცდელი ვადა უნდა გაიაროთ, — ვპასუხობ მე.
— მე მაქვს გამოცდილება!
— ეგ ჩემთვის არაფერს ნიშნავს, მე უნდა... — სიტყვას ვწყვეტ და ლამის ენაზე ვიკბინო: ცუდად გამიგო. ეშმაკურად მიღიმის, მაგრამ ვებრალები, მაწვდის ვიღაცის გადმოწოდებულ ფულს და სერიოზულად მეუბნება:
— აქედან სამი ბილეთი!

რაღაც კარგი რამ მინდა ვუთხრა, რომ არ ისარგებლა ჩემი სისუსტით, არ ვიცი კარგი ხუმრობა, ალერსიანი სიტყვა; სულერთია, მინდა ვასიამოვნო, მაგრამ ვერაფერი მომიფიქრებია. ვაჟი ხელს ჰკიდებს ბილეთის გორგალს და ჩემ მაგივრად ხევს. ჩვენი ხელები ერთმანეთს ხვდება. ჩემი ხელი ცივია, მისი კი თბილი.

ტროტუარზე ნაცნობ გოგონას ხედავს. უცბად წამოხტება, ხელს დაუქნევს და ტროლეიბუსიდან ჩადის. ალბათ უკვე აღარც ვახსოვარ. მიიჭრება ქალიშვილთან, ორივე ხელს ხელებში ჩაჰკიდებს. წამით უცნაური გრძნობა მეუფლება, თითქოს ვეჭვიანობ. რა სისულელეა! ქალიშვილი ჩემზე ახალგაზრდაა, კარგია. მაგრამ მეჩვენება, რომ მე უკეთესი ვარ. მას ქერა თმები აქვს, მეც. ჩემი კულულები უფრო უხვია. მასაც ცისფერი თვალები აქვს. ჩემზე უკეთ აცვია...

მაინც მოვაგონდი ჩემს თანაშემწეს: ტროლეიბუსი რომ დაიძრა, გამოიხედა, ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. თავშეკავებულად გამიღიმა და კვლავ განაგრძო საუბარი. არ მწყენია, რომ ყურადღება სხვა არაფრით გამოუხატავს, ჩანს, ჩვენს ნაცნობობას რაღაც მნიშვნელობას აძლევს. რა სისულელეებს ვფიქრობ..

— ათმაურიანი იყო, ქალო, ათმაურიანი! შენ კი თექვსმეტ კაპიკს მაძლევ: — კაპასობს ჩემი მგზავრი. ხურდა არასწორად მიმიცია.

ბოდიშს ვიხდი და ვაძლევ დანარჩენს. ბილეთს ვხევ და ვაწვდი.

— ბილეთი ხომ უკვე მომეცი! დღეს არაფერი გიჭამია?



რას მერჩის ეს ქალი? დილას საუზმე მართლა ვერ მოვასწარი. მაგრამ ჭამა რა შუაშია?

დროდადრო კარლო ჩამოდის მანქანიდან, ასწორებს ჩამოვარდნილ შტანგებს. მანქანა აძიგძიგდება. შემდეგ კვლავ გამოითიშება დენი. ისმის უკმაყოფილო შეძახილები:

— ყოველთვის ასეა, როცა გეჩქარება!
— ვინ დასვა ეს ფინაჩი საჭესთან!
— ესეც ვითომ ტრანსპორტია, რაღა!..

ჩემთან ორი ახალგაზრდა ზის და მათზე არ მოქმედებს დაყოვნება. ტექნიკის არაფერი გამეგება, მაგრამ მესმის, რომ რაღაც საჭრისის გაუმჯობესებაზე ლაპარაკობენ. ნეტავი რას ჭრიან იმ საჭრისით?

როცა ხალხი ბევრია, კარლო განგებ ამუხრუჭებს მანქანას, რომ აიძულოს მგზავრები შეავსონ წინა ადგილები. იგი მოთმინებით ისმენს ქათინაურებს:

— რა უნდა მაგას ტროლეიბუსში, ტაჩკას უნდა დაათრევდეს!

ყოველთვის მიკვირდა, როგორ ახერხებენ კონდუქტორები ხალხით გაჭედილ ტროლეიბუსში ასე თავისუფლად გაძრომა-გამოძრომას. ახლა თვით დავეუფლე ამ ხელოვნებას. ბილეთებს ვყიდი და ნელა მივიწევ წინ, ჩემი სკამისაკენ. ამ დროს ქალები ჩვეულებრივ მუჯლუგუნით მაცილებენ ხოლმე და კვლავ იკავებენ თავიანთ ადგილს. კაცები კი ბეჭზე ხელს მადებენ და ხელს მიწყობენ, რომ გავიარო. მსიამოვნებს ეს მზრუნველი ხელი.

კვლავ ამოვიდა ის ახალგაზრდა, ბილეთების გაყიდვაში რომ მეხმარებოდა, მაგრამ ჩემს სკამზე არ დამჯდარა: მე ვიჯექი. რატომღაც თვალს ვერ ვუსწორებ.

— შესანიშნავი იდეა მაქვს: ახალ ფრანგულ სურათზე ბილეთები შევიძინე...

იგი ხევს ბილეთს, ერთს ხელში მაჩეჩებს და პასუხსაც არ უცდის, ხტება ტროლეიბუსიდან.

ძალიან მინდა წავიდე, აქებენ ამ სურათს. მაგრამ რომ ვიცი, რასაც ნიშნავს ეს დაპატიჟება? სურათს გაცილება მოჰყვება... არა, არ მინდა.

საღამოს კი მაინც მივდივარ. კინო ძალიან მიყვარს, აგრე ადვილად ვერ შევეელევი. მართლაც, შესანიშნავი სურათი ყოფილა. ჩემზე ძალიან მოქმედებს კინო. ვტიროდი კიდეც. ჩემი ახალი ნაცნობი გადმომხედავდა, სიბნელეში ცრემლების ციმციმს ამჩნევდა, ეცინებოდა, ხელზე ხელს მკიდებდა დასამშვიდებლად და მეც [illegible]. ფრთხილად ხელს ვითავისუფლებდი და ღიმილით ვპასუხობდი. მას ნუგზარი ჰქვია. უნდა გამოვტყდე, მომწონს კიდეც...

ქუჩაში თითო-ოროლა გამვლელია. შინისაკენ მიიჩქარიან. მხოლოდ რამდენიმე წყვილი მოსეირნობს ნელა, ხელკავით, ჩვენც ხელკავით მივდივართ. ჩემს სახლს ვუახლოვდებით. გარშემო არავინ ჩანს. ნუგზარი მაჩერებს...

— არა, არა!.. — თრთოლვით მოსწყდება ჩემს ტუჩებს და გავრბივარ. ვაჟი მეწევა, ხელით მიჭერს.
— არ გამიწყრე... ხვალ მოხვალ?
— არა, არა!.. — ვპასუხობ და ეზოში შევრბივარ.

„არა-მეთქი“, მაგრამ რა ვიცი...

ოთახში ჩუმათ შევდივარ. ჩუმათვე ვიხდი. ქუჩიდან შემოსული მთვარისა და ლამპიონის სინათლე ანათებს ოთახს. სარკეში ვხედავ ჩემს თავს. დაღლილი ღიმილით მომჩერებია ლამაზი ქალი. მე მიყვარს ეს ქალი და მომწონს. მართლა ლამაზია? ვათვალიერებ გადმოშლილ თმებს, თეთრ მკერდს...

შემდეგ ვუახლოვდები საწოლს. ერთადერთი საწოლი დგას ჩემს ოთახში, იქ ჯერ მარტო ჩემი გოგონა წევს.

პატარას სძინავს. წევს ისე, როგორც დავტოვე. ექვსი წლის არც არის. მარინე ჰქვია. ფუნჩულა ხელი ლოყის ქვეშ ამოუდია. ტუჩები გაბუტულივით გამობერვია და მშვიდად სძინავს. მშვიდად? თვალზე ცრემლის წვეთს ვამჩნევ. ნუთუ გაიღვიძა? ან იქნებ სიზმარში ტიროდა?

ჩემი დაწოლა გაიგო. პატარა ხელები კისერზე შემომაჭდო, ჩამეხუტა და ჩურჩულით მკითხა:

— დედიკო, მიყიდე წითელკაბიანი თოჯინა?

პასუხს ვერც დაელოდა, ისე ჩაეძინა. მე მომეჩვენა, რომ შორი გზიდან მოვედი და დიდხანს მელოდა პატარა მარინე. ფრთხილად, სულ ფრთხილად ვაკოცე მარჯნისფერ ტუჩებთან, თბილ ლოყაზე. ჩემი კოცნა მხოლოდ მას უნდა ეკუთვნოდეს.

აუცილებლად ვუყიდი თოჯინას, აუცილებლად...





## მე მას ვიგონებ

იქნებ არც არის ისე მაღალი,
მე მას ვიგონებ კიდევ და კიდევ,
შემოდის სულში მგზავრი ახალი,
კაცი, რომელიც აშენებს ხიდებს.

ის ყველა წყალმა შორიდან იცნო,
შეეხუნდებიან როგორც ღელენი,
...მშვიდი თვალები, მკაცრი და
ვიწრო,
და სიარულში ზღვათა ღელვანი.

იქნებ არც არის ისე ლამაზი,
მიმოხაზული ქარისგან შუბლი,
მაგრამ ვინ კვეთავს მთასა მაღალსა,
ვინ თქვა სიმღერა კაცის და
ღრუბლის.

ალლო სიკეთის საითკენ მიხმობს,
გრიგალებს ვისი მკლავები იტევს,
ის დადის ისე, თითქოს არც იყოს
კაცი, რომელიც აშენებს ხიდებს.

## ყაყაჩოები

ისე გიტევენ ლექსები ჩემი,
ვით მუხებს იტევს ტბის ზედაპირი,
მე ისევ შენი ერთგული ვრჩები
და ზღაპარია სხვა ყველაფერი.

შენ იყავ ცივი და შეკუმშული,
როგორც ჩაკეტილ ოთახში კვამლი,
შენ არ გესმოდა ჩემი ჩურჩული,
და არ გიყვარდა არც ერთი ქალი.

შენ ისე ცოცხლობ, როგორც
მდინარე,
ვერ შევაჩერე, და სულ იცვლები,
მგონი როგორღაც გამოიდარე,
მზეზე შრებიან თეთრი ფიცრები.

და მე ვეხები საყვარელ ხელებს,
რაღაც წუხილით და სასოებით,
და მიქანაობს პატარა ღელე,
სავსე წითელი ყაყაჩოებით.



## ამიტომ ვდგავარ

მე რომ სიცოცხლე უცებ დავტოვო,
გაგიჟდებიან სამშობლოს მთები...
ატირდებიან, ჩემო ბატონო,
ჩემი ლამაზი, მაღალი მთები.
დაიბღავლებენ ისე ხმამაღლა,
რომ ცას გასწვდება მათი ბღავილი...
და თუ მოუვლით ქარი ხანდახან,
გადმოსკდებიან ნიაღვარივით.

ამიტომ ვდგავარ ასე ზვიადად
და ამიტომ ვარ ასე მაღალი,
შეხედეთ!
ჩემთვის გამოზნიანდა
შეფარებული ბუჩქებს მაყვალი.
მხრებზე მაცვია ოქროს ცვარ-ნამი,
ვთქვათ და...
ეს მაინც როგორ დავტოვო...

ჩემს ცას და მიწას, — ჩემს მზეს
სალამი,
ისევ ვიძახი, ჩემო ბატონო:
სულ ჩემი სუნთქვით
დაწინწკლულია
მთათა ფერდები და ხევ-ხუვები—
და მათთან ყოფნა ისე მწყურია, —
მივდივარ, ვკოცნი და ვეხუმრები.

გული სიცოცხლით თუ არ ილღება,
რად უნდა ვიყო გულდაწყვეტილი,
მე ისევ ვმღერი
და ჩემს სიმღერას
არ დაესმება არსად წერტილი.
ცრემლის ტრფიალი არ ვარ
სრულიად,
გაზაფხულია ჩემი ყვავილი...
აი, ეგ ნისლიც ჩემი სულია
და ისიც მხიბლავს, ლამაზ ქალივით.
მზე დილით როცა გამობრწყინდება,
იტყვი:
სხვა კიდევ რა ვინატროვო...
აი, ეს წყარო პაწაწკინტელა,
ვის ჩავაბარო, ჩემო ბატონო!
სიმღერა სულში მიედინება
და სიკვდილისთვის სადა მცალია...
საოცარია ამ ცის დიდება,
მართლაც რომ... მართლაც საოცარია;
ისე წმინდაა, ისე თბილია,
სულ დაგავიწყებს რა ხარ, ვინა
ხარ...
სად არ ვყოფილვარ,
სად არ მივლია,
მაგრამ ასეთი ცა არ მინახავს;
თავს დაგადგება თეთრი ღრუბელი,
თეთრი და... ისე, ისე მწველია...
არა, აქ როგორ დავილუპები,
თუ კი სიცოცხლე აქ მიწერია.

და ვარ ძლიერი, და ვიხედები,
ყური დაუგდეთ ამ სიმფონიას...
ჩემი მგონია ცა და ხმელეთი
და რა ვქნა... რაკი ასე მგონია,
გზაზე შემხვდება გოგო წერწეტა,
ახლეტილი და სუნთქვის
შემკვრელი—
გაიყოლიებს ჩემს სულს წვეთ-
წვეთად
და მის თვალებში ავირეკლები.
...და განათდება მზე და ამინდი
და მინდა შუქმა გადმომათოვოს...
საით წავიდე, რატომ წავიდე,
როგორ წავიდე, ჩემო ბატონო?!



# კიდევ ერთი დღემდე უცნობი წიგნი

ჩვენმა მკითხველმა მიიღო კიდევ ერთი დღემდე გამოუქვეყნებელი წიგნი საქართველოს ისტორიიდან, რომელიც იტალიელი მისიონერის კალამს ეკუთვნის და რომელშიც აღწერილია მე-17 საუკუნის ქართლის, იმერეთის და უპირატესად კი სამეგრელოს ცხოვრების საგულისხმო ეპიზოდები.

1681 წელს საქართველოში რომიდან ჩამოვიდა ორი ცნობილი მისიონერი — არქანჯელო ლამბერტი და დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. ლამბერტის შესახებ ჩვენ სიტყვას არ გავაგრძელებთ — მისი წიგნი „სამეგრელოს აღწერა" ჩვენში კარგად არის ცნობილი და ჩვენს ისტორიოგრაფიაშიც უკვე მოცემულია მისი სათანადო შეფასება, აღნიშნულია მისი ხარვეზებიც და ის მნიშვნელოვანი ცნობებიც, რომლითაც ლამბერტიმ გაამდიდრა ჩვენი ცოდნა ძველი საქართველოს შესახებ.

ჯუდიჩეც, როგორც უკვე ვთქვით, ლამბერტისთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში. როგორც ლამბერტის, ჯუდიჩესაც სხვადასხვა დროს დაუწერია საქართველოს შესახებ რელაციები და რომში გაუგზავნია. თვითონ ავტორი თურქებმა შეიპყრეს და სტამბოლის საპყრობილეში ჩაამწყვდიეს, სადაც იგი გარდაიცვალა. მისი ხელნაწერები ვატიკანის არქივში აღმოაჩინა ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ და ისტორიკოსმა მიხეილ თამარაშვილმა, რომელმაც არქივიდან გადმოიწერა სამეგრელოდან რომში გაგზავნილი ჯუდიჩეს რელაციები და ამით დიდი სამსახური გაუწია ჩვენი ხალხის ისტორიაში ამ უაღრესად ტრაგიკული პერიოდის შესწავლის საქმეს.

მისიონერი ჯუზეპე ჯუდიჩეს რელაციები („წერილები საქართველოზე") იტალიურიდან უთარგმნია ბეჟან გიორგაძეს; წიგნი მთარგმნელისავე წინასიტყვაობით გამოსცა „საბჭოთა საქართველომ". ჯუდიჩეს „წერილები საქართველოზე" ფრიად საინტერესოა თავისი თხრობით, ფაქტიური მასალების აღწერითა და ანალიზით. მართალია, მისი წერილები უფრო სამისიონერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული მიმოწერაა, მაგრამ გზადაგზა ის ფრიად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის, რაც გვიხატავს გლეხობის ეკონომიურ მდგომარეობას, ფეოდალების მოქმედებას, ლევან დადიანის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას, ალებ-მიცემობას, მეგრელების ადათ-წესებსა და საერთოდ ქვეყნის სოციალ-პოლიტიკურ ვითარებას.

ამ ნაშრომს განსაკუთრებული მნიშვნელობა იმის გამოც ეძლევა, რომ ავტორი თვითმხილველია ყოველივე იმისა, რასაც აღწერს. მისი თხრობა უშუალო და დამაჯერებელია, ეს ითქმის კერძოდ სამეგრელოს ყოფასა და ტრადიციებზე, ქართველ ქალზე, საქართველოს ბუნებასა და მეურნეობაზე, საკულტო ცერემონიებზე, სამედიცინო მომსახურებაზე და ა. შ.

ჯუდიჩეს ნაშრომი გამსჭვალულია კეთილშობილური ჰუმანიზმით. ის საქმითაც და სიტყვითაც დაუზოგავად ებრძვის ტყვეთა გაყიდვის ბარბაროსულ ჩვეულებას, რომელიც ათას სხვა უბედურებასთან ერთად, თავს ატყდებოდა იმ დროის საქართველოს. ეს მანკიერი ჩვეულება ფესვგადგმული იყო გადაგვარების გზაზე დამდგარ მაღალ ფენებში და ჩვენი ერის დაუძინებელ მტრებს ხელსაყრელი პირობები ექმნებოდათ გაპარტახებამდე მიეყვანათ საქართველო. ასეთი მახინჯი მოვლენის წინააღმდეგ მედგარ პროპაგანდას ეწეოდა ეს კეთილშობილი ადამიანი, რომელიც თავისი მოღვაწეობით უდიდესი მნიშვნელობის საქმეს აკეთებდა ქართველი ხალხისათვის.

როგორც არქანჯელო ლამბერტის წიგნი, ასევე ჯუზეპე ჯუდიჩეს რელაციები დიდი შენაძენია ქართული ისტორიოგრაფიისათვის.

**ალ. სიგუა**

# მთარგმნელის ოსტატობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ნაკადულმა" ამას წინათ ქართულ ენაზე გამოსცა ცნობილი რუსი მწერლის ვალენტინ კატაევის „თეთრად ფრიალებს აფრა ეული". ამ წიგნის თარგმანი ვლადიმერ მგალობლიშვილს ეკუთვნის. ჩვენ სიტყვას არ გავაგრძელებთ კატაევის რომანის მნიშვნელობაზე, რომელმაც წლების მანძილზე როგორც ნორჩი, ისე უფროსი თაობის მკითხველთა უღრმესი სიყვარული დაიმსახურა. გვინდა მხოლოდ ორიოდე სიტყვა თარგმანზე ვთქვათ. და აქ თავიდანვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ვლ. მგალობლიშვილმა თარგმანში ამ წიგნს სავსებით შეუნარჩუნა მისთვის დამახასიათებელი უშუალობა და ბუნებრიობა. აქ მკითხველი ყოველ ნაბიჯზე გრძნობს ორიგინალის კოლორიტსა და სახეობრივ სიმდიდრეს. ამიტომ არის, რომ როცა ამ ნაწარმოებს კითხულობთ, სრულიადაც არ გრძნობთ, რომ იგი თარგმნილია — მას ორიგინალური ნაწარმოებივით აღიქვამთ, გხიბლავთ მისი სადა, ძარღვიანი და ხატოვანი ენა, მოქნილი და ლაღი ფრაზა.

ასევე კარგად თარგმნა ვლ. მგალობლიშვილმა ს. გოლუბოვის „ბაგრატიონი" („ნაკადულის" გამოცემა).

ვ. მგალობლიშვილის, როგორც მთარგმნელის ოსტატობა, განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა ბ. ბელინსკის წერილების თარგმნისას. ბ. ბელინსკის „წერილები პუშკინის შესახებ" მსოფლიო კრიტიკული აზროვნების შედევრებია. ეს გარემოება მთარგმნელისაგან მარტო საგნის ცოდნას და დიდ შრომას კი არ მოითხოვდა, არამედ მხატვრულ ტალანტსაც, რადგან დიდი მოაზროვნე ბელინსკი დიდი მხატვარიც არის, თავის აზრებს იგი უაღრესად ლაკონიურ და სახიერ ფორმას აძლევს; სწორედ ასეთია ბელინსკი ვლადიმერ მგალობლიშვილის თარგმანშიც; მისი ღრმა აზრები აქ ნათლად, სადად და მხატვრულად არის გადმოცემული.

ვ. მგალობლიშვილი შესანიშნავი ჟურნალისტი და ლიტერატორი იყო. ამას ადასტურებს მისი წერილები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებზე, ხელოვნებასა და ლიტერატურაზე, აგრეთვე მისი მხატვრული ნარკვევები, რომლებიც მკითხველის ყურადღებას იპყრობენ არა მარტო თემატიკური აქტუალობით, არამედ ცხოვრებისეული მოვლენების მხატვრული განზოგადებითაც.

დიდი სამამულო ომის წინ და ომის პერიოდში ვ. მგალობლიშვილმა დაწერა რამდენიმე პამფლეტი, რომელიც მიმართული იყო შოვინიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ. წერილებში „ვინ დასწვა რაიხსტაგი", „მიხაკისფერი ჰირი" და სხვ. იგი დაუნდობლად ამხილებდა ბოროტმოქმედებს, ომის გამჩაღებლებს, საკაცობრიო პროგრესის მტრებს, ბარბაროსებსა და კანიბალებს.

* * *

სიკვდილამდე ორი თვით ადრე ვ. მგალობლიშვილმა გადმომცა წიგნი, რომელიც მისთვის უჩუქებია პოეტ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილს წარწერით: „ჯერ კიდევ ათიოდე წლის წინათ, როცა არ ვიცნობდი ვლადიმერ მგალობლიშვილს, მაოცებდა მისი ქართული ენის ცოდნა... ახლა, მე როგორც ამ ქვეყნიდან წარმავალს, მინდა დარჩეს ამ წიგნში ჩემი აზრი ვლ. მგალობლიშვილზე: იგი მეტად დიდი მუშაკია, პატიოსანი, მშრომელი, სპეტაკი, ერუდიტი, გულხმიერი, ამტანი და გამტანი.

ვუსურვებ, მეგობარ ვალოდიას დიდხანს სიცოცხლეს, ამტანობას, ჩვენი კულტურის, ჩვენი ანკარა ქართული ენის დასაცავად და სადღეგრძელოდ.

რა ვქნა, ასე ამომესიტყვა. მიყვარს ალალი კაცი!

ი. გრიშაშვილი. 1957 წ. 10 მარტი".

როგორც ხედავთ, ამ სიტყვებში ნათლად არის დანახული და სათანადოდ შეფასებული ვ. მგალობლიშვილის ლიტერატურული და საზოგადოებრივი ღვაწლი; ეს პატარა წერილი ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ გულისხმიერებას და ყურადღებას, რომლითაც ჩვენი სახალხო პოეტი ი. გრიშაშვილი ეპყრობა ყოველ ნიჭიერ შემოქმედს.

**ვლ. ჯიბუტი**

# სიმღერა მეგობრებთან

ალექსანდრე გლეზერი*

გივი გეგეჭკორს

მცხეთავ, ქინვალო, მესტია, ბერო,
ისევ თქვენთან ვარ... შენთან ვარ გივი!
თქვენი ბრალია თუ ქართველ ბიჭებს
ცოტათი მაინც რამეში ვგავარ.

ძმებო, მე ისე შორიდან მოველ...
მელანდებოდა: სხეულს დაწრეტილს
აკლდა ქართული მზე, წვიმა, თოვლი,
მეგონა, — სტრიქონს ველარ დავწერდი.

ურალის მთებშიც თვალწინ მედექით,
მენატრებოდით, თქვენზე ვფიქრობდი.
თითქოს გადიქცა მტვრად და მეტეხად
ციხე, — იქ რომ დგას, წყარო—იქ რომ დის...

მუდამ წინ ენთო ჩემს დაღლილ თვალებს
მთაწმინდა, — ბრძენი ქალაქის შუბლი,
ვხედავდი როგორ ეძებდა მთვარე
ძველი თბილისის შუკებს და უბნებს.

ვოლგაზეც თითქოს ვისხედით ორნი
...უსტვენდა სიო გამხმარ ჩალის ღერს,
მიაბოლებდნენ ჭალები რიონს
და მოიწევდა ბინდი ჭალისკენ...

დღეს კი ჩემ თბილისს კვლავ ვეახელი,
მოვრბოდი, როგორც ძვირფას კორწილზე.

იმდენი იგრძნო სულმა ახალი, —
ძველ მოგონებებს ძლივს ვაკოწიწებ.

სწოვენ მტევნები მხურვალე მზის სხივს,
ათრთოლებს ძარღვებს ღვთიური დენი.
და დუღს სიცოცხლე, — ვალი და სესხი,
დიდი სიცოცხლე, — ჩემი და შენი.

და თუ სხეული სავსეა მუხტით,
და თუ თვალები სავსეა სხივით,
შენს ქართულ ლექსებს მადლობას ვუხდი,
და როგორც ძმაკაცს, გეხვევი, გივი!

**თარგმნა ტარიელ ჭანტურიამ**

---

* ალექსანდრე გლეზერი — ახალგაზრდა რუსი პოეტია. ის დიდი სიყვარულით აცნობს რუს მკითხველს ქართულ პოეზიას. სხვა და სხვა დროს მან თარგმნა ს. ჩიქოვანის, რ. მარგიანის, ი. ნონეშვილის, ა. თევზაძის, თ. ჭილაძის, გ. გეგეჭკორის, ო. ჭილაძის, ჯ. ჩარკვიანის და სხვათა ლექსები.



1




3

# ირაკლი ოჩიაური



2

ქართულ ქედურ ხელოვნებას მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები აქვს. უკვე რამდენიმე წელია, რაც ახალგაზრდა მხატვარი და მოქანდაკე ირაკლი ოჩიაური გატაცებით ემსახურება ოპიზის, ტბეთის, თრიალეთისა და სხვა სკოლების საქვეყნოდ სახელგანთქმულ დიდოსტატთა მივიწყებული საქმის აღორძინებას.

მოქანდაკემ ეს-ეს არის დაამთავრა ახალი ნაწარმოები (სურათი 1).

აქ კი ჩვენ იგი მუშაობის პროცესში გადავიღეთ. ახლა ყოველ წვრილმანსა და ყოველ თითქოს უმნიშვნელო დეტალს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ჩაქუჩის ერთ ზედმეტ, უნებლიე მოძრაობასაც კი მთელი თვის შრომა შეუძლია გააფუჭოს (სურათი 2).

ირაკლი ოჩიაურის „დაირაზე დამკვრელი ქალი“ ადამიანს ხიბლავს თავდაჯერილი, ლაკონური ხა ზებით, თავისი გრაციითა და დინამიურობით. ავ ტორმა შესძლო ოსტატურად წარმოესახა დაკვრი ექსტაზში შესული ახალგაზრდა ქალის შთაგონე ბული სახე (სურათი 8).

სამაჯურებში, ყელსაბმელებში, მედალიონებში სხვადასხვა დეკორაციულ ნაწარმოებებში ირაკლ ოჩიაური მაღალი ოსტატობით და ზომიერები გრძნობით ახამებს ერთმანეთს სიმბოლურ და მო დერნიზებულ გამომსახველობით საშუალებებს.

თანამედროვეობის სულისკვეთება, დაუშრეტელ ფანტაზია, ორიგინალური გააზრება და ოსტატობა — აი რა არის ირაკლი ოჩიაურის საერთო მოწო ნებისა და აღიარების სათავე (სურათი 4).



4


ეროვნული ბიბლიოთეკა

სასტუმრო დილმის გზაზე

ფოტო ო. თურქიასი და ე. პესოვისა

# თამარ ნიკოლაძე

ალექსანდრე კაიშაური



ეს ფოტო გადაღებულია ნიკო ნიკოლაძის მიერ 1903 წელს, ბერლინში; სურათზე ვხედავთ მის შვილებს. ნიკო ნიკოლაძე სამი შვილის მამა იყო (რუსუდანი, გიორგი და თამარი). ფოტოზე კი, ექვსნი ჩანან — ნიკომ თავისი ბავშვები სარკის წინ გადაიღო.
სურათზე: ზემოდან ქვემოთ — რუსუდან, გიორგი და თამარ ნიკოლაძეები.

**ქართულ ტანვარჯიშს შესანიშნავი ტრადიციები აქვს. ამ ტრადიციათა ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო თამარ ნიკოლაძე, უმცროსი შვილი მეცხრამეტე საუკუნის სახელოვანი მოღვაწის — ნიკო ნიკოლაძისა.**

თამარ ნიკოლაძე დაიბადა 1892 წლის 12 ივლისს, კოჯორში; ბავშვობის წლები მან გაატარა დიდ-ჯიხაიშში. მალე პატარა თამარს ფოთში ვხედავთ, სადაც ნიკო ნიკოლაძემ თავისი ოჯახი გადაიყვანა იმ დროიდან, როცა იგი ქალაქის თავად აირჩიეს.

ექვსი წლისა იყო თამარი, როცა ოჯახი საცხოვრებლად თბილისში მკვიდრდება. ამ ოჯახის სტუმრები იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი და სხვა გამოჩენილი ქართველი მოღვაწენი. პატარა თამარი გატაცებით უსმენს მათ დარბაისლურ საუბარს; ამ დროიდან ის ხშირად დაჰყავთ „ჯეჯილის" რედაქციაში და ეკ. გაბაშვილის სამკერვალო სკოლასა და სახელოსნოში.

თამარი ტანვარჯიშმა ბავშვობიდანვე გაიტაცა. ამ მხრივ მასზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა მისმა ძმამ — გიორგი ნიკოლაძემ, რომელიც საქართველოში ჩამოსული ჩეხი სპორტსმენის ანტონ ლუკეშის ნიჭიერი მოწაფე იყო. და-ძმა გატაცებით ვარჯიშობდნენ ლერძზე, რომელიც საკუთარ ეზოში ჰქონდათ მოწყობილი.

ნიკო ნიკოლაძეს ხშირად უხდებოდა საზღვარგარეთ მოგზაურობა და ოჯახიც თან ახლდა ხოლმე. არაერთგზის მოიარეს ნიკოლაძეებმა საფრანგეთი, იტალია, შვეიცარია და ევროპის სხვა ქვეყნები. ცამეტი წლის გიორგი შვეიცარიაში პირველად ეზიარა ალპინიზმს; „ექსპედიციაში" დებიც თან გაიყოლია — ცხრა წლის თამარმა, ძმასთან ერთად, ადვილად დაძლია ასვლა-დაშვების სიძნელეები. იმავე ხანებში, სავოიაში თამარი ცურვასაც სწავლობს.

პირველი რევოლუციის წლებში ახალგაზრდა ნიკოლაძეები სახალხო მოძრაობის ტალღამ გაიტაცა. ამ ხანებში გიორგი კარგა ხნით ივიწყებს თავის საყვარელ ლერძსა და ორძელს. 1905 წლის გაზაფხულზე იგი გიმნაზიას ამთავრებს და 1906 წელს ოჯახი პეტერბურგში გადადის, სადაც გიორგი ტექნოლოგიურ ინსტიტუტში ჩაირიცხა. აქვეა მისი და რუსუდანი, რომელიც ადრევე გაემართა უმაღლესი განათლების მისაღებად. თამარი კი, ბიოლოგიის შესწავლასთან ერთად, გატაცებით ეწაფება ტანვარჯიშს, ეწერება ტანვარჯიშის საზოგადოების ქალთა განყოფილებაში და კვირაში ორჯერ ბეჯითად ვარჯიშობს.

1907 წელს პრაღაში ჩატარდა შეჯიბრება ტანვარჯიშში მსოფლიო პირველობაზე. ამ შეჯიბრებაში თავი ისახელა საზოგადოება „სოკოლმა". ეს იყო სტიმული გიორგისათვის დაბრუნებოდა თავის საყვარელ სპორტს. ამ ხანებში პეტერბურგს მოევლინა შესანიშნავი სპორტსმენი — პედაგოგი ფრანც ერბენი, მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი. მოკლე ხანში ერბენის წყალობით სპორტულმა საზოგადოებამ ორი განყოფილება გახსნა; თამარი და გიორგი ერთად შევიდნენ ერბენის „სოკოლში" და ერთი თვის შემდეგ და-ძმა ქალთა და ვაჟთა ჯგუფებში, უძლიერეს მოვარჯიშეებთან გადაიყვანეს.

იმავე ხანებში თამარი ცხენოსან ქალთა წრეშიც შედის, სადაც კარგ შედეგებს აღწევს; უფრო მეტ დროს მაინც ტანვარჯიშს ანდომებს. მის ჯგუფში, სხვებთან ერთად, იყო აკადემიკოს ბეხტერევის ქალიშვილი ეკატერინე, ასევე ძლიერი ტანმოვარჯიშე. ბეხტერევას თამარი მით უფრო მეტად დაუმეგობრდა, როცა ისინი ერთად შეუდგნენ ტანვარჯიშის სისტემის თეორიულ დამუშავებას ანატომიურ-ფიზიოლოგიური ცდების გამოყენებით. ეს იყო ფრიად საინტერესო წამოწყება, იმ დროისათვის სრულიად ახალი საქმე. სამხედრო-ქირურგიული აკადემიის პროფესორი ბეხტერევი ამ საქმეში დიდ დახმარებას უწევდა თამარსა და ეკატერინეს.

1912 წელს ფრანც ერბენმა პრაღაში VI მსოფლიო პირველობაზე ძლიერი ჯგუფი წაიყვანა; იმ წელს გიორგი ნიკოლაძემ ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია. ვაჟთა გუნდს ცხრა მოვარჯიშე ქალიც ახლდა; ამ ჯგუფში უნდა ყოფილიყო თამარიც, მაგრამ წასვლის წინადღეს ხელი დაიშავა და თაბაშირჩამოკიდებული მხოლოდ მაყურებლად წარსდგა პრაღაში.

1910 წელს, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ თამარი პეტერბურგის ქალთა ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე შედის. იგი დიდი მონდომებით ეწაფება ფიზიოლოგიასთან ერთად ტანვარჯიშის თეორიასა და მეთოდიკას. 1915 წელს თამარი ფიზიოლოგიის კათედრაზე დასტოვეს. როგორც ასისტენტი და ახალგაზრდა მკვლევარი, აქაც იგი დიდი გატაცებით მუშაობდა.

1917 წლის ზაფხულში თამარი სამშობლოში ბრუნდება და თბილისში მუშაობას იწყებს ბიოლოგიის მასწავლებლად; 1918 წლიდან იგი უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის კათედრის ასისტენტია. ამავე ხანებში, ძმასთან, გიორგისთან ერთად, დაუღალავად ზრუნავს ქართული სპორტის აღორძინებისათვის. მისმა პირადმა მაგალითმა ამ მხრივ დიდი როლი შეასრულა.

ძმასავით უბრალო და თავმდაბალი თამარი პირველი შეხვედრისთანავე იზიდავდა და ხიბლავდა ყველას; ხოლო თავის აღზრდილთათვის მუდამ იყო სასურველი მაგალითის მაჩვენებელი; ასეთი იყო თამარი შინ და გარეთ. ჭეშმარიტად სახელმოხვეჭილმა ქართველმა სპორტსმენმა ქალმა ღრმა კვალი გაავლო ჩვენი სპორტის ისტორიაში.

გიორგი და თამარ ნიკოლაძეები, გიორგი ეგნატაშვილთან ერთად, ჰქმნიან ტანვარჯიშის ტერმინოლოგიას და დიდ ორგანიზაციულ მუშაობას ატარებენ ქართული სპორტის ფეხზე დაყენებისათვის. თამარის მონაწილეობით ეწყობა ტანვარჯიშული საღამოები თეატრში. გიორგი ეგნატაშვილისა და თამარის მიერ შედგენილმა თავისუფალმა ვარჯიშმა დიდად დაამშვენა მოვარჯიშეთა მასობრივი გამოსვლა. ამ სამი მოამაგის ზრუნვის წყალობით თბილისსა და ქუთაისში, ბათუმსა და თელავში ფართოდ დაინერგა ქართული ტანვარჯიში, შემდეგ მან გავრცელება ჰპოვა სხვა მრავალ კუთხეშიც. და-ძმა, იმავე დროს, სკოლებში ტანვარჯიშის მასწავლებლები იყვნენ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სპორტი ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფოს შეუნელებელი ზრუნვის საგნად იქცა. ამიერიდან თამარ ნიკოლაძის წინაშე უფრო ფართო ასპარეზი იშლება. ის ზრდის შესანიშნავ ტანმოვარჯიშე ქალებს, რომელთა სახელები ღირსეულად ამშვენებს ჩვენი სპორტის მატიანეს.

1928 წელს თამარი პარიზშია, მამასთან ერთად, იქ თამარი ეცნობა ფიზიკურ აღზრდის ვითარებას სკოლებში და თავისთვის საჭირო დასკვნები გამოაქვს. იმავე წელს თამარი ცოლად გაჰყვა ნიკო მუსხელიშვილს და მალე სამშობლოში დაბრუნდა. შემდგომში იგი ლონდონს გაემგზავრა, სადაც დიდი წარმატებით გამოვიდა ტანმოვარჯიშე ქალთა შეჯიბრებაზე — მას პირველობა მიაკუთვნეს.

თამარ ნიკოლაძე პედაგოგიურ ინსტიტუტში სტუდენტებს უკითხავდა ფიზიკური აღზრდის მეთოდიკას და თეორიას, იმავე დროს, მუშფაკში ასწავლიდა ბიოლოგიასა და ფიზიოლოგიას.

მამისა და შემდეგ ძმის დაკარგვა თამარმა მძიმედ განიცადა. 1938 წელს იგი დაავადმყოფდა, გარდაიცვალა 1939 წელს.

ამ შესანიშნავმა ქართველმა სპორტსმენმა-ქალმა მთელი სიცოცხლე შესწირა ქართული სპორტის აღორძინების საქმეს. მისი სახელიც უკვდავსაყოფად დროული და მიზანშეწონილი იქნება დაწესდეს თამარ ნიკოლაძე-მუსხელიშვილის სახელობის თასი საქართველოს ტანმოვარჯიშე ქალთა პირველობისათვის.

ნიკო და თამარ ნიკოლაძეები. 1923 წ. ლონდონი.



# მშენებელი მეცნიერების ტაძრისა



მშენებელთა და ხუროთმოძღვართა მთელმა თაობებმა საუკუნეთა მანძილზე უმშვენიერესი ძეგლებით შეამკეს საქართველოს მიწა-წყალი. ეს ნაგებობანი ჩვენს დიდებას და სიამაყეს წარმოადგენენ.

ეს მშენებელნი აგებდნენ გელათისა და იყალთოს აკადემიებს, დიდებულ ტაძრებს, რომლებიც, იმავე დროს, კულტურის კერები იყო.

მეოცე საუკუნეში ჩვენი კულტურის ყველაზე დიდი კერა, მეცნიერების ყველაზე დიდი ტაძარი—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია.

და ბუნებრივია, რომ ყოველი ჩვენგანი ულრმესი მადლიერების გრძნობით იხსენიებს უნივერსიტეტის ამშენებელთა სახელებს.

ამ შენობის პროექტი ხუროთმოძღვარ სიმონ კლდიაშვილს ეკუთვნის. ამავე დროს, ნიკოლოზ ცხვედაძესთან ერთად ის პრაქტიკულად ხელმძღვანელობდა შენობის აგების საქმეს.

წელს ასი წელი შესრულდა ამ შესანიშნავი ადამიანის დაბადებიდან.

სიმონ კლდიაშვილი ოცდაათი წლისა იყო, როცა 1895 წელს დაამთავრა მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების უმაღლესი სასწავლებელი და მუშაობა დაიწყო ჯერ კოსტრომის გუბერნიაში, მერე კი სოხუმში, ქალაქის არქიტექტორად.

თბილისში იმ ხანებში უკვე დაწყებული იყო მზადება, რათა აეგოთ ქართული გიმნაზიის შენობა, რომელშიც შემდგომ უნივერსიტეტი უნდა მოთავსებულიყო. ეს თავიდანვე ასე ჰქონდა ჩაფიქრებული ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ნიკოლოზ ცხვედაძეს, რომელიც სათავეში ედგა ამ საქმეს. აქ დიდი როლი შეასრულა „შეუძლებელ მოსწავლეთა შემწე საზოგადოებამ."

ამ საზოგადოების 1897 წლის 22 მაისის კრებას, სადაც იხილებოდა ქართული გიმნაზიის მშენებლობის საკითხი, ნიკოლოზ ცხვედაძე თავმჯდომარეობდა. ეს ადამიანი იყო ამ საქმის სულისჩამდგმელი; მას ამ საზოგადოების გამგეობისაგან დავალებული ჰქონდა შენობისათვის შესაფერი ადგილი გამოენახა და მისი აგებისათვის საჭირო მატერიალური სახსრებიც შეეგროვებინა.

1898 წელს ქალაქის განაპირა უბანში, ვარაზის ხევის გაღმა არქიტექტორ ს. კლდიაშვილის ხელმძღვანელობით, მართლაც დაიწყო ქართული გიმნაზიის მშენებლობა. წინასწარი სამუშაოების დამთავრების შემდეგ 1900 წლის 14 ოქტომბერს პირველი აგურები ჩააწყეს უნივერსიტეტის შენობის საძირკველში.

ეს იყო დიდი ზეიმი. საძირკვლის ჩაყრას აუარებელი ხალხი დაესწრო. ილია, აკაკი და სხვა გამოჩენილი მოღვაწენი ყოველმხრივ დახმარებას უწევდნენ მშენებლებს. ეს აღნიშნა კიდეც ნ. ცხვედაძემ ილიას დასაფლავების დღეს წარმოთქმულ სიტყვაში: „საქართველოში არცერთი საზოგადოება არ არის, რომ ან ილიას თაოსნობით ან მისი რჩევით ან კიდევ დახმარებით არ იყოს დაარსებული და მათ შორის ჩვენი ქართული გიმნაზიაც".

ვინ მოსთვლის რაოდენი დაბრკოლების გადალახვა მოუხდათ ამ საქმის სახელოვან წამომწყებთ. დამახასიათებელია გაზეთ „კავკაზსკი კრაიში" მოთავსებული ო. შმერლინგის კარიკატურა: კალატოზები ქართული გიმნაზიის კედლებს აშენებენ, კედელზე ამაყად დგას ნიკოლოზ ცხვედაძე, ხოლო თავადები, მღვდელი და მოხელე მას ქვებს უშენენ, ის კი დამშვიდებით, დინჯად უპასუხებს მათ: „თქვენ მესროლეთ, რამდენიც გინდათ! შენობას კი უეჭველად დავამთავრებ.!". ხელისშემშლელი მართლაც ბევრი იყო, მათ შორის, პირველ რიგში, მეფის მოხელენი, მაგრამ მთელი მოწინავე ინტელიგენცია მხარში ედგა მშენებლებს და არაფერს არზოგავდა ამ საშვილიშვილო საქმისათვის. სწორედ ამის წყალობით მოხდა, რომ ნიკოლოზ ცხვედაძემ და სიმონ კლდიაშვილმა სანუკვარი დაპირება ქართველ ხალხს ბრწყინვალედ შეუსრულეს.

გიმნაზიის მშენებლობას ს. კლდიაშვილი თითქმის თხუთმეტი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა. მშენებლობა მთლიანად 1916 წელს დასრულდა. 1918 წლიდან აქ გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის შენობის გარდა, სიმონ კლდიაშვილმა არა ერთი ნაგებობით დაამშვენა ჩვენი დედაქალაქი. ამას გარდა, იგი დიდ ინტერესს იჩენდა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების შესწავლისადმი.

1902 წლის ზაფხულში, ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად, სიმონ კლდიაშვილი აწყობს ექსპედიციებს მესხეთ-ჯავახეთის უცნობი და ნაკლებად ცნობილი ძეგლების შესწავლისა და გამოკვლევის მიზნით.

1918 წელს „კაზმულ ხელოვნებათა საზოგადოების" სამხატვრო-სახუროთმოძღვრო კომისიამ დაიწყო ზრუნვა ახტალის ტაძრის გუმბათის რესტავრაციისათვის. ს. კლდიაშვილმა ამ საქმეშიც თავისი წვლილი შეიტანა. 1914 წელს იგი მცხეთის ჯვრის შემკეთებელ კომისიაში შედის, ამავე დროს, სვეტიცხოვლის განმაახლებელი კომიტეტის წევრადაც ითვლება, ხოლო 1910 წელს, კვლავ ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად, სვანეთის ექსპედიციაში მონაწილეობს.

ღვაწლმოსილი ხელოვანი და მშენებელი სიმონ კლდიაშვილი 1920 წლის 26 მაისს გარდაიცვალა. მადლიერმა ქართველმა ხალხმა სამუდამო ბინა მას ქართველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში დაუმკვიდრა.

შესანიშნავი ქართველი ხუროთმოძღვრის სიმონ კლდიაშვილის მთელმა მოღვაწეობამ წარუშლელი კვალი დასტოვა ქართველ ხალხის სამშენებლო ხელოვნების ისტორიაში.

**გ. ტოგონიძე**
ტექნიკური მეცნიერებათა კანდიდატი

---

## ზერფია ზერიაშვილი



### ჩემი სიმღერა

სიმღერა მინდა ისეთი კარგი,
ჩუქურთმასავით იყოს ნათალი,
გულში ფოლადად მსურს გამოვჭედო, —
სიტყვა მართალი!

არ მინდა ვიყო მხოლოდ ფუტკარი,
ლექსებს ვთაფლავდე ყვავილთა წვენით.
სიტკბო მოჰკითხეთ თაფლსა და შაქარს, —
ლექსს ცეცხლი შვენის!

ტალკვესად ვიხმარ უბრალო ფანქარს,
მკერდში დავინთებ ლექსების კოცონს,
დე, ყველა ლექსმა მხურვალე ტუჩით, —
მამული კოცნოს!

### რა მინდა?!

— რა მინდა?!
მინდა მზეს და ალიონს
ერთად ვხვდებოდეთ, კარგო, მე და შენ.
მსურს დამეწაფო და მთლად დამლიო
მე, —
სიყვარულით სავსე ზედაშე.

### გიორგი ლეონიძეს

მისი წერილის გამო — „დავწეროთ
„ქართული ტყე"

მუხის ფოთლებით, მუხის ფესვებით,
მდინარეების თეთრი ბწკარებით,
როგორც ყველაზე მწვანე ლექსები,
როგორც სიმღერა შეუდარები.

სიტყვა მებრძოლი, კაცური გულით
მტერთან შეხლილი, შენალეწები,
სათუთ რითმებად შემონახული,
რქაწითლის რძიან თოთო ლერწებით —

მთასა და ბარზე არის ნაწერი,
როგორც სიმღერა დღეის და ხვალის.
და საქართველოც, — ფუნჯით ნაფერი
ტყის დაგრაგნილი ეტრატი არის.

ხეს აქვს კაცური განცდაც და სითბოც,
გრძნობას მის გულშიც ზაუკვესია.
თითო ფოთოლი რითმაა თითო,
თვითეული ხე თითო ლექსია.

### ოცნებები, ოცნებები...

მზის ამოსვლას დავსწრებივარ ალაზანზე,
ყაზახეთში მზის ჩასვლისთვის მიცქერია,
შემიტკბია ცივ-გომბორის სილამაზე,
ზღვის ტალღებზე, მზის ფერები მირჩევია.

ვაუაის მთის წყალი მისვამს ორთავ პეშვით,
ლურჯ იაზე ბაგე დამიკონებია,
ატმისათვის წითელ ლაწვზე მიკოცნია,
შენი ლაწვი მგონებია.

ოცნებები... ოცნებები... ოცნებები...
რა დიადი, რა ლამაზი გორებია!

### თითქოსდა, სიღნაღს...

გალავანი აქვს შემონავლები, —
ამ სიცრუის თქმას სუყველას ვუშლი,
გამოწვდილი აქვს ჩემსკენ ხელები
და ჰა, საცაა ჩამიკრავს გულში.



# ჩვენი სოფლის პეიზაჟი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველად კახეთში გამიგონია ერთი ხალხური სიმღერა, რომელიც ასე იწყებოდა:

რათ გინდა, ბიჭო, ქამარი
გარტყია წელზეო,
მე რომ შენი ქოხი ვნახე,
მიბმული ღელვზეო.

ამ სიმღერაში თითქოს ხუმრობით კენწლავს ერთი სოფლელი ბიჭი მეორეს, მაგრამ რაოდენი მწარე სიმართლე იყო ამ ხუმრობაში. ქოხი ღელვის ხეზეა მიბმული იმიტომ, რომ ქარმა არ წააქციოს. მიწური, ალიზის ან წნელის კედლებიანი, ჩალით გადახურული ქოხები, წაფერდებული ფიცრული სახლები, რომელთა შორის მარტო აქა-იქ გამოერეოდა ხოლმე მდიდრული შენობა — ასეთი იყო ძველი სოფლის პეიზაჟი.

მაგრამ აბა ახლა გადახედეთ ჩვენს სოფელს — ვეღარ იცნობთ. ახალმა დრომ ახალი პეიზაჟი მოიყოლა თან.

საკოლმეურნეო წყობილების დამკვიდრებამ, ცხოვრების საერთო დონის ამაღლებამ, ყოველგვარი პირობა შექმნა იმისათვის, რომ თანამედროვე სოფელი განაშენიანებული იქნეს ადამიანის მზარდი კულტურული მოთხოვნილებების შესაბამისად.

* * *

როგორია ის კონკრეტული ცვლილებები, რომლებიც ამ მხრივ განიცადა ჩვენმა სოფელმა?

ქართლ-კახეთში, 1-2 სართულიანი საცხოვრებელი სახლებია გავრცელებული. უკანასკნელ წლებში აშენებული საცხოვრებელი სახლის ტიპები უფრო თანამედროვეობის გამომსახველია და თავისი შინაარსით და გარეგნული შეხედულებით ახალი ტიპის სახლს წარმოადგენს. პირველი სართული განკუთვნილია საცხოვრებლად, მეორე კი სტუმრის მისაღებად.

დამხმარე შენობები განცალკევებულია საცხოვრებელი სახლიდან.

მთიან ადგილებში ძველი ტიპის საცხოვრებელ სახლებს მოხსნილი აქვს ბოლო სართული ჩარდახით. უმეტეს შემთხვევაში ისინი გადაკეთებულია 2-3 სართულიან სახლებად და კრამიტით ან თუნუქითაა გადახურული; ძველებური კერის სანაცვლოდ მათში ბუხარი ან თუნუქის ღუმელია გამართული.

ბევრი ნაგებობა (ლაპარაკია ხევსურეთზე) ძველი ტიპის სახლისაგან სრულიად განსხვავებულია — ახალი ტიპის შენობებია აშენებული, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ზოგიერთი მათგანი გადახურულია ბანური წესით.

ძველებური კალოიანი სახლის და ახალი ტიპის საცხოვრებელი სახლების ერთმანეთთან შედარება გვიჩვენებს, რომ ძველებურმა ხევსურულმა სახლმაც განიცადა დიდი ცვლილებები, გამოეყო სამეურნეო ნაგებობებს და დაემსგავსა ქალაქის ტიპის სახლს, მაგრამ ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის ჩამოყალიბებული ახალი ტიპის საცხოვრებელი სახლი; არის შემთხვევებიც, როცა სახლზე მიშენებულია პირუტყვის სადგომი და საკვების შესანახი სათავსოებიც.

ქვემო და ზემო იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში, გურია-სამეგრელოში, ხის ოდა-სახლები შეცვლილია აგურის არქიტექტურულად გაფორმებული, მიმზიდველფასადიანი სახლებით. დამხმარე შენობები ოდა-სახლის უკან არის აშენებული.

ხშირ შემთხვევაში ოდა-სახლებს აივანი ორი მხრიდან აქვს მიშენებული — წინა და უკანა მხარეს.

დასავლეთ საქართველოს დაბლობ ადგილებში, უმთავრესად იქ, სადაც გრუნტის წყლები მიწის ზედაპირთან ახლოსაა, სინესტის თავიდან აცილების მიზნით ერთსართულიანი სახლები ქვის ან რკინა-ბეტონის მაღალ ბოძებზე უდგათ, შენობები დახურულია კრამიტით ან შიფერით.







დიდი ყურადღებით აქვთ დამუშავებული საკარმიდამო ნაკვეთებიც. უმეტეს შემთხვევაში ეს ნაკვეთები არქიტექტურულადაა გაფორმებული მწვანე ნარგავებით და ქვის ან ხის ნაცვლად მწვანე ცოცხალი ღობით არის შემოფარგლული, რაც თავისებურ სილამაზეს აძლევს სოფელს.

წინათ ჩამორჩენილი, ღარიბი სოფლები, დოვლათით სავსე კეთილმოწყობილმა საკოლმეურნეო სოფლებმა შეცვალა. შეიცვალა მათი გარეგნული სახეც. ახლა ქვიტკირის ორსართულიანი სახლები ჩვეულებრივი ამბავი გახდა. ფართო სასოფლო გზები ილიჩის ნათურებითაა გაჩირაღდნებული.

მთა-გორიან ადგილებში დასახლებულ სოფლებს, რომელთაც მწირი მიწები ჰქონდათ — არ გააჩნდათ კეთილმოწყობილი გზები და უძნელდებოდათ კულტურულ ცენტრებთან დაკავშირება, ამასთან, ეს სოფლები მეურნეობის განვითარების შესაძლებლობასაც მოკლებული იყვნენ; პარტიისა და მთავრობის მზრუნველობის შედეგად ამ ადგილების მკვიდრნი დასახლებული იქნენ დაბლობებში—ხობის, სამგორის, ოჩამჩირის, გუდაუთის, სიღნაღის, საგარეჯოს, მარნეულის რაიონებში და სხვაგან, სადაც მათ შესაძლებლობა მიეცათ განავითარონ თავიანთი მეურნეობა. ამ გზით საქართველოს 100-ზე მეტი ახალი სოფელი და უბანი შეემატა.

ახლა ჩვენი სოფლები რადიო და ელექტროფიცირებულია. უწინ თუ სოფლებში ჯანმრთელობისა და კულტურის კერებს იშვიათად შეხვდებოდი, ახლა წარმატებით მუშაობენ კლუბები, ბიბლიოთეკები, საბავშვო ბაღები, სკოლები, პოლიკლინიკები, სამშობიარო სახლები, აფთიაქი და სხვა დაწესებულებები. სოფლების უმეტეს ნაწილში გაყვანილია წყალი, ფართო მოკირწყლული ქუჩები, აგებულია ადმინისტრაციული სახლი, აბანო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები. აი ყოველივე ეს ქმნის ახალი სოფლის პეიზაჟს.

რომელი კუთხეც არ უნდა აიღოთ, ყველგან სიცოცხლით სავსე ადამიანები ფუსფუსებენ, ყველგან მშენებლობის ფრონტია გაშლილი და ყველა დაჰხარის თავის ნაამაგარ კეთილმოწყობილ კარმიდამოს, საკოლმეურნეო დოვლათით ხელდამშვენებულ სოფელს.

ზურაბ ალულიშვილი
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა



ინდოელი ფაკირები.

აურანგაბადი პატარა ქალაქია ინდოეთში, ჰაიდარაბადის პროვინციაში. ამ ქალაქს ოციოდე კილომეტრით რომ გასცდებით, ერთ პატარა სოფელს წააწყდებით. ამ სოფელს კურდაბადს ეძახიან. შარშან, ინდოეთში მოგზაურობის დროს, ამ სოფელშიც შევიარეთ. მოსახლეობის უმრავლესობა აქ არც თუ ისე ღარიბად ცხოვრობს. სოფელს სულ ახლოს ჩამოუდის დიდი არხი და ამიტომაც არის, რომ ყველა ქოხის წინ მწვანედ ბიბინებენ ბაღჩები. კურდაბადელი გლეხის ბაღჩაში შეიძლება მუშტისოდენა პამიდორი მოკრიფო, იმოდენა ნესვი ნახო, რომ ხელით ძლივს ასწიო, შუშა კიტრებსა და ქორფა მწვანილს ხომ ნულარ იკითხავთ, მაგრამ უმალ ყველაფრის ხალისი დაგეკარგებათ, როცა მოულოდნელად თქვენს ფეხებთან უშველებელი გველი წამოჰყოფს თავს და წყლისაკენ გასრიალდება.

გველი ბევრია კურდაბადში, ალბათ უფრო მეტი, ვიდრე ნესვი და საზამთრო, ბევრიც არის და ბევრნაირიც. ცხოვრობენ თავისთვის, ყლაპავენ ბაყაყებსა და ხვლიკებს, მწერებსა და ლოკოკინებს, არაფერი აქვთ გასაყოფი ადამიანებთან, თუ, რასაკვირველია, ფეხქვეშ არ გათელე მათი „თავმოყვარეობა“, ან თავში ჯოხის ჩარტყმა არ მოუნდომე. მაშინ კი ფთხილად უნდა იყო. თუ იქვე ვერაფერი მოგიხერხა, დაგიმახსოვრებს და შეიძლება სახლშიც გეწვიოს ვალის მისაღებად. თუმცა გლეხის ქოხში მისი გამოჩენა არც თუ ისე იშვიათი მოვლენაა.

ჩვენი მასპინძელი ნურბან სინგჰი და მისი მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრები, დაწყებული სამი წლის ზუმრიათი, ისე არიან მიჩვეულნი გველების სტუმრობას, რომ მათთვის სპეციალურ ადგილას პატარა ჯამით რძესაც კი დგამენ. გველებსაც რა ენაღვლებათ — მოდიან, სვამენ და წყნარად უკანვე მიდიან.

კურდაბადელი გლეხი შეჩვეულია ამ ქვეწარმავლებს. მას შეუძლია უმტკივნეულოდ გააგდოს გველი სახლიდან ან ეზოდან, უსწრაფესი მოძრაობით კისერში სწვდეს და მკლავზე სამაჯურივით დაიხვიოს, მისებურ „ენაზე“ ელაპარაკოს კიდეც და, რაც მთავარია, კომერციული მიზნებისათვისაც გამოიყენოს; ერთი შეხედვით, ვის რაში უნდა გამოადგეს გველი, მაგრამ არც ასეა საქმე. არის ხალხი, რომელთათვის გველი არსებობის წყაროა. ეს ხალხი ფაკირები არიან.

ფაკირებს ინდოეთის რომელ კუთხეშიაც გნებავთ, იქ შეხვდებით. ვთქვათ ბომბეიში—მარინ დრაივის ულამაზეს პროსპექტზე, ან კიდევ ახალი დელის თანამედროვე სასტუმროს ეზოში, კალკუტის ცენტრალურ მოედანზეც, ტაჯმაჰალის მავზოლეუმის მარმარილოს კიბეებზეც. მოკლედ ყველგან, სადაც ცხოვრობენ ან სეირნობენ უცხოელები. ფაკირები განსაკუთრებით უცხოელ ტურისტებზე „ნადირობენ“, რადგან იციან, რომ ისინი სანახაობებისათვის არიან ჩამოსულნი და საქმეზე არსად ეჩქარებათ.

თქვენი თანხმობის შემდეგ, რაც იმაში გამოიხატება, რომ თუნუქის ყუთში ერთ რუპიას ჩააგდებთ, ფაკირები იქვე განლაგდებიან, მომართავენ ფლეიტებს, თავს მოხდიან კალათებს, ქოთნებს, ტომრებს და დაიწყებენ...

სუფთა ჰაერი იყნოსა თუ არა, დიდი, დაწნული კალათიდან თავი წამოჰყო ჭრელმა გველმა, სიგრძით იქნებოდა ორი-ორნახევარი მეტრი, ზანტად მიმოიხედა და თითქოს საზოგადოება არ მოეწონაო, უკანვე აპირებდა რომბისებური თავის ჩარგვას, მაგრამ ვინ აცალა! ეცა კისერში ფაკირი, მოსწია, მთლიანად ამოათრია და მოხდენილად შემოიხვია წელზე. წელიდან გველი თვითონ მიწვდა პატრონის კისერს. ფაკირმა თვალები წამოკაკლა, ხელები გაასავსავა და ახრიალდა — მიშველეთ, ვიხრჩობიო. მაგრამ ალბათ შეეშინდა—ჩემი საცოდაობით ვისმეს გული არ შევუღონოო, და თეთრი კბილები დაკრიჭა—ნუ გეშინიათ, ვიხუმრეო.

ეს, ასე ვთქვათ, მხიარული შესავალი იყო. შემდეგ დაიწყო სხვადასხვა ზომისა და ფერის, შხამიანისა და უბრალო გველების დემონსტრაცია. ზოგი მწვანე ფერისაა, გრძელი და ბრტყელი, ხეზე ბინადრობს, ზოგიც მოკლეკისრიანი და გრძელკუდიანი, არიან თითისიგრძე გველები, რომლებიც ერთი კბენით თურმე ხარს კლავენ.

ფაკირებმა კალათები რომ დაცალეს, ახლა ტომრებში დაიწყეს ხელის ფათური და ერთმა კარგა მოზრდილი შხამიანი მორიელი ამოათრია. ბოლოს ფლეიტის ჰანგებზე კალათებიდან თავები წამოყვეს კობრებმა. ისინი ერთხანს მორჩილად უსმენდნენ პატრონს, არც ერთი არ აპირებდა კალათიდან გადმოსვლას. შიმშილისაგან ისე იყვნენ მისუსტებულნი, რომ ზედმეტი მოძრაობის თავი არ ჰქონდათ. ბოლოს ისევ ფაკირმა იმარჯვა, ფლეიტა გვერდზე გადასდო და კალათისაკენ დაიხარა. სწორედ ამ დროს მოხდა საშინელება—ყველაზე დიდი კობრა ასისინდა და თვალის დახამხამებაში ზედ შუბლზე დაერჭო პატრონს. უბედური შემთხვევა თითქოს გარდუვალი იყო, მაგრამ მოხდა საკვირველება—ფაკირმა გაიღიმა და ურჩი შეგირდი იმით დასაჯა, რომ გულდაგულ დაახვია და კვლავ კალათში ჩასვა. შემდეგ იგი ცდილობდა დავერწმუნებინეთ, რომ მასზე შხამი არ მოქმედებს, რომ იგი განსაკუთრებული აგებულებისაა, სხვებისაგან განსხვავდება და სხვა მისთანანი. მაგრამ ვინც ფაკირებს იცნობს, ისიც იცის, რომ მათ კობრებს ყველა შხამიანი კბილი ამოძრობილი აქვს და ამდენად მათი „სასწაული“ ბავშვების მოსატყუებლად თუ გამოდგება.

თუმცა ინდოეთში ისეთი ფაკირებიც არიან, რომლებიც მოთამაშე კობრებს შხამიან კბილებს არ აცლიან. გველის თავიანთ ნებაზე ასათამაშებლად ისინი იყენებენ სხვადასხვა ჟესტებს, ზუსტად იცავენ რიტმს და ამ ხერხებით ჰიპნოზს უკეთებენ მას. ამ დროს კობრა მონუსხულია, ქანაობს, თავბრუ ეხვევა და მთლიანად ითიშება ნორმალური მდგომარეობიდან. ამიტომ არის, რომ ზოგიერთი ფაკირი ამ დროს მას ტუჩებშიც კი ჰკოცნის.

კობრა შხამიანი გველებიდან ყველაზე დაუნდობელია, ოღონდ იგი პირველად არასოდეს ესხმის თავს ადამიანს. ინდოეთის კობრა ამ შემთხვევაში სრულიად არ ჰგავს ბირმელ და კამბოჯელ თანამოძმეებს — სათვალებიან „სამეფო“ კობრებს, დაბოიას, ბუნგარსა და სხვა ჯიშის გველებს, რომლებიც ყოველთვის აგრესულად არიან განწყობილი ადამიანისადმი. სტატისტიკა ადგენს, რომ შხამიანი გველის ნაკბენისაგან ინდოეთში ყოველწლიურად 20 ათასი კაცი კვდება. არც ისე პატარა ციფრია...

დამთავრდა წარმოდგენის პირველი განყოფილება. მეორე განყოფილების დაწყებამდე ფაკირებმა თითო მაყურებლისაგან დამატებით ორ-ორი რუპია მოითხოვეს — ორმაგად საინტერესო რაიმეს გიჩვენებთო. მცირეოდენი შესვენების შემდეგ არენაზე გამოჩნდა მანგუსტა. ეს არის მოზრდილი ვირთხისოდენა ცხოველი, რომელსაც სულ გაქცევაზე აქვს თვალი, რადგან ვერ იტანს პატრონს და ორგანულად ეზარება გველი.

მანგუსტა თვალის დახამხამებაში ეკვეთება გველს, მას კი სხვა გამოსავალი არა აქვს, უნდა დაუხვდეს და შეებრძოლოს. ძალზე სწრაფი მანგუსტა ყოველნაირად ცდილობს აიცდინოს გველის კბენა და ბასრი კბილებით როგორმე კისერში წვდეს მოწინააღმდეგეს: ათ-თხუთმეტწუთიანი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა უმეტეს შემთხვევაში მანგუსტას სასარგებლოდ მთავრდება. საერთოდ, ამ დროს, როდესაც გველს გაქცევის საშუალება არა აქვს, იგი თითქმის ყოველთვის განწირულია, რადგან მისი შხამი მანგუსტაზე არ მოქმედებს. მაგრამ ასეთი სანახაობის დროს იშვიათად თუ ვისმეს უნახავს მანგუსტას მიერ ყელგამოღადრული გველი. ფაკირი მოჩხუბრებს ბრძოლის დამთავრებას არ აცლის, მანგუსტას ყბებზე ხელს მოუჭერს და გველის თავს პირიდან გამოაცლის, რადგან იგივე გველი მას ხვალაც გამოადგება მანგუსტასთან საბრძოლველად.

...მაშ ასე, კალათები და ტომრები დაცარიელდა, ფლეიტის ხმა შეწყდა და თითქოს ყველაფერი უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ფაკირმა ისევ მახრჩობელა გველს წაატანა ხელი, კისერზე შემოიხვია და ხმამაღლა გამოაცხადა:

— ბატონებო, ხომ არ მოიძებნება თქვენში ისეთი გულადი, რომელიც ამ გველს კისერზე შემოიხვევდეს?

ფაკირის გულუბრყვილო წინადადებაზე ყველას გაეცინა, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, აღმოჩნდა ტურისტი, უფრო ზუსტად — ერთი წითელლოყება ახალგაზრდა გერმანელი, რომელმაც თანხმობა განაცხადა. ბევრი უშალეს ამხანაგებმა, მაგრამ ყმაწვილმა თავისი გაიტანა. ფაკირმა გერმანელს გამოფხიზლებაც არ აცალა, დაფნის გვირგვინივით ჩამოაცვა გველი კისერზე. რაინდის თურაშაული ლოყები მიტკლისფერი გახდა. ერთი, ორი, სამი და... ახალგაზრდამ ძლივს გაითავისუფლა თავი არასასიამოვნო ტვირთისაგან, თანაც ისე საწყლად იღიმებოდა, შეგეცოდებოდათ. გველისაგან კი გათავისუფლდა, მაგრამ...

— გადიხადეთ ოთხი რუპია — მიმართა ფაკირმა.

— რატომ? — გაოცდა გერმანელი.

— მიღებული სიამოვნებისათვის — გაიცინა ფაკირმა — რას იზამთ, ბატონო, ბიზნესი ბიზნესია!

ასეთ შემთხვევაში დროზე თუ არ უშველე თავს, ფაკირები ექვსრუპიან რაიმე ახალ „სიამოვნებისმომგვრელ“ გასართობს შემოგთავაზებენ. ფული ჯანდაბას, მაგრამ ვაი თუ გველი მთლად ჯიბეში ჩაგისვან და სახლში გაგატანონ.

ექვსრუპიანი სანახაობა მართლაც არსებობს — ფაკირი კუდში წაავლებს კობრას ხელს, შემდეგ თავს პირში ჩაიდებს და გველს ნელ-ნელა ყლაპავს, მერე კუდით მოსწევს და პირიდან ამოასრიალებს. საშინელი სანახაობაა!..

საერთოდ გველი ინდოეთში წმინდა ქვეწარმავლად ითვლება და მისი მოკვლა ისევე ითვლება ცოდვად, როგორც რომელიმე წმინდა ცხოველისა. გველისადმი ეს თაყვანისცემა იმით არის განპირობებული, რომ იგი დიდი რაოდენობით ანადგურებს მინდვრის მავნებლებს. ამიტომ არის, რომ ინდოელი გლეხი სპეციალურად იჩვევს გველებს, ყოველ დილით რძით კვებავს და ნებასაც კი რთავს მათ ოჯახის წევრებთან ერთად ერთ ჭერ-ქვეშ გაათიონ ღამე.

არჩილ უშვერიძე

# ქელეხი




ლევან ძიძიშვილი

მხატვარი თ. სამსონაძე

ზაფხულის ერთ საღამოს ხარფუხში ხმა დაირხა: „მეტყავე მიხა გარდაიცვალაო".

მთელ უბანს სწრაფად მოედო ეს ამბავი. ქოსა ნიკა ამბობდა — საცოდავმა სული ჩემს ხელზე დალიაო. იყო ერთი მითქმა-მოთქმა. ხარფუხელები დამწუხრებულნი ეუბნებოდნენ ერთი-მეორეს: „კარგი კაცი იყო, საწყალი, ღმერთმა სულით გაანათლოსო!" ზოგი კი პირფერობდა. მათ შორის ქოსა ნიკაც გუნებაში გაიძახოდა: „დიდი ხანია ლაზათიანად არ მიქელეხნია, ღმერთმა შეინდოს მიხას სულიო!"..

გლოვასა და მწუხარებაში რომ იყვნენ, ჭიშკარს კივილითა და ლოყების გლეჯით მიხას და სალომე მოაწყდა. სალომემ იცოდა ძმის ჯანმრთელობის ამბავი, მაგრამ ასე უეცრად თუ მოკვდებოდა, არ ეგონა... სალომე დარეცხილი ჯამ-ჭურჭლით ხელში სამზარეულოდან აივნის გავლით ოთახში აპირებდა შესვლას, როდესაც ქოსა ნიკამ მას ძმის სიკვდილი აცნობა, ქალმა საშინლად დაიწივლა, ჭურჭელს ხელი გაუშვა და თავში წაიშინა. ხმაურზე მეზობლები შეგროვდნენ და რომ გაიგეს რაში იყო საქმე, ჯერ თანაგრძნობა გამოუცხადეს მეზობელს. შემდეგ კი დამშვიდება დაუწყეს: „უნდა გამაგრდე, ჩემო სალომე! რას იზამ, ასე ყოფილა ეს ქვეყანაო". სალომემ, რაკი ცოტათი გული მოიოხა, ოთახიდან თავშალი გამოიტანა, თავზე მოიხვია, მეზობლებს დაუბარა, როგორც-კი ჩემიანები მოვლენ, მაშინვე ხარფუხში წამოვიდნენო.

იმავე საღამოს სალომეს ქმარი ვასო, მსუბუქი მანქანით გურჯაანისკენ მიჰქროდა სიდედრის ჩამოსაყვანად. ფოსტამ კი გარდაცვალებულის შვილს გიორგის, ნათესავებსა და ახლობლებს დეპეშებით აცნობა მიხას გარდაცვალება.

მესამე დღეს დილით ჭიათურიდან მიხას ერთადერთი ვაჟი გიორგი ჩამოვიდა. ის ინჟინერი იყო და იქაურ მაღაროებში მუშაობდა, მშობლებს ყოველთვიურად უგზავნიდა ფულს, წელიწადში ერთ-ორჯერ კიდეც ჩამოდიოდა და ნახულობდა.

გიორგიმ ჩამოსვლისთანავე თვალსაჩინო ადგილზე გამოჰკიდა მუყაოზე ტუშით დაწერილი განცხადება: „გთხოვთ გვირგვინებს ნუ მოიტანთ".

„ხარფუხია, ვინ იცის, იქნება რომელიმე ძველი წესი არ დაარღვიოს და შევრცხვეო". ბევრი ხარფუხელი მამა-პაპური ჩვეულების ასე ერთი ხელის მოსმით უარყოფას ვერ ურიგდებოდა და უკმაყოფილოდ ბუზღუნებდნენ:

— ვა, რა დრო დაგვიდგა, კაცო! ჯერ იყო და დუხოი მუზიკა არაა საჭიროო, ახლა გვირგვინები არ გვინდაო... მერე ალბათ იმასაც იტყვიან თუო, ქელეხიც არ გვინდაო!...

— მერე კი, არა, უკვე იძახიან.

— რას იძახიან, კაცო?

— ქელეხი არაა საჭირო, ძველი გადმონაშთიაო.

— გადმონაშთი რაღაა, ადამიანო! კაცი მოკვდა, კაცო, ბუზი ხომ არა! მაშ, ერთი ჭიქით შესანდობარი აღარ უნდა დალიოს კაცმა?! არა, ძმაო, ეს ქვეყანა, რომ თანდათან ფუჭდება, ამას თქმა არ უნდა!...

იმავე საღამოს კახეთიდან ნათესავ-ნაცნობები ჩამოვიდნენ. მათი შესაწევარი იყო სამი მოზრდილი კასრი ღვინო, სამი ჭედილა, რამდენიმე თონე შოთები და ლავაშები.

გიორგი, როგორც სამგლოვიარო გვირგვინების, აგრეთვე ქელეხის წინააღმდეგიც იყო. და, კინაღამ გადაირია, როდესაც კახეთიდან ჩამოსული ნათესავები ასე დატვირთული დაინახა.

— ეს რა ამბავია?! ესენი სატირლად ჩამოვიდნენ თუ საქეიფოდ? — ძალიან ჭირვეულობდა გიორგი. მაგრამ დედამისმა და სხვა ნათესავებმა დაიყოლიეს: „სულ რომ არაფერი, ამდენ ჩამოსულ ხალხს ჭამა ხომ უნდა... თითო ჭიქით მკვდარს შენდობას ეტყვიან, ცოცხლებს დალოცავენ და ამით დამთავრდება ყველაფერი, რას ხედავ ამაში ცუდსო". „თითონაც ძველი კაცი იყო, შვილო, და, დაე, ძველი წესით დაიმარხოსო! ეკლესიაში არ ვასვენებთ და მღვდელი არ მოგვყავს სახლშიო". „ეგ-ღა გვაკლდაო", თქვა უკმაყოფილოდ გიორგიმ და ხელი ჩაიქნია...

* * *

მარტოხელა ქოსა ნიკა მართლაც ქელეხების დიდი მოყვარული იყო, „ჭირის სუფრაზე" თამადის სადღეგრძელოს არ უცდიდა, ისე სვამდა; სამაგიეროდ ქელეხის წინ დაზარება არ იცოდა, ყველა საქმე თითონ უნდოდა გაეკეთებია. ახლაც კუბოსა და საფლავის გამზადება მიანდეს. ქოსა ნიკა ჯერ დამკრძალავ ბიუროში მივიდა და გამგე იკითხა.

— მე გახლავართ. რა გნებავთ?

ქოსა ნიკას გაეცინა.

— რა გაცინებს, ამხანაგო? —შეეკითხა გამგე.

— არაფერი, ისე, აი, ერთი ჩვენი მეზობელი ავად გახდა, ჰო-და, ექიმმა ურჩია შაქარ-ყინული მოგიხდებაო.

გამგეს ჭკუიდან შეშლილი ეგონა და, ცოტა არ იყოს, შეკრთა. სიტყვა გააწყვეტინა და თავიდან მოცილების მიზნით უთხრა:

— გასაგებია! თეთრი შაქარ-ყინული გუშინ მოვათავეთ, მაგრამ ნუ შეშინდებით, მე გასწავლით სად უნდა იშოვოთ. აი, ეს პროსპექტი მარჯანიშვილის მოედანზე მიგიყვანს, ძველებური კირკა რაღა! იქ, საკონდიტროში ექნებათ...

— მაშ, თქვენ კი აღარა გაქვთ?

— ამხანაგო, აქ შაქარ-ყინულს რა უნდა, კაცო! — ვერ მოითმინა აღელვებულმა გამგემ, —აქ მხოლოდ კუბოებსა ჰყიდით, ვერა ხედავ?!

— ჰმ! შე დალოცვილო, მეც სწორედ მანდა ვარ. მაშ, რაღას მეკითხები რა გნებავსო? რაკი აქ შემოვედი, მაშ კუბო მინდა, რაღა!

გამგეს გულზე მოეშვა.

— კი, ბატონო! როგორი გნებავთ?

— ვა, ეგეც ასარჩევია, სულ ერთი არ არის?

— კეთილი, ზომები მომეცით.

— ზომები?! ახლავე! — ქოსა ნიკამ გიორგის მიერ მიცემული ქაღალდის ნაგლეჯი, რომელზედაც მიხას ზომები ეწერა, ვერა და ვერ იპოვნა, ჯიბეები თითქმის სამჯერ გადმოიბრუნა... — ახლა ისევ ხარფუხში ავიდე?! მოიცა, იცი რა? აი, მე გამზომე... ჰო, რას მიყურებ? ძმაკაცები ვიყავით...

უცნაური კლიენტით გაოცებულმა გამგემ ქოსა ნიკას ზომები აუღო, გააფორმა და ქვითარი გაუწოდა.

— შე დალოცვილო! ფულს წინასწარ რომ მახდევინებ, შეიძლება?! ერთიც ვნახოთ და არ მომეწონა, მერე რა, ფულს უკან დამიბრუნებ? ბე მაინც აიღე.

— რა ხუმარა ვინმე ყოფილხარ. ბე რაღამ გაგახსენა? კუბო-ძიას დუქანია?!

— შენ რა, იცნობდი?! — აღტაცებით შესძახა ქოსა ნიკამ.

— მამაჩემისაგან გამიგია. ხარფუხელი ყოფილა, იქვე ჰქონია დუქანიც.

— მე რას მასწავლი. ჩემი მეზობელი იყო, თანაც სეხნია. მეკუბოე ნიკას ჩვენ კუბო-ძიას ვეძახდით. იმის სიკვდილი მე კარგად მახსოვს. მაშინ ჭეელი ვიყავი, ჰოდა, მახსოვს, ძალიან ხუმარა კაცი იყო. შაბათ საღამოობით თავის დუქანში ძმაკაცებთან ღვინით რომ შეზარხოშდებოდნენ, კუბოში ჩაწვებოდა და ამხანაგებს ეტყოდა: „აბა, ძმებო-ჯან, ახლა ერთი ხარფუხი შამამატარეთო"... პირველად მეზობლებს მართლა მკვდარი ეგონათ, კუბოთი რომ დაინახეს და, თითქმის მთელმა უბანმა მოიყარა თავი მის ეზოსთან. ცოლი თურმე თავში იცემდა ხელებს და მოთქმით დასტიროდა ეზოს შესავალთან დასვენებულ ქმარს. მან კი ვეღარ მოითმინა ცოლის გულსაკლავი ტირილი, გული აუჩუყდა და კუბოში წამოჯდა. ამის დანახვაზე მის ცოლს, სონას გული შეუწუხდა. დიდი ვაი-ვაგლახით მოაბრუნეს და კინაღამ ქმრის ხუმრობის მსხვერპლი გახდა... კუბოში წამომჯდარი ნიკა, ნახევრად მოსულიერებულ ცოლს ყურში ჩასძახოდა: „— სონა-ჯან! ცოცხალი ვარ, ქალო, ცოცხალი! აბა, მამხედე?!" ხანში შესულებს სჯეროდათ სასწაული — მკვდრეთით აღდგომა და კითხვებს კითხვებზე აყრიდნენ: როგორია სამოთხე?!... ჯოჯოხეთში როგორ მკვდრებს ღებულობენ?!, როგორია იქ ცხოვრება?! ერთმა ისიც ჰკითხა — ბაზარზე რა ფასებიაო, ყველა თავის მკვდრის ამბავს ეკითხებოდა — თუ ნახე, რა დაგაბარაო?! და ამისთანები.

შემდეგ ასეთი ხუმრობა წესად შემოიღო, რითაც მთელი უბნის ბავშვების მხიარულებას იწვევდა.

მორწმუნე მეზობლები ამბობდნენ, მაგას თავისი სული ეშმაკებისთვის მიუყიდია და არასოდეს არ მოკვდებაო! მაგრამ არ გამართლდა მათი წინასწარმეტყველება. ერთ დღეს კუბო-ძიაც ისევე მოკვდა, როგორც სხვა დანარჩენი ცოცხალი არსება კვდება ხოლმე. მაგრამ ორი დღე ისე იწვა თავისი ხელით გაკეთებულ და თავისთვის შემონახულ კუბოში, რომ არც ერთი მეზობელი უბნიდან არ მისულა სონასთან სამძიმრისთვის — ხუმრობა ეგონათ. მხოლოდ მესამე დღეს დარწმუნდნენ რომ ნამდვილად მომკვდარაო, — დაამთავრა ამბავი ქოსა ნიკამ, — აი, ამ ქვითრის პატრონიც ხარფუხელი, ჩემი მეზობელი იყო. იცი, რა კარგი კაცი იყო? შენ გეცოდინება — მეტყავე მიხა.

— არა, არ ვიცი.

— ვა, ეს როგორ?! იმას ლამის ნახევარი ქალაქი იცნობდა... მახლაას! მე წავედი! ახლა მესაფლავეები უნდა ვნახო, — ქოსა ნიკა გამოვიდა გარეთ და გეზი პეტრე-პავლეს სასაფლაოსაკენ აიღო.

— ეს რა დაუშტვინე ვინმე იყო, კაცო! მგონი ცოტათი აფრენდა კიდეც! — გამგემ ერთი ღრმად ამოიხვნეშა, რომელსაც კინაღამ გულიც თან ამოაყოლა და სკამზე დაეშვა.

* * *

იმ საღამოს მიხას უკანასკნელი პანაშვიდი იყო დანიშნული.

ხალხი ოთახში და აივანზე რომ აღარ ეტეოდა, ეზოში და ქუჩაში შეჯგუფულიყო. ერთხანს მაგნიტოფონიდან იღვრებოდა სამგლოვიარო მელოდიები... ხარფუხელების უმრავლესობას, და განსაკუთრებით კახეთიდან ჩამოსულთ ეს მუსიკა მაინც და მაინც არაფრად ეჭაშნიკებოდათ.

— ვა, მამაძაღლი, ოპერაში ვართ?! — იძახოდნენ ერთნი.

— აქამდის ცოცხალი მუსიკოსები მაინც უკრავდნენ, ახლა? ემ, ყველაფერს პირის გემო დაუკარგეს რაღა! — იძახოდნენ მეორენი.

მაგრამ მალე ყველა მომდურავს შუბლი გაეხსნა, როცა დაინახეს მედუდუკეები, რომლებიც ზღვა ხალხში ძლივს მოიკვლევდნენ გზას.

— რაკი ამირანი მოვიდა, მაშ ლაზათი დაედება პანაშვიდს!

— აი, ეს მესმის!

— მამაპაპური ყველაფერი კარგია, შვილოსან! — თქვა ვეჯინელმა ღვთისომ და ულვაშებზე ხელი გადაისვა.

ამირანი მიხას მეზობელი იყო და ამიტომ მან უფასოდ შეაწია დაკვრა პანაშვიდზე და დასაფლავების დღეს.

აზარტში შესული დუდუკების მოყვარულნი არ იშურებდნენ შაბაშებს დამკვრელთათვის და შეკვეთას შეკვეთაზე აძლევდნენ.



გახალისებული დამკვრელებიც ზომაზე მეტად იბერავდნენ ლოყებს. მედოლე კი თითქმის ჩახრინწული ხმის დაფარვას მარცხენა ხელის პირთან მიფარებით ცდილობდა. სიმღერას სიმღერა ენაცვლებოდა; დამკვრელებს თითქოს დაავიწყდათ, რომ ჭირისუფალნი ცოცხალი ადამიანები იყვნენ და დასვენება სჭირდებოდათ.

ქოსა ნიკა ამ საღამოს ღვთისოს ღვინის ჩამოსხმაში ეხმარებოდა და ცოტ-ცოტა ჭამნიკებით ისე გამოთვრა, რომ მოხმარების თავი, აბა, სადღა ჰქონდა. მაშინ ღვთისომ სახლში წასვლა ურჩია. ქოსა ნიკა დამკვრელებთან მივიდა და ამირანს უთხრა:

— ამირან-ჯან! მეზობელი არა ხარ? არ შეიძლება „მწყემსსა დედა ალვიძებდა" დაუკრა?!

— ვა, როგორ არა, ნიკა-ჯან! — და მედოლემ დასძახა: მწყემსაი დედაიი ალვიძებდაააიი, განთიადის ალიონზეე... ქოსა ნიკას შაბაში არ მიუცია, მაგრამ სამაგიეროდ გული ამოუჯდა და ტირილი დაიწყო, „ვენაცვალე, ჩემს მიხას, ის ჩემი ძმა იყო, პირის ზიარებაო. ჩემს თავზე მეტად მიყვარდა, იმას ვენაცვალეო", თქვა და ქუჩაში გამოვარდა. უპატრონოდ დატოვებულ ბინისაკენ ბარბაცით მიდიოდა და თან ხმამაღლა მღეროდა:

— საყვარელმა პირი იბრუნა, გული გადმაიბრუნა!..

უკანასკნელი პანაშვიდი, გვიან ღამით, როგორც იქნა დამთავრდა.

* * *

კვირა დილა ჯერ კიდევ კარგად არ გათენებულიყო, მაგრამ ეზოში ქალებიც და კაცებიც საქმიანად ფუსფუსებდნენ: შინაური სალახები საკლავებს კლავდნენ, ატყავებდნენ. მზარეულები კი კერძებისათვის ახარისხებდნენ და წვრილ ნაჭრებად ჭრიდნენ. დამხმარენი აგურებისაგან სახელდახელო ქურებს მართავდნენ. ორი დედაკაცი ალუმინის დიდრონ ქვაბებს გარედან ტალახით ლესავდა. იქვე ცალ მხარეზე რამდენიმე, ერთი-მეორეზე ზურგდადებით, გრძელი, საგანგებოდ მოტანილი მაგიდები და სკამები ელაგა. სამზარეულოში რამდენიმე ქალი ბრინჯს არჩევდა შილაფლავისათვის. ზოგი ხორაგს, პურს, მწვანილს და მწნილს აწესრიგებდა თეფშებზე.

ქოსა ნიკაც ეზოში იყო. იგი, თავისივე ალესილი ცულით ნუურიან კუნძებს ჩეხავდა. ოფლი შუბლზე წურწურით ჩამოსდიოდა, რომელსაც ხშირად მაჯებით იცილებდა...

დამთავრდა გამოსათხოვარი პანაშვიდიც.

ხალხი, გარდა რამდენიმე ჭირისუფლისა, ეზოში ჩამოვიდა. ჩამოიტანეს კუბოს ხუფი და მიხას გადიდებული სურათი.

კიბის თავზე გამოჩნდა კუბო. ჭირისუფალთა წივილ-კივილი და მედუდუკეთა „შუშტარი" ერთი მეორეში აირია. დაიძრა სამგლოვიარო პროცესია.

ქუჩის კარებთან ქვას ვილაცამ ბოთლი მიამსხვრია.

როგორც იყო მიაღწიეს სასაფლაოს.

დადგა უკანასკნელი გამოთხოვების წუთი. დუდუკები ზურნით შეიცვალა; მედოლის თითები კი — საგანგებოდ გამოთლილმა ჯოხებმა შეცვალეს...

ვილაცის საფლავის ქვაზე სახელდახელოდ გაშლილ სუფრაზე ქოსა ნიკა კაცებს უხმობდა: „თითო ჭიქით მიცვლებულს შენდობა უთხარით, კაცო ისე არ შეიძლებაო!".

მედუდუკენი მთხოვნელთა მიწვევით, საფლავიდან საფლავზე გადადიოდნენ...

ქოსა ნიკამ, მგონი მეხუთედ ჩამოარიგა მიხას შესანდობარი. რაღა თქმა უნდა, რომ არც თითონ აკლებდა ხელს.

* * *

მოქეიფენი იმდენად ბევრნი იყვნენ, რომ მოზრდილ ეზოში, გრძელ აივანზე და მიცვალებულის ორ ოთახში გაშლილი სამგლოვიარო სუფრა რომ არ ეყოთ, მეზობლის კიდევ ორ ოთახში, სახელდახელოდ გაიშალა დამატებითი მაგიდები. ყოველ მაგიდას თავისი უფროსი ჰყავდა, ყველა დამოუკიდებელ სადღეგრძელოებს სვამდა, მაგრამ ეს სადღეგრძელოები ეხებოდა მიხას გარდაცვალებასა და შენდობას, გარდაცვალებულის მშობლებს, ოჯახის წევრებს, დედმამის შვილებს, ნათესავებს და მეზობლებს... ყოველ სადღეგრძელოს თან ერთვოდა: „ასეთ სუფრაზე აღარ მოვსულიყვეთ", „ამის შემდეგ ნათლობებში, დღეობებში და ქორწილებში მოვსულიყვეთ", „ეს უკანასკნელი იყოს"...

პირველი ჩაის ჭიქა ყველამ მორიდებით მოსვა— „სალხინო სუფრაზე ხომ არა ვზივართო". შემდეგ ჭიქებში კი წვეთიც აღარ რჩებოდა. უმრავლესობა თამადას აღარც-კი უცდიდა, ისე სვამდა: „რა, შარბათივით ღვინოა კაცო, ჭიქა პირიდან ვერ მომიცილებიაო". გაქრა სიწყნარე და ყურადღება. იმატა ხმაურმა... ყოველი კაცი გვერდში მჯდომს მერამდენიმეჯერ უქებდა მიხას: „კარგი კაცი იყო, აფსუსი არ არის, ისეთი კაცი მიწაში იწვესო"?! ჭიქას ჭიქაზე მიუჯახუნებდა, „სულით გაანათლოს, იმ ქვეყანასო!" და შესვამდნენ... ბოლოს გვერდით მჯდომნი ერთი-მეორის სადღეგრძელოებს სვამდნენ...

ქოსა ნიკა ეზოში გაშლილ მაგიდის კუთხეში მომჯდარი, თავისებურად შეექცეოდა ქილებს. სხვაზე არა ნაკლებ მთვრალი, ცრემლებს აფრქვევდა.

არ იქნა და აღარ აიშალა ხალხი, ზოგი უფალს მიელო, მაგიდაზე ჩამოსძინებოდა... ზოგნი კი, რომლებიც არც მკვდრებში ითვლებოდნენ და აღარც ცოცხლებში, თავჩაკიდულნი ნიდაყვებით მაგიდას დაყრდნობოდნენ და რაღაც გაუგებარს ლუღლუღებდნენ...

მიხა ყარაჩოღელ კაცად ითვლებოდა, მაგრამ მასაც არ ესიამოვნებოდა ასეთი ქელეხი, თავისი თვალით რომ ენახა...

გიორგი ტუჩებს იკვნეტდა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

მოქეიფენი გვიან ღამით დაიშალნენ.

ქოსა ნიკას, რომ გამოეღვიძა, უკვე არავინ აღარ იყო. მხოლოდ შინაურები ფუსფუსებდნენ— მაგიდას ალაგებდნენ. ამღვრეული თვალებით შეათვალიერა მოფუსფუსენი, შემდეგ დაისხა ერთი ჭიქა, დალია, ფეხის არევით ქუჩაში გავიდა და ბარბაცითვე წავიდა თავისი გამოკეტილი ოთახისაკენ. გზაზე თავისებურად ღიღინებდა: „საყვარელმა პირ იბრუნა, გული გადმაიბრუნა!"...



# მოკლედ უცხოეთზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჭიშკარზე — დედის პორტრეტი

ქ. ბერგენის (ნორვეგია) გარეუბანში უკანასკნელ ხანს წარმოიქმნა საცხოვრებელი რაიონი, რომელიც შედგება თითო ოჯახისათვის გათვალისწინებული რამდენიმე ასეული სტანდარტული სახლისაგან. ეს სახლები ისე ჰგვანან ერთმანეთს, რომ ზოგჯერ მოზრდილ ადამიანსაც კი უჭირს თავისი ბინის პოვნა. კიდევ უფრო ცუდ დღეში აღმოჩნდნენ ბავშვები. სკოლაში მეცადინეობის დამთავრების შემდეგ მოწაფეები საათობით დაეხეტებოდნენ, სანამ საკუთარ სახლს მიაგნებდნენ. შეშფოთებულმა მშობლებმა საერთო კრებაზე საკმაოდ ორიგინალური გადაწყვეტილება მიიღეს: თვითეული სახლის ჭიშკარზე გადმოკიდებული იქნება დედის დიდი ფოტოსურათი.

ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, ბავშვებს გზა აღარ აებნევათ.



ოთხმოცი კილომეტრის სიჩქარით

ჰოლანდიის ქალაქ დელფტის პოლიციამ დააკავა მანქანა, რომელიც 80 კილომეტრის სიჩქარით მიდიოდა და თან უცნაურ ზიგზაგებს აკეთებდა. გამოირკვა, რომ შოფერი მარცხენა ხელით საჭეს მართავდა, მარჯვენათი კი გულმოდგინედ წვერს იპარსავდა.



„როგორც საკუთარ სახლში"...

ნიუ-იორკის ერთ-ერთ რესტორანში გამოკრულია განცხადება: „თუ თქვენს ბინაში იატაკზე აფურთხებთ, დააფურთხეთ აქაც. იყავით ისე, როგორც თქვენს საკუთარ სახლში".

გარეკანის პირველ გვერდზე: ვ. ი. ლენინის ძეგლი თბილისში. ფოტო თ. არჩვაძისა. მეოთხე გვერდზე: თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები. მარცხნიდან — სლავა მეტრეველი, ვლადიმერ ბარქაია და მიხეილ მესხი. ფოტო ო. თურქიასი და ე. პეხოვისა.

რედაქტორი გ. ნატროშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ხ. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე. ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის 9-54-66, პ/მგ. მდივნის—9-82-69, განყოფილებების—3-28-42, 9-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 31/III-65 წ. გამომც. № 57, ქაღ. ზომა 70×108¹/₁₆. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღრიცხვო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 24.000. შეკვ. № 945, უე 03113

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.



სურათებზე: კადრები ტელეფილმებიდან „გია და ზაზა“ და „მეტოქეები“.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ქართული ტელეფილმები

თბილისის ტელეხედვის ეკრანებზე ამ რამდენიმე ხნის წინ აჩვენეს საბავშვო ფილმები, რომლებიც მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

ჩვენი ჟურნალის ამ გვერდზე ვბეჭდავთ საბავშვო ფილმების ცალკეულ კადრებს. ფილმი „გია და ზაზა“, გადაღებული გიორგი ბათიაშვილის მიერ — წარმოადგენს ახალგაზრდა რეჟისორის შესანიშნავ დებიუტს. რეჟისორმა ალეკო ნინუამ გადაიღო ფილმი „მეტოქეები“, რომელმაც უკვე დაიმსახურა ნორჩი მაყურებლის სიყვარული.









გადაღების მომენტი.

ИНДЕКС 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა

